ზურაბ ღუჭაშვილი

სიტყვის თავისუფლების ზნეობრივი და იურიდიული საფუძვლები

გამოკვლევა და წერილები

თბილისი
2005

ავტორის შესახებ

28 წელი.

28 წელი არ არის ის ასაკი, როდესაც პიროვნების დამსახურებაზე ლაპარაკობენ. მართალია, რა შეიძლება მოასწროს ადამიანმა ამ დროისათვის? ავტობიოგრაფია რომ დაწეროს თუნდაც დაწვრილებით, მაინც გამოვა, რომ დაიბადა, სკოლაში სწავლობდა, მერე უმაღლესში და... მორჩა. ბიჭებს კიდევ შეუძლიათ დაიტრაბახონ, რომ ჯარში იმსახურეს. მოკლედ, ჯერ ვერ მოასწრო კაცმა ვერაფერი ახალგაზრდობის გამო. თუმცა ზოგნი ასწრებენ.

ახალგაზრდობა... ბუნების უდიდესი საჩუქარი და სიმდიდრე, რომელიც, სამწუხაროდ, საკმაოდ მალე ილევა, თვალსა და ხელს შუა იკარგება და ბევრისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რაზეც არც წუხილი ღირს და არც აღტაცება.

მაგრამ დროდადრო ბუნებაც გაგვაკვირვებს ხოლმე — მოგვივლენს ახალგაზრდას, რომელიც ჩვეულებრივია ყველაფრით, გარდა თანდაყოლილი წყურვილისა იმოქმედოს, იმუშაოს, აკეთოს რაიმე სასიკეთო, საჭირო, სასახელო. ასეთები მტკივნეულად გრძნობენ დროის ტყუილად ხარჯვას, ვერ იტანენ უსაქმურობას, რომელიც საკუთარი თავისთვის შეურაცხმყოფად მიაჩნიათ და შრომობენ, შრომობენ, ფიქრობენ და კვლავ შრომობენ. ასეთები აღტაცებას იწვევენ, — რა კარგები არიანო, ზოგში — გაკვირვებას — სულ რომ ჩქარობენ, რა ეჩქარებათო. საერთო კი ის არის, რომ საზოგადოება ამჩნევს, ხედავს ასეთ პიროვნებას და არჩევს სხვა

მრავალთაგან, გუშინ უცნობი მალე ხდება ცნობილი და მასზე მსჯელობენ ყოველგვარი შელავათების გარეშე, როგორც საზოგადოებისათვის სრულიად საჭირო პიროვნებაზე, საიმედო მოქალაქეზე, ნაცნობზე, ამხანაგზე, მეგობარზე, საქმის კაცზე, ავისა და კარგის გამრჩევზე და გამგებზე.

ასეთი იყო ამ წიგნის ავტორი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზურაბ შალვას ძე ღუჭაშვილი.

იყო. ძალიან ძნელია ამ ასაკის ადამიანზე წარსული დროით ილაპარაკო. ძნელი კი არა, რაღაც უაზრობაა, მკრეხელობაა ლოგიკისა და სამართლიანობის წინაშე, აბსურდია, თითქოს დანაშაულიც კია. მაგრამ როდის და ვინ გაქცევია რეალობას, რომ ჩვენ გავექცეთ.

დიახ, ზურაბ ღუჭაშვილი იყო, მაგრამ აღარ არის. უკვე აღარ არის. 28 წლის ახალგაზრდამ სიცოცხლეც მოასწრო, სიკვდილიც და ისეთი საქმის გაკეთებაც, რაზეც ათიათასები ვერც იოცნებებდნენ.

არა, მე ამას სხვისა გასაკენწლად როდი ვამბობ. ყველას თავის შესაძლებლობები აქვს, რომლიდანაც კაცი ვერ გამოვა. შემთხვევით კი არ არის ნათქვამი, თავს ზევით ძალა არ არისო. ამ ბრძნულ ანდაზაში „თავი“ ადამიანის შესაძლებლობების „ჭერს“ ნიშნავს. ზურაბის „ჭერი“ მაღალი იყო, ძალიან მაღალი, იმდენად მაღალი, რომ თვითონაც ვერ წარმოედგინა — ახალგაზრდა იყო ჯერ, სიცოცხლით, ხალისით სავსე, მოაზროვნე, მაგრამ ჯერ გამოუცდელი, თანაც თავდაჭერილი და მოკრძალებული.

ვინმე იფიქრებს, რომ ვაჭარბებ, როგორც ყველა მოსიყვარულე იმათ მიმართ, ვინც გულით უყვართ.

არ ვაჭარბებ. ხასიათის შესახებ ყველა დამეთანხმება, ვინც ზურას იცნობდა. მისი ინტელექტის შესახებ კი ყველაზე უტყუარი მოწმეა თვით ეს ნაშრომი, ზურაბ ღუჭაშ-



ზურაბ ღუჭაშვილი
და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი
აკად. გივი ინწკირველი



დისერტაციის დაცვა.
1998 წ.

ვილის დისერტაცია „სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების იურიდიული და ზნეობრივი საფუძვლები", რომლის სერიოზულობა და სიღრმეც კარგად გამოჩნდა დისერტაციის საჯარო დაცვის დროს ოფიციალური ოპონენტების – ცნობილი იურისტების და მეცნიერ-ხელმძღვანელის, სახელგანთქმული იურისტ-მეცნიერის საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი (გივი) ინწკირველის მიერ გამოთქმულ შეფასებებში. ფრიად დადებითად ახასიათებს ზ. ღუჭაშვილის ნაშრომს საქ. მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.

პროფ. ლ. ალექსიძის, პროფ. ა. დემეტრაშვილის, პროფ. ბ. ზოიძის დასკვნებში ყველგან ხაზგასმულია თემის მძაფრი აქტუალობა, თანამედროვეობა და ახალგაზრდა მკვლევარის გამბედაობა, რომელიც არ შეუშინდა თემის სიმწვავეს და თამამად შეეჭიდა ძალიან მტკივნეულ პრობლემებს, რომლებიც აწუხებს დღევანდელ ქართულ საზოგადოებას. თანაც ყველა საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოვლენის ისტორიასთან. შედარებები ზუსტია, მეტყველი და გამართლებული, დასკვნები – დამაჯერებელი და სასარგებლო.

დისერტაციის დაცვა მიმდინარეობდა ხალხით გაჭედილ დარბაზში. კამათი იყო საინტერესო შინაარსითაც და ფორმითაც, დისერტანტის მოსწრებულ და სხარტ პასუხებს არც სიღრმე აკლდა, არც იუმორი და არც სიმძაფრე. ეს იყო ნამდვილი აკადემიური პაექრობა, რომელშიც ოპონენტებმა აღიარეს ახალგაზრდა დისერტანტის მეცნიერული სიმწიფე და მისი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება, ხოლო დისერტანტმა დაამტკიცა, რომ მან დაიმსახურა ასეთი შეფასება, რომელშიც არაფერი არ არის გადაჭარბებული.

არც ამ გამოსვლებშია გადაჭარბება. და აი, რატომ:

თემა, რომელიც 23-24 წლის ახალგაზრდა იურისტმა ზურაბ ღუჭაშვილმა დაამუშავა, საკმაოდ ძველია და მასზე ცოტა როდი დაწერილა და თქმულა. მაგრამ პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში იგი ცოცხალია, აქტუალურია, ძალიან მნიშვნელოვანია და ამავე დროს საკამათო, სადავო და ხშირად დიდი შეხლა-შემოხლის წყარო და მიზეზიც.

საქმე ისაა, რომ სიტყვის თავისუფლება, ესე იგი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, გავრცელება ან გაღება და გამოყენება ყოველთვის ეხება სხვა ადამიანების უფლებებს, ხშირად კი სიცოცხლესაც. ეს არის ადამიანის მოღვაწეობის ისეთი სახეობა, რომელიც მოიცავს ეკონომიკას, კულტურას, რელიგიას, ზნეობას, პირად ცხოვრებას, საქმიანობას, სხვებთან ურთიერთობას — უკლებრივ ყველა სფეროს, რაც კი საზოგადოებისა და ცალკე პირთა ცხოვრებასა და ყოფას განეკუთვნება.

ინფორმაცია ყოველთვის იყო და დღეს განსაკუთრებით არის საზოგადოების მართვის უმთავრესი ბერკეტი. ამიტომ ამბობენ, რომ ინფორმაცია ყველაზე ძვირად ღირებული საქონელიაო. ეს განსაკუთრებით ითქმის ე.წ. საიდუმლო ინფორმაციაზე ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, ტექნიკური პროგრესისა და ადამიანების პირადი ცხოვრების სფეროდან. ასეთი ცნობების მისაღებად მილიონებს იხდიან და მილიონებად ჰყიდიან. ასეთი მნიშვნელობის ცნობების მოძიებით მდიდრდებიან და ცხოვრების უმაღლეს კიბეებზე ადიან, დაკარგვით კი — ღატაკდებიან და უფსკრულში იძირებიან.

გავრცელებულია აზრი, რომ თანამედროვე საზოგადოება ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლეა. სინამდვილეში საქმე

სხვანაირად არის. არასდროს კაცობრიობას იმდენი საიდუმლო არა ჰქონია, რამდენიც დღეს არის, და არა მხოლოდ თვითონ საიდუმლო ღირს დიდი ფასი, არამედ მისი შენახვაც. ამიტომ ერთნი მალავენ, მეორენი ეძებენ. ამან მიიღო ღია ანგარებითი ომის, დაუნდობელი ომის სახე და ავადმყოფური ინტერესით საკითხავი ლიტერატურის მუდმივ თემად იქცა.

ასევე გართულდა ადამიანის პირადი ცხოვრება. დიოგენების დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ადამიანებმა შეიძინეს დიდძალი ქონება და ყოველმხრივ მალავენ როგორც მის რაოდენობას, ისე მისი შოვნის წყაროებს. სხვები კი — ზოგი შურით, ზოგი წართმევის სურვილით — სწორედ ამ წყაროებში იქექებიან. თანაც ორივე მხარე ცდილობს თავისი საქციელის გასამართლებლად გამოიყენოს არსებული კანონები ან უკანონობა.

არსებობს ასეთი იდეალური ცნება — კანონი, რომელიც მოწოდებულია მართოს ადამიანთა ურთიერთობა და დაიცვას ე.წ. სამართლიანობა, რომელიც ყოველთვის მიკერძოებულია რომელიმე ჯგუფის სასარგებლოდ და ადვილად იცვლება საზოგადოებაში ძალთა თანაფარდობის შეცვლასთან დაკავშირებით. ამიტომ ესეც დაუნდობელი ბრძოლის, მუდმივი ბრძოლის სისხლიანი ან უსისხლო არენაა.

სიტყვის თავისუფლება ამ ბრძოლის ერთ-ერთი ველია, ხოლო თვით სიტყვა — ბრძოლის იარაღი. ამიტომ არის, რომ ფორმაციები სცვლიან ერთმანეთს, მაგრამ საინფორმაციო ბრძოლა არა წყდება. ტერმინიც კი დამკვიდრდა — „საინფორმაციო ომი", რომლის მოგების გარეშე ვერ მოიგებ ვერავითარ სხვა ომს.

საინფორმაციო ომში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიმართლისა და სიცრუის დოზირების საკითხს. ასევე ამ

ინფორმაციის გავრცელება-დანერგვის უნარის. შეიძლება ცამდე მართალი იყო და მაინც დამარცხდე, ასევე შეიძლება ტყუილს ამბობდე, ცრუობდე და მაინც დააჯერო სხვები შენს სიმართლეში. აქ დიდ როლს თამაშობს,რამდენად საშენოდ მოამზადე და განაწყვე ის, ვინც მსაჯულის როლში გამოდის და რომლის სათანადოდ მომზადებაზეც ამ ომის წინა საფეხურზე უნდა გეფიქრა.

მეცნიერულ ენაზე საინფორმაციო ომში გამოყენებულ სიცრუეს დეზინფორმაციას უწოდებენ და მან დღეს გლობალური მასშტაბები მიიღო. დეზინფორმაციის ანუ ტყუილის თქმის მთელი ინდუსტრიაა შექმნილი, რომლის წინააღმდეგაც ოფიციალური იურიდიული კანონები ძალიან ხშირად უძლურია, რადგანაც არცთუ იშვიათად თვითონ კანონშია ჩამონტაჟებული მისი უძლურობის მექანიზმი. ეს გაკეთებულია ან შეუგნებლად, რაც კანონმდებლის დაბალ ერუდიციაზე მეტყველებს, ან შეგნებულად, იმ ძალების მიერ, ვინც წინასწარ განჭვრიტა, რომ იქნებ ეს კანონი ოდესღაც მასაც შეეხოს.

არის ინფორმაციის ერთი სფეროც, სადაც ნამდვილი, სწორი ინფორმაცია, სიმართლე ტყუილზე, ჭორზე, დეზინფორმაციაზე უფრო საშინელია და რომელსაც მოხერხებული სუბიექტები საშანტაჟოდ იყენებენ. ეს არის მდიდარი ადამიანების პირადი ცხოვრების არასახარბიელო დეტალები, რომელთა საჯაროდ გაცხადება მათთვის სირცხვილია და სიკვდილის მომტანია. სწორედ ამ სფეროში გაიფურჩქნა ე.წ. პაპარაციზმი, რომელიც უდიდეს ბოროტებად იქცა. პაპარაცებს ლანძღავენ, ანამუსებენ, აშინებენ. მაგრამ მათ კარგად იციან იურიდიული კანონების სუსტი მხარეები, ხოლო ზნეობრივი კანონები მათ არ აწუხებთ და თავის ბინძურ საქმეებს აკეთებენ ჯიუტად, შეუპოვრად და იმ

იმედით, რომ შავი ლაქა ყველა თანამდებობის პირის ბიოგრაფიაში არის, მთავარია, მოუძებნო მას ეს ლაქა და... კანონის დამცველი განიარაღებულია — ის გაჩუმდება და იქნებ სხვა რამესაც გამორჩე. ძალაუნებურად გაგახსენდება ცნობილი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსის სტრიქონები:

წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის.
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს,
ხდება, ციხეში აგზავნის.

აი, რა პრობლემებს შეეჭიდა ახალგაზრდა მეცნიერი ზურაბ ღუჭაშვილი. შეეჭიდა და გამარჯვებაც მოიპოვა. ყურადღებით წაიკითხეთ ამ წიგნში წარმოდგენილი მისი შრომები (სამწუხაროდ, მეტის გაკეთება ვერ მოასწრო) და თვითონ დარწმუნდებით, რამდენად ღრმად ჩასწვდა იგი პრობლემების არსს, რამდენად მრავალმხრივ შეისწავლა მან საკითხთა ისტორია და თანამედროვეობა და რა შესანიშნავად გააშუქა ისინი, თანაც დახვეწილი, გამჭვირვალე ქართულით, რაც არცთუ ისე ხშირად გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

სიახლეც ბევრია მის ნააზრევში. განსაკუთრებით ისეთი ალოგიზმების შესახებ, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ხელშეუხებელ დოგმებად ითვლებოდა და მათში ეჭვის შეტანა ხშირად სახიფათოც იყო.

ფრიად სამწუხაროა, რომ იურიდიულმა მეცნიერებამ დაკარგა ახალგაზრდა პერსპექტიული მოაზროვნე, საზოგადოებამ — შინაგანად და გარეგნულად ყოველმხრივ შემკული წევრი, ხოლო ოჯახმა და ნათესაობამ — უსაყვარლესი ადამიანი, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

მაშ, ვინ არის ზურაბ ღუჭაშვილი?

აი მის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ბიოგრაფია:

მე, ზურაბ შალვას ძე ღუჯაშვილი, დავიბადე 1974 წლის 21 მარტს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1991 წელს დავამთავრე ქალაქ თბილისის 90-ე საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის დასწრებული სწავლების განყოფილებაზე. იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე 1996 წელს წარჩინების დიპლომით.

1995 წლის აპრილის თვიდან, სტუდენტობის პერიოდში სამუშაოდ ვრჩები იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ლაბორანტად.

1996 წლის ოქტომბრის თვიდან 1999 წლის იანვრამდე ვმუშაობდი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანაშემწედ.

1996 წლის დეკემბრის თვიდან ვარ იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი, სპეციალობით — სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ისტორია, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია. მეცნიერ-ხელმძღვანელად დამენიშნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ინწკირველი, ხოლო სადისერტაციო თემად დამიმტკიცდა „სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების იურიდიული და ზნეობრივი საფუძვლები“, რომელიც დავიცავი 1998 წლის 30 დეკემბერს და მომენიჭა იურიდიულ მეცნიერება-

შალვა ღუჭაშვილი

მშობლები

ლეილა კობახიძე

ზურაბი და მისი და მაკა

თა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1999 წლის 29 იანვრიდან მუშაობას ვიწყებ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და ვინიშნები სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს კრიმინალისტიკური განყოფილების სტაჟორად პროკურორ-კრიმინალისტიკის ვაკანტურ თანამდებობაზე ორ წლამდე ვადით, ხოლო 1999 წლის 21 ივნისიდან გადავდივარ ქ. თბილისის გლდანის რაიონის პროკურატურის სტაჟორად გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე, სადაც დღემდე განვაგრძობ მუშაობას.

ამავე დროს, 1998 წლის 1 სექტემბრიდან ვარ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის მასწავლებელი, სადაც ასევე ვმუშაობ დღემდე.

ვარ უპარტიო, უცოლშვილო.

მყავს მშობლები, და. ძმა – ღუჭაშვილი ზაქარია გარდაიცვალა 1995 წლის 3 თებერვალს კუჭის ოპერაციის შედეგად, იყო იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი სპეციალობით – „სისხლის სამართლის პროცესი და კრიმინალისტიკა“.

დედა – კობახიძე ლეილა – პედაგოგია.

მამა – ღუჭაშვილი შალვა – ინჟინერია.

და – ღუჭაშვილი მაკა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის ფაკულტეტის VI კურსის ფრიადოსანი სტუდენტი.

ვცხოვრობ თბილისში, შემდეგ მისამართზე: ისნის რაიონი, ვაზისუბნის დასახლება, კორპ. 10, ბინა 31. ტელ. 77-70-70.

ზ. შ. ღუჭაშვილი
28 აგვისტო, 1999 წელი.
ქ. თბილისი.

ეს მართლაცდა მოკრძალებული ბიოგრაფია საჭიროებს პატარა კომენტარებს.

ღუჭაშვილების გვარი ერთ-ერთი უძველესია მარტყოფში. სახელოვანი გვარია და შალვა ღუჭაშვილის ოჯახიც გამორჩეულად ცნობილია და სახელოვანი, მშრომელი, სტუმართმოყვარე, ავისა და კარგის მცოდნე და გამგები. და ვაი, რომ განგებისაგან უსამართლოდ დაჩაგრული. რაღაც ოთხიოდე წლის განმავლობაში ამ ოჯახმა ორი უზარმაზარი, ბიბლიური მასშტაბების უბედურება განიცადა – 1995 წელს 24 წლის ასაკში საოპერაციო მაგიდაზე დაიღუპა ზურაბის უფროსი ძმა ზაქრო, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. ბრწყინვალე ცოდნა და ერუდიცია გამოავლინა ასპირანტურაში მისაღები გამოცდების დროს, მაგრამ სწავლა აღარ დასცალდა. ზაქრომ სწავლის დასაწყისშივე მიიქცია ყურადღება თავისი შინაგანი თვითდისციპლინით, სერიოზულობით, კულტურითა და განსჯის უნარით. ზაქრო ყოველმხრივ სანიმუშო ახალგაზრდის ნიმუშად იქცა და ამით ერთგვარად გაუადვილდა კიდევაც მომდევნო ძმას, ზურაბს, გზის გაკაფვა, როდესაც იგი, ზურაბი, ამავე ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ძმებმა სახელი გაითქვეს. მათზე ლაპარაკობდნენ კეთილად, სიყვარულით, მოალერსებით, კარგი მომავლის იმედით. ამავე დროს ეს ფაქ-

ტი სასიხარულო იყო იმითაც, რომ ჩვენს საზოგადოებას კვლავაც შეუძლია დაინახოს, შეამჩნიოს და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ნიჭს, მომავლისთვის საიმედო ადამიანებს.

ოჯახიც სიხარულით ცას ეწეოდა, რომ ვაჟიშვილები ღვთის წყალობით ასეთები გამოდგნენ. მათი მამა, ბ-ნი შალვა ღუჭაშვილი, მერე, შვილების ერთმანეთზე მიყოლებით დალუპვის შემდეგ, მწარედ იგონებდა, რომ სიხარულის წლებში ღმერთს მადლობას უძღვნიდა მონიჭებული ბედნიერებისათვის და თანაც ეჭვი ებადებოდა, რით დაიმსახურა ასეთი ღვთის წყალობა. სათუთად უფრთხილდებოდა ამ სიხარულს, თავდადებული შრომითა და სიკეთის თესვით ცდილობდა გაემართლებინა ღვთის მადლი.

ზაქროსა და ზურაბის დედა — ქალბატონი ლეილა კობახიძე — სიკეთისა და ალალმართალი ადამიანის განსახიერებაა. ცნობილია, რა დიდებული ადამიანების რეპუტაცია აქვთ რაჭველებს საქართველოში. ქ-ნი ლეილა, ნიკორწმინდელი რაჭველი, ამ ადამიანობის ბრწყინვალე მაგალითია — სათნო, გულისხმიერი, უშურველი, მუდამ რომ მზად არის, ადამიანს ხელი გაუწოდოს, გვერდში ამოუდგეს, თანაც აკეთებს ამას როგორღაც ისე რბილად, მორიდებით, შეუმჩნეველად, რომ თითქოს არც სურს, უცხო თვალმაც დაინახოს მისი ასეთი ამოუწურავი სიკეთე და კეთილგანწყობა.

და კიდევ — ქ-ნი ლეილა უაღრესად მორწმუნე და ღვთის მოსავი პიროვნებაა. ალბათ ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს ქართველი დედისათვის ზედიზედ მიყოლებით ორი ვაჟკაცი შვილის დაკარგვა. სხვა უმისო გადაირეოდა, ყველაფრის გმობას დაიწყებდა, მოთქმა-გოდებას აღარ მოეშვებოდა. მან კი ყველაფერი ეს გულში ჩაიკლა, მოერიდა ნაცნობ-ნათესავთა ზედმეტ შეწუხებას, ნერვები მოთოკა და, რომ იტყვიან, გაუსაძლისს გაუძლო, აუტანელი აიტანა, ღვთის

უსამართლობაზე სიტყვა არ დასცდენია და ვაჟიშვილებზე დაუხარჯავი სიყვარული მაკაზე, ერთადერთ ქალიშვილზე გადაიტანა. მაკა, ნაზი, მშვენიერი, დღევანდელი სტანდარტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცოტა ზედმეტადაც თავშეკავებული გოგო. პროფესიით ექიმი, მოწოდებით დედისა და მამის მიმხედი, დამამშვიდებელი, სულიერი მკურნალი, თუმცა ძმების დაღუპვა მისთვისაც თავზარდამცემი იყო. მან მარტო გულითა და გონებით კი არ დაიტირა ძმები-მეგობრები. ეს მან გააკეთა რაღაც ღვთაებრივი სიმშვენიერით, ტაქტითა და მომნუსხველობით. ისე, დიდი ვაჟა რომ ბრძანებს:

სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას – ტირილი დისაო.

ასეთი იყო და ასეთი არის დღეს ღუჭაშვილების ოჯახი, რომელსაც ასე უხდება გენიალური ფშავლის დახატული შედარება:

ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
სახე იმ სალის კლდისაო,
რო მუდამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო.

ასეთ ოჯახში აღზრდილი ადამიანი არ შეიძლება იყოს უზნეო ან უხეში და უყურადღებო (თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებიც მომრავლდა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ოჯახურ აღზრდას აშკარად უკვე სჯაბნის ქუჩისა და გარემოს ზეგავლენა და განსაკუთრებით ისეთი „აღმზრდელი ძალა“, როგორიცაა ძალადობით, სისასტიკით, უზნეობით გაჯერებული ტელეეკრანი, რომელიც ღვთით გამოგზავნილი სტუმარივით შემოვუშვით სახლში და ლამის არის სულ დაგვინგრიოს ოჯახი).

ზურაბიც უაღრესად ყურადღებიანი იყო ადამიანები-

ზურაბი მეგობრებთან

ზურაბი მეგობრებთან

სადმი. გასაოცრად განვითარებული ჰქონდა უფროს-უმ-ცროსობის გრძნობა. გულღია იყო, უყვარდა ადამიანებთან კეთილი ურთიერთობა, ხუმრობა ეხერხებოდა და სხვისი ნათქვამიც ესმოდა. მოკლედ, რომ იტყვიან, კაი ბიჭი იყო, ნამდვილი კაი ბიჭი. ისეთი, საზოგადოებას რომ შეუმჩნეველი არ რჩება. არც გოგოების ყურადღება აკლდა, თანაც მართლა კარგი გოგოების. ეს ყურადღება ზოგჯერ დიდ სიყვარულში გადადიოდა, რასაც ადასტურებს ამავე წიგნში მოთავსებული „მზიას სამწუხარო მოგონებები". ახალგაზრდებო (და ცოტა უფროსებოც), ყურადღებით, ჩაკვირვებით წაიკითხეთ ეს პატარ-პატარა, დათუთქული გულიდან ამონაკვნესი სიტყვები და დარწმუნდებით, რომ დღესაც გვყავს დიდი სიყვარულის რომეოები და ჯულიეტები, რომელთა საქციელითაც უნდა ვიამაყოთ ისევე, როგორც ვამაყობთ ერისათვის თავდადებულთა გმირობით. მზიავ, სულითა და ხორცით უმშვენიერესო ქართველო ქალიშვილო! შენ შენი ამ „მოგონებებით" უკვე დაიდგი ხელთუქმნელი ძეგლი და დაიმსახურე მადლობა არა მხოლოდ ზურას ახლობლების, არამედ ყველასი, ვისაც სიყვარული ჯერ კიდევ ვერ გაუმეტებია დოლარებზე დასახურდავებლად. მადლობა შენც და ზურასაც, რომ ასე ძველმოდური, რაინდული ყაიდით, ასე ღრმად და სიკვდილის ჯიბრით ასე უკვდავად გიყვარდათ ერთმანეთი, რაც მაგალითად უნდა დარჩეს მომავალი თაობებისათვის.

მზია თავის გვარს არსად არ ამჟღავნებს. იგი, როგორც ქურუმი, ემსახურება თავის ღმერთს — სიყვარულს და ჯილდოდ მისთვის ესეც საკმარისია.

ღმერთმა ამ სიკეთითა და კაიქალობით გატაროს ცხოვრებაში, ქართული მიწის უმშვენიერესო ზიზილავ, მზისადარო მზიავ!

ზოგმა შეიძლება შეიცხადოს, რა ამბავია ასეთი ხოტბაო, მე მათ მოკლედ ვუპასუხებდი ხალხური ლექსით:

ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა —
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

მიაქციეთ ყურადღება, ახალგაზრდებო, — ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო. აი, ისეთი, მზია რომ არის თავისი მოწმენდილ-მოკრიალებული ცასავით დიდი და სუფთა სიყვარულით.

ზურაბ ღუჭაშვილი წავიდა ამ ქვეყნიდან ისევე ლამაზად და ვაჟკაცურად, როგორც იცხოვრა. და ახლა ჩვენ ვაზუსტებთ, დიდი მწუხარების გარდა, თუ სხვა რამეც დაგვიტოვა.

თურმე დაგვიტოვა კიდევ ისეთი რამ, რაც მომავალ თაობებსაც გამოადგებათ, იმათ, ვინც იცნობდა ზურას, მაგრამ წლების შემდეგაც შეუძლია გაიცნოს ამ ერთტომეულით, დაინახოს და იგრძნოს, რა აინტერესებდა ამ ახალგაზრდა კაცს ცხოვრებაში, როგორ ფიქრობდა და მსჯელობდა, როგორ აზროვნებდა და გამოხატავდა თავის აზრებს სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი-იურისტი.

ხოლო მისი საკვლევი საგანი — სიტყვის თავისუფლების პრობლემა იყო, არის და კვლავაც დარჩება უაღრესად საჭირბოროტო საკითხად, რის შესახებაც ზურაბ ღუჭაშვილმა თავისი საინტერესო სიტყვა უკვე თქვა.

მომავალზე კი მომავალმა იზრუნოს.

გიორგი წიბახაშვილი

ზურა ღუჭაშვილი

21 მარტი შენი დაბადების დღეა, პირველად მოვიდა უშენოდ. 29 წელი შეგისრულდებოდა. ამ მცირე მონოლოგის გარდა ვერაფერს გისახსოვრებ, რადგან მეტი არაფერი დამრჩენია.

აღარ მიხარია უშენოდ გაზაფხულის მოსვლა, რომელსაც შენ ასე ჰგავდი. მაგრამ, ვაი რომ ვერაფერს შევცვლით... ბოლო ჟამს სხეულში ველარ ეტეოდი, სიცოცხლეს ესწრაფოდი, უზადო სიკეთედ იხარჯებოდი ნაცნობ-მეგობრებში, აკი ამიტომაც გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე.

სულ 28 გაზაფხულს მოესწარი, იმ სიკეთისა და სიყვარულის სათესად, რისთვისაც ზოგს ათეული წლები სჭირდება.

შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა ბედისწერამ, მე კი უსაზღვრო ტკივილი. უზომოდ მეიმედებოდი და მეამაყებოდი, მოუშუშებელი ჭრილობა დამიტოვე, რომლის განკურნება არანაირად არ შეიძლება.

მზია

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003, 21 მარტი

ზურა ღუჯაშვილი

უჩვეულო ბედისწერამ იშვიათი მეგობარი წაგვართვა. ერთი წელია, გვენატრება შენი ხმის გაგონება. ერთი წელია, თავზარდაცემულები დავდივართ. თბილი, მოსიყვარულე, მზრუნველი მეგობარი, პიროვნება, რომელიც ყველასთვის და ყველაფერში ბოლომდე იხარჯებოდა — გულის სიღრმეში დღესაც არ მაკერა ის შემზარავი გრძნობა, რასაც შენი არყოფნა ჰქვია. უანგაროდ ემსახურებოდი სიკეთეს, შენთვის ხომ მადლი ისეთივე ჩვეულებრივი რამ იყო, როგორც შენი სუნთქვა. შენგან ნათეს სიკეთეს შენს გარეშეც დღესაც ვიმკით შენი მეგობრები. უჩვეულო სევდიანი ღიმილის მომგვრელია ყოველივე ეს. ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული.

მომავალშიც, დარწმუნებული ვარ, უფრო და უფრო მოგისაკლისებთ. შენმა უზადო სიყვარულმა უფრო და უფრო დამანახვა, როგორ უნდა უყვარდეს მეგობარს მეგობარი. ყოველ შეხვედრაზე ვხუმრობდით, მერე კი სიცილით ვიგონებდით იმ დიალოგებს... ჩვენს გარეშე შენც საბრალო ხარ, როგორც ჩვენ. უშენოდ შენი არყოფნით სულში გაჩენილ სიცარიელეს ვეღარაფინ შეგეივსებს.

ტყუილად ამბობენ: დრო ყველფრის მკურნალიაო, სიყვარულით გულანთებულო ბიჭო, დაე, შენს სულს ნურაფერი შეაშფოთებს, გაგეიჭირდება, მაგრამ ვეცდებით, შენი მოგონებით შევიმსუბუქოთ შენი მონატრება, მუდამ ერთგულო და უღალატო, უშენოდ დაცარიელდა სული. შენ ისეთი დიდი სიყვარული დათესე, რომ ყველას გაუსაძლისად აკლიხარ.

ნუგეში ერთია: მკერა, ნათელში ხარ, ამ მოკლე ხანში კაცური კაცის სახელი დატოვე. შენი ლაღი, მხიარული, დიდსულოვანი ბუნება მუდამ გამყვება ტკბილ და ცრემლიან მოგონებად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მზია

გაზ. 'საქართველოს რესპუბლიკა", 2003, 3 იელისი

ზურა ღუჯაშვილი

30 წელი შეგისრულდებოდა– გაზაფხულივით ლამაზმა, ზორბა ტანის ვაჟკაცმა. ტრაგიკულად დასრულე ლამაზი სიცოცხლე–

უშენოდ მოვიდა გაზაფხული. უშენოდ გაყვავილდა ბუნება! შენს საფლავზე შევიკრიბეთ ახლობლები. ირგვლივ უშენობით დასდგურებული სიჩუმე, ტკივილი და სიცარიელეა– ყვავილებით მოვრთეთ შენი საფლავი და შენს მაგივრად მას ვეფერებით.

იშვიათად იბადებიან ფიზიკურად და სულიერად ისეთი სრულყოფილი ადამიანები, როგორიც შენ იყავი. გვენატრები– როცა ერთად ვიყავით, ყოველთვის ამყად ვგრძნობდი შენს გვერდით თავს.. უარყოფით განცდებს გულში იმარხავდი და მუდამ ბედნიერი გამომეტყველების ნიღაბს ატარებდი. ამიტომაც გახდი ბევრისთვის მარადიულად საყვარელი და ზოგისთვის შესაშურიც კი.. შენს უბრალოებაში დიდ ბუნებას ვხედავდი. სიცოცხლით სავსე და ენერგიული, არ მემეტები დუმილისათვის, მაგრამ. ვაი, რომ მწარეა სიკვდილი, რომელსაც ველარაფერი შველის–

სუფთა სინდისი და მიტევების დიდი უნარი გქონდა. ახლალა ვხვდები, რაოდენ ღირსეული და საიმედო იყავი. დაუვიწყარია შენს მიერ 28 წლის მანძილზე დათესილი სითბო და სიკეთე, რაც ასე უხვად მოასწარი.

ბოლო ხანს შენს ტყვეში ველარ ეტეოდი, უფრო მეტს სთხოვდი ცხოვრებას, შეუძლებელსაც კი–

წახვედი, მაგრამ შენი სული აქ დარჩა, შენი ვაჟკაცობის დაუვიწყარ მოგონებად.

დაბადების დღე, მაგრამ უშენოდ.
მწუხარე განცდებს რითი ვუშველოთ...
მხოლოდ ტკივილი, სევდა, ფიქრები,
შენ ჩვენს გვერდით რომ ველარ იქნები...
შენი ლიმილი სულ გვეხსომება,
უშენოდ ზანტად მიდის ცხოვრება.
გვიყვარდი, გვწამდი თავგამეტებით,
ნათელში იყავ, ღმერთს ვევედრებით!!!

სიყვარულის წილ სიყვარულს ითხოვდი, დღესაც მხოლოდ სიყვარულია ჩემი გაუხსნელი საჩუქარი.

ღმერთს ვთხოვ, ჩემმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში..

მზია

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2004, 21 მარტი

✝

მოუგო იესუ და ჰრქუა მათ: „ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად.

(ხოლო იესო პასუხად ეუბნებოდა მათ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ისმენს ჩემს სიტყვას, და სწამს ჩემი მომავლინებელი, აქვს საუკუნო სიცოცხლე, და არ მივა სამსჯავროდ, არამედ გადავიდა სიკვდილიდან სიცოცხლეში).

სახარება იოანესი, V, 24

მარტყოფი. აპარნის სასაფლაო

სიტყვის თავისუფლების ზნეობრივი და იურიდიული საფუძვლები



სახარება იოანესი, I, 1,2



სულხან-საბა ორბელიანი,
არაკი „უტკბესი და უმწარესი“

შესავალი

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ვითარდება, როგორც მსოფლიოს თანამეგობრობის დამოუკიდებელი სუბიექტი, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის იურიდიული სტრუქტურისა და ფუნქციონირების როგორც მეცნიერულმა კვლევამ, ისე სადღეისო საკითხების პრაქტიკულად გადაჭრამ. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა საზოგადოებაში სიტყვისა და აზრის თავისუფლება. ოღონდაც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მოკლე, ლაკონიურ ფორმულაში ჩადებულია რამდენიმე რთული და ერთგვარად წინააღმდეგობრივი პრობლემა, რომლებიც არც დღეს წარმოქმნილა და არც დღეს გადაიჭრება.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება ძალიან ძველი პრობლემაა და იგი უკავშირდება საერთოდ პიროვნების თავისუფლების პრობლემას, ამიტომ პიროვნების თავისუფლების ცნება ყოველთვის წინ უძღვოდა სიტყვის თავისუფლების ცნებას, რომელიც, როგორც თეორიულმა და პრაქტიკულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

თავისთავად თავისუფლება ვიღაცისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. ამიტომ თავისუფლების ცნება ისტორიულად ცვალებადი, განვითარებადი და სოციალური კატეგორიაა და მისი ფუნქციონირება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაშია შესაძლებელი. ადვილი გასაგებია, რომ

ინდივიდუმი საზოგადოების გარეშე შეუძლებელია და უაზრობაა ერთადერთი, იზოლირებული პიროვნებისათვის, როცა მის ირგვლივ არავინ არ არის, შეუძლებელია თავისუფლებაც და არათავისუფლებაც. ასე რომ თავისუფლების ცნების არსებობა დამოკიდებულია საზოგადოების არსებობაზე. თანაც ისეთი საზოგადოების, რომელიც დაყოფილია ურთიერთდაპირისპირებულ ფენებად, დაჯგუფებებად და პიროვნებებად. ამას ადასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორია.

სიტყვისა და აზრის თავისუფლების პრობლემას ბევრგან დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ.

უნდა ითქვას, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოთქმა "აზრისა და სიტყვის თავისუფლება", რადგანაც სიტყვის თავისუფლების პრობლემა ჩნდება იქ, სადაც უკვე მომწიფდა რაღაცა აზრი, რომლის ავტორიც მიიჩნევს, რომ ეს აზრი სხვებისათვისაც იქნება საინტერესო და ამიტომ მას სიტყვით გამოთქმა სჭირდება. აქვე ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ აზრის თავისუფლება, ან რაღაც მოსაზრების ჩამოყალიბება ამა თუ იმ მოვლენაზე, არ არის სოციალური პრობლემა (ეს მოსაზრება მოსაზრების დონეზე მხოლოდ პიროვნების საკუთრებაა). საზოგადოებრივ ჟღერადობას აზრი იძენს მხოლოდ მისი სიტყვიერად გამოხატვის შედეგად და აქვე იჩენს თავს პრობლემა, თუ რამდენად კანონზომიერია მომწიფებული მოსაზრების გამოთქმა და აქედანვე იწყება ბრძოლა ამ მოსაზრების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლების პრობლემა სხვადასხვანაირი სიმწვავით დგას სხვადასხვა ქვეყნებში. და რაც უფრო შეზღუდულია პიროვნების შესაძლებლობები გამოთქვას საკუთარი აზრი, მით უფრო მწვავდება ასეთი სურვილი და სათანადოდ წინააღმდეგობაც. ე.წ. ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში შემუშავდა საზოგადოების ყოფის ისეთი ფორმებიც, რომლებიც პიროვნებას აძლევენ საშუალებას თქვას ის, რის თქმაც უნდა — რაიმე სერიოზული ან რაღაც სულელური. მაგალითად, ინგლისის დედაქალაქ ლონდონში არის ცნობილი ჰაიდ-პარკი. ამ პარკში სასეირნოდ მისულ ადამიანებს მრავალნაირი გასართობი ელით, მათ შორის არის ისეთი რამეც, რაც ზოგს იზიდავს, ზოგს ართობს, ზოგი კი აღშფოთებამდე მიჰყავს. ეს არის მრავალრიცხოვანი, ინდივიდუალური ტრიბუნები, ან უბრალოდ, ამაღლებული ადგილები, საიდანაც ყველას შეუძლია იქადაგოს, ილაპარაკოს, ვიღაც აქოს, ვიღაც აკრიტიკოს, მიუხედავად მისი რანგისა და თანამდებობისა. გამონაკლისს წარმოადგენენ ღმერთი და მონარქი. მათ მიმართ რაიმე კრიტიკული აზრის გამოთქმა უბრალოდ აკრძალულია და ამას ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იქ მოსეირნე პოლისმენები. ამ მრავალრიცხოვან და ჭრელ გამოსვლებში შეიძლება ზოგჯერ რაღაც ჭკვიანური და სერიოზულიც ჟღერდეს, მაგრამ ჰაიდ-პარკის ორატორობა იმდენად არასერიოზულ მოვლენად ითვლება, რომ არავინ მათ ყურადღებას არ აქცევს, ამავე დროს ნუ ვიფიქრებთ, რომ ჰაიდ-პარკის ეფექტი მხოლოდ ლაპარაკის მოყვარულთა გულის მოფხანაა. ეს

არის "ორთქლის გამოშვების" დიდი ხნის წინათ კარგად დამუშავებული ფორმა. რაღაც იდეით შეპყრობილი ადამიანი ყოველთვის ცდილობს ეს იდეა ვილაცას გაუზიაროს. თანაც, თუ იდეა რაღაცის ან ვილაცის მიმართ პროტესტს შეიცავს, მისი გამოთქმის სურვილი უფრო უძლიერდება პიროვნებას, ხოლო თუ რაღაც ფორმით მან ეს მოახერხა, ანუ ხმამაღლა გამოთქვა მის თავში მომწიფებული აზრი, იგი მშვიდდება, რაღაც კმაყოფილებას გრძნობს, შეიძლება ვთქვათ, ერთხანს ტკბება კიდეც თავისი "მიღწევით". აი, რაშია "ჰაიდ-პარკის ეფექტის" საიდუმლოება.

ე.წ. ძველი დემოკრატიის ქვეყნებში გაბრაზებული ადამიანის დამშვიდების ასეთი ფორმები საკმაოდ გავრცელებული რამ არის. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თეთრი სახლის შორიახლოს, რაღაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ყველას აქვს უფლება იდგეს ან იჯდეს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული პლაკატით ხელში, ან გამოაცხადოს შიმშილობა, რომელიც შეიძლება იყოს ერთდღიანი ან უფრო ხანგრძლივი, მშრალი ან სველი (ანუ ისეთი შიმშილობა, როდესაც ადამიანი საჭმელს არა ჭამს, მაგრამ სხვადასხვა წვენებზე და წყალზე უარს არ ამბობს). "ამგვარი პროტესტები", როგორც წესი, მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ მთავრდება, მოსწყინდება ადამიანს იქ ჯდომა, შესცივდება ან დაიღლება და მიდის სახლში. სამაგიეროდ, ის თავს იმშვიდებს იმით, რომ მას, როგორც შტატების მოქალაქეს, აქვს რაღაც უფლება და უფლების გამოყენების შესაძლებლობაც.

ამგვარი სახის მოქმედებებს ნელა-ნელა საქართველოც ეჩვევა.

აღიარებულია, რომ თავისუფალი სიტყვა საზოგადოების განვითარების პროცესში უზარმაზარ როლს თამაშობს და ზოგჯერ წარმართავს კიდეც ასეთ პროცესს. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, თუ ვინ არის თავისუფალი სიტყვის ქადაგი და გამტარებელი. ძალიან ხშირად მსმენელს და მკითხველს სწამს არა იმდენად ნათქვამი, რომელიც შეიძლება მას არც ესმოდეს, არამედ მთქმელის ავტორიტეტი. ადამიანის ბუნება ასეთია: ვიღაცის სჯერა, ვიღაცის არ სჯერა, და შეიძლება ეს განწყობილება ემყარებოდეს საკმაოდ სუსტ და არასანდო საფუძველს. სწორედ, "არმჯერას მჯერად" გადაქცევის პროცესი და მცდელობაა წინასაარჩევნო კამპანია. ამ ხმაურში, როდესაც ყველა თავის სიმართლეს ამტკიცებს, ხშირად ძნელი გასარჩევი ხდება, მართლა ვინ არის მართალი და ვინ ცდილობს მსმენელის ან მკითხველის შეცდომაში შეყვანას. ასეთ პირობებში იოლდება შავის თეთრად გასაღება და, მაშასადამე, სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება. მაგრამ ასეთი პაექრობა ოფიციალურად, კანონით დაშვებულია და ჟურნალისტის მიერ მოსწრებულად შექმნილი ტერმინით ხასიათდება - ხმებზე ნადირობა. ადამიანის ნდობაზე "ნადირობა", თავისთავად ეს საძრახისი საქმეა, ისევე, როგორც საკუთარი თავისა და საქმიანობის ქება და განდიდება. ეს ბოლო თვისება რატომღაც პიროვნებისათვის ითვლება საჩოთირო მოქმედებად, პოლიტიკური პარტიებისათვის კი ეს თვითრეკლა-

მის საუკეთესო საშუალებაა. აი, ამ რეკლამირების დროს, სიტყვის თავისუფლება ხშირად გადაიზრდება ხოლმე თვითნებობასა და უპასუხისმგებლობაში, მოპირდაპირე მხარის ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეურაცხყოფაში. ასეთ სიტუაციაში თავისუფალი სიტყვა ძალიან უახლოვდება ტოტალიტარული რეჟიმის თავისუფალ სიტყვას. თუ ისტორიას გადავხედავთ, ადვილად დავინახავთ, რომ სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება კაცობრიობისათვის სულაც არ არის ახალი რამ: მაგალითად, ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაზღვრული ადგილი ეკავათ ე.წ. დემაგოგებს, რომლებიც ვისიმე შეკვეთით ადგენდნენ ლამაზად შეთხზულ სიტყვებს, რომლებშიც მცირე სიმართლესთან ოსტატურად იყო შეზავებული სიყალბე და გულუბრყვილო მსმენელთათვის საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა. დემაგოგების სამსახურით ფართოდ სარგებლობდნენ ისინი, ვისაც სურდა ფაქტების გაყალბებით, ცრუ დაპირებებით, მასების წინაშე პირფერობით გადაებირებინა ისინი თავის მხარეს და მიეღწია თავისი მიზნებისათვის.

დემაგოგები, სამწუხაროდ, დღესაც ბევრნი არიან და არსებითად აკეთებენ იმავე საქმეს, რასაც აკეთებდნენ ძველ საბერძნეთში.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში დიდი მსხვერპლის საფასურად მოპოვებული სიტყვის თავისუფლება მალე იქცა ტირანიის ერთ-ერთ ფორმად. იმდროინდელი გაზეთები ათასგვარ ტყუილ-მართალს ბეჭდავდნენ არა მარტო დამხობილი მონარქიის მომხრეთა წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ბანაკის წარმომადგენლო-

ბის წინააღმდეგაც, როგორც კი ცალკეულ პირთა ინტერესთა შეტაკება იჩენდა თავს. ამ დროს ხშირად ავიწყდებოდათ რევოლუციაც, ხალხიც, ჰუმანიზმიც და სხვა მაღალი მატერიებიც: მთავარი იყო მომაკვდინებელი დარტყმის მიყენება მოწინააღმდეგისათვის, იმის და მიუხედავად, თუ რომელი ბანაკიდან იყო იგი.

ამ რამდენიმე ხნის წინ გაზეთმა "ალიამ" გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი წერილი "სად მიდის ჩვენი ფული". ეს წერილი, სხვა ამგვარი პუბლიკაციებისაგან გამოირჩევა თავისი პირდაპირი გამანადგურებელი კონკრეტულობით: დასახელებულნი არიან მაღალი თანამდებობის პირები და მითითებულია ნომრები მათი პრესტიჟული მარკის მანქანებისა, რომელთა ფასი მრავალი ათეული ათასი ლარია. წერილის ავტორი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიუთითებს, რომ ეს მანქანები შეძენილია იმ ფულით, რომელიც ხალხს პენსიებისა და ხელფასების სახით უნდა დარიგებოდათ[1]. დასკვნა სრულიად გარკვეულია: ხდება უზარმაზარი დანაშაული, იქურდება სახელმწიფო ხაზინა და მიმდინარეობს ქვეყნის, ხალხის ტოტალური ძარცვა. ეს ბრალდება იმდენად მძიმეა, რომ ზემდგომი ორგანოებიდან და მითითებულ პირთაგან უნდა მოჰყოლოდა მძაფრი რეაქცია: თუ წერილში მოტანილი ფაქტები სინამდვილეა, ე.ი. დასახელებული პირები მონაწილეობდნენ ქვეყნის ძარცვაში, მათ პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე, მაგრამ თუ გაზეთის მიერ გამოქვეყნებული მასალა სიყალბეა, მაშინ გაზეთმა უნდა აგოს პასუხი თანამდებობის პირთა წინა-

[1] იხ. გაზეთი „ალია“, თბილისი, 1998 წ. 29-30 სექტემბერი.

აღმდეგ მიმართული ცილისწამებისათვის, ანუ არსებული რეჟიმის დისკრედიტაციისათვის.

ნორმალურ საზოგადოებაში, სადაც კანონი მართლაც კანონობს, ეს რეაქცია უნდა დაწყებულიყო წერილის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე. სამწუხაროდ, წერილს არავითარი რეაქცია არ მოჰყვა, მაგრამ მკითხველმა შეიძლება გააკეთოს ასეთი დასკვნები: პირველი, მხილებულ პირებს წაყენებული ბრალდებების უარყოფა არ შეუძლიათ, მაგრამ მათ იმედი აქვთ, რომ პასუხის მომთხოვნი არავინ არის, ამიტომ არც არავითარი ნერვიულობა გამოიჩინეს. მათ იციან, რომ მათი მსგავსი ჩვენს საზოგადოებაში ბევრია, ისინი ერთმანეთს ზურგს და მხარს უმაგრებენ. ამიტომ პრესაში გაჟონილი ამბავი მათთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ამის იმედით ისინი ხვალაც ისე მოიქცევიან, როგორც იქცეოდნენ გუშინ. მეორე შესაძლებელი დასკვნა: სიტყვას, თუნდაც მამხილებელს, ჩვენს პირობებში არავითარი ფასი არა აქვს. ეს იციან ჟურნალისტებმაც, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ, რათა მოიძიონ, იშოვონ ის ლუკმაპური, რომელსაც ისინი შოულობენ ამ გზით. მათ მშვენივრად ახსოვთ გავრცელებული აფორიზმი: წერეთ და იკითხეთო.

ასეთი პუბლიკაციები, თითქოს დიდ საქმეს აკეთებენ. სინამდვილეში კი ამ დიდ საქმეს ზიანს აყენებენ, ხალხში ნერგავენ შთაბეჭდილებას, განწყობილებას, რომ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" კრიტიკას, მათთან შებრძოლების ნებისმიერ მცდელობას არავითარი აზრი არა აქვს, ძლიერი მაინც გაიმარჯვებს.

ჩვენს საზოგადოებაში ზნეობრივი კანონები რომ ეფექტურად მუშაობდნენ, პირველი რეაქცია ქვეყნის პირველ პირებს უნდა გამოეჩინათ, — როგორ და რატომ მოხდა ასეთი რამეო, მაგრამ, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, "არსაიდან ხმა, არსით ძახილი!".

ახლა დავსვათ კითხვა. ეს ფაქტი როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც თავისუფალი სიტყვის ზეიმი, თუ მკითხველის ყურადღების მოსადუნებლად გამიზნული დემაგოგია?

სიტყვის თავისუფლებაზე ძალიან ხშირად ლაპარაკობენ რწმენის, რელიგიის თავისუფლებასთან ერთად. აზრთა ასეთი სიახლოვე იმით არის გამოწვეული, რომ რწმენის თავისუფლება ისეთივე უფლებად ითვლება, როგორც აზრის თავისუფლება. ეს ნიშნავს, რომ პირველი: — პიროვნებას უფლება აქვს, თვითონ გადაწყვიტოს, რომელ რელიგიას იწამებს, და მეორე — პიროვნებას უფლება აქვს თავისი სურვილის მიხედვით, ღიად და ფარულად, ინდივიდუალურად და ჯგუფურად, შეასრულოს ის საკულტო წესები, რომლებსაც ეს რელიგია მოითხოვს. აქ ძნელია დაეთანხმო იმ აზრს, რომ ადამიანისათვის რელიგიური რწმენაც თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი რწმენის აღიარების უფლება, რადგანაც ესეც სიტყვის თავისუფლების შემადგენელი ელემენტია. შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ დამპყრობლურ ომებში გამარჯვებული მხარე სდევნიდა და ავიწროებდა დამარცხებულს როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ასევე რელიგიურადაც.

აზროვნება ადამიანისათვის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება და მარადიული, შეუწყვეტელი საქმიანობის ფორმაა. ამავე დროს აზროვნება არის თავისებური სახის პროდუქციის შექმნის პროცესი. ეს პროდუქცია აზრია, რომელიც ჩამოყალიბების შემდეგ მოითხოვს რეალიზაციას, გამჟღავნებას, თქმას, სიტყვიერ გამოხატვას. ეს არის ბუნებრივი, ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიური პროცესი. რაც შეეხება აზრისა და სიტყვის თავისუფლებას, ეს უკვე სოციალური და იურიდიული პრობლემაა.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 29-ე მუხლში გამეორებულია ფრანგი ენციკლოპედისტების მიერ გამოთქმული დებულება იმის თაობაზე, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი და განუყოფელი უფლებაა, ყოველ შემთხვევაში, ასეთ კომენტარს უკეთებენ კონსტიტუციის 29-ე მუხლს პროფესორები ე. ლუკაშევა და ვ. კარტაშკინი[1].

შემდეგ. გამიჯნულია ერთმანეთისაგან ორი სხვადასხვა მოვლენა. პირველი, რომ აზროვნება არ არის დამოკიდებული გარეშე პირობებზე და ხდება ადამიანის თანდაყოლილი თვისებების ზემოქმედებით — თავისებურად დაინახოს და შეაფასოს მის ირგვლივ მყოფი სამყარო. მეორე — აზროვნების რეალიზაციის თავისებურება უკვე დამოკიდებულია, განპირობებულია საზოგადოების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაზე და პოლიტიკური რეჟიმის ბუნებაზე.

---

[1] იხ. Конституция Российской Федерации. Научно-практический комментарий. М., 1997, გვ. 233.

სიტყვის თავისუფლება რეჟიმის დემოკრატიულობის საზომია: თუ რეჟიმი მართლაც დემოკრატიულია, სიტყვის თავისუფლებაც რეალურია, მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მაგრამ თუ რეჟიმი არსებითად ტოტალურია, სიტყვის თავისუფლება მისი კოსმეტიკური შელამაზების ერთ-ერთი კომპონენტია და მოწოდებულია ამტკიცოს იმის არსებობა, რაც არ არსებობს.[1] ტოტალიტარულ რეჟიმებში ასეთ არარსებულ თავისუფლებას აცხადებდნენ ზოგან ერის, ზოგან კლასების ინტერესების გამოხატვად და თავისუფლების დათრგუნვას ამართლებდნენ საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესებით. სინამდვილეში ასეთი "თავისუფლება" ემსახურებოდა და ემსახურება საზოგადოების მმართველი ძალების, კლასის, პოლიტიკური ელიტის ბატონობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ამავე აზრის გატარებას ემსახურება პროფ. ბესარიონ ზოიძის სტატია "ადამიანის უფლებები და ქართული სახელმწიფოებრიობა", სადაც იგი ბრძანებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა სახელმწიფოებრივი მექანიზმები არსებობს მის უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით საქართველოში ძველ დაწესებულებებს ახალიც დაემატა. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც ძალზედ სერიოზული და გაბედული პირველი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. ბევრი სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად სცნო პრეზიდენტისა და

---

[1] იხ. Конституция Российской Федерации. Научно-практический комментарий. М. 1997, გვ. 233.

პარლამენტის მიერ მიღებული ზოგიერთი ნორმატიული აქტი.[1]

ამ ფაქტს ავტორი მართებულად აძლევს შეფასებას, რომელსაც ჩვენც მთლიანად ვეთანხმებით — დემოკრატიის დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გაბედა და კრიტიკულად შეაფასა პრეზიდენტის ოფიციალური გადაწყვეტილება. ამ სასიკეთო ძვრების მაჩვენებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მოქალაქეებმა (იურისტებმა), იუსტიციის სამინისტროსაც კი უჩივლეს საკონსტიტუციო სასამართლოში. ჩვენი აზრით, ამ საჩივრის განხილვის შედეგი საინტერესო არის მომჩივანთათვის, საზოგადოებისათვის კი ფრიად საგულისხმოა თვით სიტუაცია, რომ თურმე შეიძლება უჩივლო სამინისტროსაც, წაუყენო განსაზღვრული პრეტენზიები ანტიკონსტიტუციურ ქმედებაში, და, ვინ იცის, იქნებ მოუგო კიდეც.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში მე-5 მუხლი სპეციალურად ეძღვნება აზრისა და სიტყვის თავისუფლებას. ოღონდაც ამ მუხლში ერთი ისეთი დეტალია, რომელიც არ არის საქართველოს და ბევრ სხვა ქვეყანათა კონსტიტუციებში. ეს არის ახალგაზრდობის დაცვა საზოგადოებისა და ზნეობისათვის მავნე ინფორმაციისაგან. რადგანაც ამ მუხლში კინოც საგანგებოდ არის ნახსენები, ურიგო არ იქნებოდა, თუ ჩვენც მივბაძავდით გერმანიის კონსტიტუციის ამ მუხლს და რაღაც საკანონმდებლო დაადგენილებით და-

---

[1] იხ. ზოიძე ბ. „ადამიანის უფლებები და ქართული სახელმწიფოებრიობა". მოხსენებათა კრებული, თბ., 1998.

ვიცავდით ჩვენს მოზარდ თაობას იმ სიბინძურისაგან, რომელიც მლვრიე ნიაღვრად მოედინება ჩვენი ეკრანებიდან და რომელზედაც ჯერ-ჯერობით პასუხს არავინ აგებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში საერთოდ არ არის ნახსენები აზრისა და სიტყვის თავისუფლება. აქ ლაპარაკია, რომ "თითოეულ პიროვნებას უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი მოსაზრება ზეპირად, წერილობით და გამოსახულებათა სხვა საშუალებით, აგრეთვე შეუფერხებლად მიიღოს ინფორმაციის გავრცელების უფლება რადიოთი და კინოთი გარანტირებულია"[1]. ამ ფორმულირების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლება მათთვის უკვე იმდენად დამკვიდრებული მოვლენაა, რომ კონსტიტუციური გარანტია მას ფაქტობრივად არ სჭირდება. სამაგიეროდ საკმაოდ დეტალურად არის ჩამოთვლილი ინფორმირების ყველა თანამედროვე საშუალება, ალბათ, იმიტომ, რომ ვინმეს არ გაუჩნდეს სურვილი, რომელიმე ეს საშუალება გამოიყენოს როგორც აკრძალვის ხერხი.

აზრისა და სიტყვის თავისუფლების პრობლემა მჭიდროდ დაუკავშირდა საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების რეალურ ფორმებს. კერძოდ, თანამედროვე ინდუსტრიალიზაციისა და საერთო ტექნიკური განვითარების დონეს. ჟურნალისტური მოღვაწეობა ინდუსტრიალური საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ

---

[1] Конституции государств Европейского Союза. М., 1997, გვ.182

ფორმად იქცა და საზოგადოების განვითარების პროცესზე უზარმაზარ გავლენას ახდენს. თურმე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 60 ათასამდე პროფესიონალი ჟურნალისტი მოღვაწეობს და თანამედროვე, რთულ ცხოვრებაში ყოველ მათგანს უკავია თავისი ადგილი და ჰყოფნის სამუშაო.

ამავე დროს ჟურნალისტიკაში უკვე დამკვიდრდა, და თანაც უკვე საკმაოდ სასტიკი ფორმებით, კონკურენციის კანონი, რითიც ჟურნალისტიკა ძალიან დაუახლოვდა მწარმოებლურ პროცესს. ჟურნალისტებმა მშვენივრად იციან, რომ ინფორმაციის მოპოვებაში და საზოგადოებამდე მიტანაში დროის მოგება არა მარტო პრესტიჟის ამბავია, არამედ უშუალოდ განაპირობებს შემოსავალს, ფულს. ამიტომ ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გავრცელების მაღალი ტემპები თანამედროვე ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისებაა. ჩქარობს ყველა-ჟურნალისტიც, ჟურნალის ან გაზეთის რედაქციაც, მკითხველიც. ეს სიჩქარე არც თუ ისე იშვიათად უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის ხარისხზე, მის სანდოობაზე. მკითხველი აჩქარებს გაზეთის რედაქციას, რედაქცია აჩქარებს თავის ჟურნალისტს, ჟურნალისტიც ცდილობს, რაც შეიძლება მალე მოიპოვოს სადღეისოდ აქტუალური ინფორმაცია.

ამ სიჩქარეში სრულიად შესაძლებელია შეცდომის დაშვება ან ინფორმაციის შეგნებულად გაყალბება, რაც შეიძლება შემდგომ გულუბრყვილოდ აიხნას დროის უქონლობით, ჟურნალისტიკაში ტერმინიც კი შეიქმნა, რომელიც ჟურნალისტთა ჟარგონზე აღნიშნავს ინფორმა-

ციის მოჩვენებით სიმართლეს ან მისი შინაარსის წყალ-წყალობას. ეს ტერმინია "ქალბატონ კალდერონის ძაღლი."[1] ტერმინი შეიქმნა 30-მდე წლის წინ. პირველ ხანებში მას ხმარობნენ მხოლოდ ინგლისურენოვანი ჟურნალისტები, მერე კი თანდათან გავრცელდა სხვა ენებშიც. ტერმინის გამოჩენას საფუძვლად დაედო ასეთი ფაქტი. 50-იან წლებში ეგვიპტეში ე.წ. "ახალგაზრდა ოფიცრებმა" დაამხეს მონარქია და შექმნეს რესპუბლიკა. ძველის ნგრევისა და ახლის შენების პროცესი მიმდინარეობდა ძალიან მძიმედ, წინააღმდეგობრივად და, რაც მთავარია, საკმაოდ დახურულად. ევროპას კი ძალიან აინტერესებდა, სცოდნოდა, რა ხდებოდა ეგვიპტეში და იქ მომუშავე ჟურნალისტებისაგან გაუთავებლად მოითხოვდნენ ახალ-ახალ ინფორმაციას. ამ ჟურნალისტთაგან ყველაზე მოხერხებული, ასე ვთქვათ, მარიფათიანი, ცხოვრობდა ერთი ხანდაზმული ქალბატონის, გვარად კალდერონის მეზობლად. ამ ქალბატონს ჰყავდა ერთი მოუსვენარი ფინია, რომელიც ხშირად ჰყეფდა და ეს ყეფა ხვდებოდა ჟურნალისტის სატელეფონო საუბარში და თურმე გაზეთის რედაქცია ამ ხმაურსა და ყეფას ასაღებდა, როგორც "ცხელი ადგილიდან" მიღებული ინფორმაციის უტყუარობის ნიშანს. თითქოს, ძაღლი ყეფდა იმის გამო, რომ ქუჩაში დიდი ამბები ხდებოდა, სინამდვილეში კი ჟურნალისტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იყო თავიდან ბოლომდე ყალბი, — ავტორის მონაგონი. მაგრამ, ისეთი მონაგონი, რომელიც ევროპელ

---

[1] Конституции государств Европейского Союза. М., 1997, გვ. 182.

მკითხველებს მოსწონდათ. (მაგალითად, მონარქის ოჯახის წევრთა პანიკა და გაქცევა, აჯანყებულთა მიერ სასახლის აღების სცენები, "ღამის პეპლების" მონაწილეობა ქუჩის ბრძოლებში და სხვა ამგვარი "ეგზოტიკა.").[1]

როდესაც მართლა დიდი ამბები ხდება, ყველაფრის ზუსტად და სწრაფად შეფასება თითქმის შეუძლებელია და ჟურნალისტის შეცდომა ერთგვარად გასაგებია. მაგრამ სულ სხვა ამბავია, როდესაც ჟურნალისტი შეგნებულად დაშვებულ "შეცდომას" სიმართლედ ასაღებს. ამას უკვე ბოროტება ჰქვია.

ჟურნალისტის მუშაობის ხასიათის შესახებ, შესაძლებელ შეცდომებზე, შეგნებულ სიყალბეზე, სიჩქარის ფაქტორზე, თანამედროვე ტექნიკურ და სხვა პრობლემებზე ლაპარაკი არის არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მთელს მსოფლიოში. მაგალითად, საერთაშორისო პრესტიჟის ჟურნალი "BASIS-INFO"-ს 1996 წლის 31-ე ნომერი მთლიანად ამ პრობლემას ეძღვნება, სადაც აღნიშნულია ის დიდი ყურადღება, რომელსაც უთმობს საზოგადოების ინფორმირების პრობლემებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიც არის "Интер Национaлес".

"Интер Национaлес"-ის მიერ გამოშვებული არის სპეციალური თემა "IN-PRESS", რომლის 1997 წლის მე-7 ნომერი მთლიანად მიძღვნილია იმ კანონებისა და დადგენილებებისადმი, რომლებიც დამუშავდა გერმანიაში, საზოგადოებაში ინფორმაციული უწყებებისა და საშუალებების შესახებ.

---

[1] იხ. ჟურნალი "Basis info"-ს 1996 წლის 31-ე ნომერი.

"Интер Националес"-ის ეგიდით ცალკე წიგნად იქნა გამოცემული "სახელმწიფო ხელშეკრულება ტელეხედვისა და რადიომაუწყებლობის შესახებ". შეიძლება, საქმეში ჩვენზე უფრო ღრმადჩახედულმა პირებმა ამ ხელშეკრულებაში აღმოაჩინონ რაღაც წინააღმდეგობები, ჩვენ კი მოგვეჩვენა, რომ ეს ისეთი კანონია, რომელშიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელიც შეიძლება შეიქმნას მასობრივი ინფორმირების პროცესში, აზრისა და სიტყვის თავისუფლების რეალიზაციის პროცესში. ეს კანონი, სხვათაშორის, კარგად ახამებს ერთმანეთთან ჟურნალისტის მოქმედების იურიდიულ და ზნეობრივ მხარეებს.[1]

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუცია იბადებოდა, ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა ისტორიულ პირობებში. კონსტიტუციის შექმნის ისტორიული პირობების თავისებურება ასე თუ ისე აისახა თვითონ კონსტიტუციაში. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის დამოკიდებულება აზრისა და სიტყვის თავისუფლების პრობლემისადმი. საკუთრივ კონსტიტუციაში სიტყვის თავისუფლებაზე არაფერია ნათქვამი, ეს, ალბათ, უნდა აიხსნას იმით, რომ კონსტიტუციის შედგენა და მიღება მოხდა ისეთ პირობებში, როდესაც აზრისა და სიტყვის თავისუფლება საზოგადოების ძვალსა და რბილში იყო გამჯდარი და იგულისხმეოდა, როგორც სრულიად აუცი-

---

[1] Тексты законов «Государственный договор о телевидении и радио» «Интер Националес», 1997 г.

ლებელი და გასაგები რამ. მხოლოდ პრეამბულაშია ნათქვამი თავისუფლების შესახებ:

„ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, იმ მიზნით, რომ შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, დავამყაროთ საშინაო მშვიდობა, უზრუნველვყოთ საერთო თავდაცვა, ხელი შევუწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და შევუნარჩუნოთ ჩვენს თავსა და ჩვენს შთამომავლობას მადლი თავისუფლებისა, ვადგენთ და ვაფუძნებთ ამერიკის შეერთებული შტატების წინამდებარე კონსტიტუციას“.[1]

მაგრამ როგორც კი ქვეყანაში ცხოვრება დამშვიდდა და ერთმანეთს დაეტაკა საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, თავი იჩინა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობამაც და სულ რაღაც რამდენიმე წლის შემდეგ საჭირო გახდა კონსტიტუციაში ე.წ. პირველი შესწორების შეტანა. აი, ეს შესწორება, რომელიც ჟღერს ასე:

„I შესწორება. კონგრესის მიერ არ უნდა იქნას მიღებული არცერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას; რომელიც აღკვეთს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას, პეტიციით მიმართონ მთავრობას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები“.

როგორც ვხედავთ, შესწორება საკმაოდ მკაცრია და კატეგორიულად აფრთხილებს კონგრესს, ე.ი. საკა-

---

[1] აშშ-ს კონსტიტუციის პრეამბულა.

ნონმდებლო ორგანოს, არ მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც „აღკვეთს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას“.

თვითონ ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ საჭირო გახდა ასეთი შესწორების შეტანა, უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდა ამერიკული დემოკრატიის წიაღში უკვე იჩინა თავი ანტიდემოკრატიულმა ტენდენციებმა და საღად მოაზროვნე დემოკრატიულმა ძალებმა ადვილად გაიგეს, რა საფრთხეს უქმნიდა ეს ტენდენციები, თუ მათ ძირშივე არ აღმოფხვრიდნენ.

არ იქნებოდა მართალი, თუ ვიტყოდით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში I შესწორების შეტანის შემდეგ აბსოლუტურად გამოირიცხა სიტყვის თავისუფლების დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, ცნობილია, როგორ სდევნიდნენ და ბოლოს მოკლეს კიდეც ცნობილი მებრძოლი ზანგთა უფლებებისათვის ლუთერ კინგი. ზანგთა უუფლებობა ომის შემდგომ ამერიკის შეერთებულ შტატებში (განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში) იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ ეს აისახა ლუთერ კინგის საფლავის ქვის წარწერაშიც კი, როდესაც მკვდარი ადამიანი ღმერთს მადლობას ეუბნება, რომ ბოლოს და ბოლოს გავნთავისუფლდიო.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების დიდი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონსტიტუციურად, ე.ი. კანონმდებლობის უმაღლეს დონეზე, აკანონებს სიტყვის თავისუფლებას, ხოლო ამ კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი სახელმწიფო სტრუქ-

ტურები საიმედოდ იცავენ ამ კანონს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თანამედროვე ამერიკის პრესაში ტყუილიც ბევრია, ჭორიც, სიბრძნეც. მაგრამ საერთო ფონი ჯანსაღია და კანონიდან გამომდინარეობს, რითაც ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას.

ჩავიხედოთ ბელგიის კონსტიტუციაში. ეს ქვეყანა, როგორც ცნობილია, კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოა, შედგება სამი ეთნიკური ჯგუფისაგან (ფრანგული, ფლამანდური და გერმანულენოვანი) და ოთხი ლინგვისტური რეგიონისაგან (ფრანგულენოვანი რეგიონი, ნიდერლანდურენოვანი რეგიონი, გერმანულენოვანი რეგიონი და ბრუსელის ორენოვანი რეგიონი).[1]

ისტორიულად ცნობილია, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, სხვადასხვა მიზეზების გამო, ხშირად იჩენს ხოლმე თავს კონფლიქტური სიტუაცია. ამ მხრივ არც ბელგიაა გამონაკლისი. ბელგიის კონსტიტუციის პირველ და მეორე ნაწილში საგანგებოდ არის დაფიქსირებული ეს სიტუაცია, რასაც მოსდევს ასევე კანონის დონეზე მათი სრული თანასწორუფლებიანობის კონსტატაცია:

„კულტის თავისუფლება, რიტუალთა საჯარო შესრულება, აგრეთვე საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია, ხოლო ამ უფლებათა ბოროტად გამოყენება დაუშვებელია“.

ხოლო 23 მუხლის პირველ ქვემუხლში, სადაც ჩამოთვლილია ადამიანის უფლებები, საგანგებოდ არის

---

[1] Конституции государств Европейского Союза. Конституция Бельгии. М., 1997.

გამოყოფილი ინფორმაციის მიცემის უფლება, აგრეთვე ამავე კონსტიტუციის 25-ე მუხლში ნათქვამია:

„პრესა თავისუფალია, ცენზურა — დაუშვებელი".

დღევანდელი ესპანეთიც, როგორც ცნობილია, კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოა. ამ ქვეყანამ მძიმე სოციალური გზა გაიარა. თითქმის 30 წელიწადი ქვეყანას მართავდა ფრანკოს ფაშისტური რეჟიმი ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ტოტალიტარული კანონებითა და მორალით. დიქტატორის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში აღდგენილ იქნა (სხვათაშორის, თვით დიქტატორ ფრანკოს ინიციატივით) მონარქიული მმართველობა, ოღონდაც საკმაოდ შეზღუდული უფლებებით და ყველაფერი ეს დაფიქსირებულია ესპანეთის დღეს მოქმედ კონსტიტუციაში.

კონსტიტუციის მეორე თავში მე-16 და მე-20 მუხლები აკანონებენ აზრის, სიტყვის, ინფორმაციის მიცემის და გავრცელების ფორმებსა და უფლებებს.

აღიარებულია და დაცულია უფლება: „ა) შეხედულებების, იდეისა და აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებაზე, ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებებით. ბ) უტყუარი ინფორმაციის თავისუფლად გადაცემა-მიღება ნებისმიერი საშუალებით მათი გავრცელების მიზნით. კანონი განსაზღვრავს შემზღუდველ პირობებს ამ უფლებათა გამოყენებისას სინდისისა და პროფესიული საიდუმლოების დასაცავად":[1]

---

[1] Конституции государств Европейского Союза. Конституция Испании.

ამ უფლებებთან ერთად, მითითებული არის (პუნქტი 3), რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე საპარლამენტო კონტროლის ჩარჩოებიც. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ყოველგვარი წინასწარი ცენზურა დაუშვებელია. „აღნიშნულ უფლებათა განხორციელება არ შეიძლება შეიზღუდოს არავითარი სახის წინასწარი ცენზურით“.[1]

ესპანეთი მრავალეროვანი და მრავალენოვანი ქვეყანაა და კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის მოქალაქენი თანასწორი უფლებებით სარგებლობენ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით, მიუხედავად მათი ენობრივი, ეროვნული და რელიგიური განსხვავებისა, ხოლო ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები მკაფიოდ ასახავენ იმ პირობებს და ხერხებს, როდის და რანაირად შეიძლება შეიზღუდოს სიტყვისა და ინფორმაციის უფლებები. როგორც ვხედავთ, კონსტიტუცია ანიჭებს თავის მოქალაქეებს დიდ უფლებებს, მაგრამ აღკვეთს ამ უფლებების ბოროტად გამოყენებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ უფლებათა და მოვალეობათა ასეთი შეხამება უნდა ჩაითვალოს იურიდიულად, ზნეობრივად და ლოგიკურად გამართლებულ მოდელად.

იტალიის რესპუბლიკის დღეს მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1947 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და მისი სუნთქვა ჯერ

---

[1] Конституции государств Европейского Союза. Конституция Испании.

კიდევ იგრძნობოდა პოლიტიკურ პარტიათა შორის გამძაფრებულ ბრძოლაში. მუსოლინის ფაშისტურმა რეჟიმმა აქაც დატოვა საგრძნობი კვალი. კერძოდ, სიტყვასა და პრესის თავისუფლების საკითხებში. ამიტომ ახალგაზრდა რესპუბლიკის კონსტიტუციაში საჭირო გახდა დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაფიქსირება სიტყვის თავისუფლებისადმი მიმართებაში.

კონსტიტუციის პირველი ნაწილის 21-ე მუხლი მთლიანად ამ პრობლემას ეხება, სადაც გამორიცხავს ცენზურის არსებობას, აღიარებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს სრულიად ცალსახოვნად კრძალავს საზოგადოებისათვის სიტყვით ან პრესით ზიანის მიყენებას. ძალიან საინტერესოა ამ მუხლის ბოლო აბზაცი, სადაც ნათქვამია, რომ „იკრძალება ბეჭდვითი ნაწარმოებები, სანახაობები და ყოველგვარი სახის ღონისძიება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კეთილ წესებს“.[1]

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონებში „კეთილი წესების“ დამცველი მუხლი ჯერ არ არსებობს, თორემ ზოგჯერ ვიღაცა პასუხს ხომ უნდა აგებდეს იმ სიბინძურეზე, რასაც ქართული ტელევიზია ხშირად სთავაზობს ჩვენს ახალგაზრდობას.

ფრანგული დემოკრატია დღევანდელ დემოკრატიათაგან ერთ-ერთი უძველესია და სათავეს იღებს 1789 წელს ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონიდან, რომელსაც ჰქვია „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა

---

[1] Конституции государств Европейского Союза. Конституция Итальянской Республики. М., 1997.

დეკლარაცია". ამ მოცულობით პატარა დოკუმენტმა უზარმაზარი როლი შეასრულა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი მსოფლიოს განვითარებაში. დეკლარაციის მე-10 და მე-11 პუნქტები აღიარებენ, რომ:

10) „არავინ არ უნდა განიცადოს შეზღუდვა თავისი აზრის გამოხატვისას, სარწმუნეობრივისაც კი, თუ ეს გამოხატვა არ არღვევს კანონით დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს".

11) „აზრისა და სიტყვის თავისუფლება არის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლება, ამიტომ ყოველ მოქალაქეს გააჩნია გამოთქმის და ბეჭდვის თავისუფლება. ამ უფლებათა ბოროტად გამოყენება დაუშვებელია".[1]

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის მიწურულს, როდესაც მიმდინარეობდა გააფრთებული ბრძოლა მონარქიასა და რესპუბლიკას შორის, ფრანგები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ თავისუფალ სიტყვას და პრესას არა მარტო სიკეთის, არამედ ბოროტების მოტანაც შეუძლია. ამიტომ, საგანგებოდ არის ნათქვამი, რომ ამ უფლების ბოროტად გამოყენება ისჯება კანონით.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლების სიკეთე შეიძლება იქცეს დიდ ბოროტებად, თუ იგი არ არის მოქცეული კანონის ფარგლებში, ან კიდევ არ სრულდება კანონით დადგენილი შეზღუდვები.

მსოფლიოში მრავალი ქვეყანაა და ყველას კონსტიტუციას ჩვენ ვერ განვიხილავთ. ჩვენ შევეხეთ მხოლოდ,

---

[1] Конституции государств Европейского Союза. Конституция Итальянской Республики. М., 1997.

ჩვენის აზრით, კარგად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს და დავინახეთ, რა დიდი პასუხისმგებლობით არის დადგენილი და დაკანონებული პიროვნების თავისუფლების ეს ნაწილი.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე საქართველოს სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. — სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების იურიდიული და ზნეობრივი საფუძვლების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების განხილვას. ეს პრობლემა არა მხოლოდ აქტუალურია, არამედ მტკივნეულიც არის, რადგანაც ათეული წლების მანძილზე სიჩუმეს მიჩვეული საქართველო ალაპარაკდა. ალაპარაკდა ყველა — ვისაც რაიმე აქვს სათქმელი და ვისაც უბრალოდ ლაპარაკი იტაცებს, ვინც იბრძოდა, იბრძვის სოციალური პროგრესისათვის და ვინც იბრძვის ვიწრო ეგოისტური პრობლემების მოსაგვარებლად. ამიტომ საზოგადოებისათვის სასარგებლო ერთ აზრზე მოდის ათი ჭორი, სიყალბე, სიბინძურე, თანაც ისეთი ფორმებით, რაც საკმაო შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე და მკითხველზე. ყველაფერ ამას უნდა არეგულირებდეს სათანადო კანონმდებლობა, რომელიც საქართველოში მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. ჩვენთან ჯერ კიდევ იოლია კანონის დარღვევა, ძლიერია დაუსჯელობის სინდრომი და ამ უდიდესი მონაპოვრის, სიტყვის თავისუფლების, ბოროტად გამოყენების ცდები. მეორეს მხრივ, საქმეს ფრიად ართულებს პრივიტივიზმი, არაპროფესიონალობა, "მოხალისეობა" იქ,

სადაც საჭიროა მაღალი შემოქმედებითი დონე. ჩვენ ჯერ არა გვაქვს თანამედროვე თავისუფალი ჟურნალისტიკისათვის შესაფერისი ტრადიციები, რომელთა შექმნაზე დიდ გავლენას ახდენს პროფესიონალიზმის და წარმმართველი კანონების დონე. ცნობილია, რომ დაბალი პროფესიონალიზმი და *სუსტი კანონები ქმნიან ცუდ ტრადიციებს, ხოლო კარგი ტრადიციების შექმნა-განმტკიცებისათვის საჭიროა მაღალი იდეებით განმსჭვალული კანონმდებლობა და სათანადო ცოდნითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი პროფესიონალიზმი.*

ნაშრომში გაანალიზებულია სიტყვის თავისუფლების ცნების გაგება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებსა და კანონმდებლობაში. მოკლედ არის წარმოდგენილი პრობლემის ისტორია, ტრადიციები და ყველაფერი ეს გამოყენებულია, როგორც საყრდენი მასალა დღევანდელ საქართველოში სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფების იურიდიული და ზნეობრივი საფუძვლების ანალიზისთვის.

განხილულია საქართველოს კანონები სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, კონსტიტუციიდან დაწყებული კანონქვემდებარე აქტების ჩათვლით. განხილვის პროცესში წარმოდგენილია საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ საკანონმდებლო დებულებების შესახებ, წარმოჩენილია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. მთელი ეს მასალა განხილულია არა იზოლირებულად, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან მჭიდრო კავშირში.

სიტყვის თავისუფლების ცნება და მოცულობა

რა არის სიტყვა, როგორ უნდა გავიგოთ სიტყვის თავისუფლება

სიტყვა "სიტყვა" ქართულ ენაში ოდითგანვეა ცნობილი. იგი დაფიქსირებულია ბიბლიის უძველეს თარგმანებშიც, რადგანაც სწორედ მისით იწყება იოანეს სახარება:

" დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა.

ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.

ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა.

მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა".[1]

სიტყვის გაგების უფრო გაღრმავებული ახსნა გრძელდება ამავე სახარების მე-14 მუხლში:

„და სიტყვა ხორცად იქცა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება როგორც მხოლოდშობილისა მამის მიერ".[2]

---

1 ბიბლია. სახარება იოანესი. გვ. 1045. თავი I, 1-4, თბ., 1989.

2 იქვე, 14.

თუ ამ განმარტებებით ვიმსჯელებთ (აქ ჩვენ არ ვეხებით რელიგიური დოგმატების განმარტების ამბავს), სიტყვის გაგება ძველ ქართულში მოიცავდა აზროვნებისა და ზნეობის დიდ სამყაროს. ამავე დროს იგი, სიტყვა, გაიგივებული იყო ღმერთთან და მის შემოქმედებით საქმიანობასთან. იმ უძველესი დროიდან დაწყებული, სიტყვა "სიტყვას" დღემდე შემორჩა დიდი აზრობრივი დატვირთვა და მასში ჩადებული ცნების დიდი პრესტიჟი. ეს სიტყვა მაღალი ცნების გამოსახატავად იხმარება დღესაც. მაგალითად, სიტყვის კაცი, რაც პიროვნებისათვის ფრიად შემაქებარი გამოთქმაა, ნიშნავს პატიოსან, დადებული შეთანხმებისათვის უღალატო ადამიანს. სიტყვის გატეხა ნიშნავს დადებული პირობის ვერაგულად, უსინდისოდ დარღვევას. მოსწრებული, მახვილი სიტყვა გამოხატავს ადამიანის მახვილგონიერებას. უსიტყვო დათანხმება ნიშნავს სრული მორჩილების გამოცხადებას, ალიარებას და ა.შ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სიტყვა "სიტყვა" იქცა ტერმინად და დაიმკვიდრა ადგილი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორიცაა საზოგადოებრივი მორალი, იურისპრუდენცია, ჟურნალისტიკა და ა.შ.

იმისდა მიხედვით, თუ რა აზრითაა ნახმარი ეს ტერმინი, მას, ამ ტერმინს, შეიძლება თან ახლდეს განმარტება: მხატვრული სიტყვა, პოეტური სიტყვა, თავისუფალი სიტყვა, ამაღლებული სიტყვა. შეიძლება ჰქონდეს სხვა მახასიათებლებიც. მაგალითად, სიტყვის თავისუფლება.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესო არის ტერმინის სწორედ ეს ასპექტი — <u>სიტყვის თავისუფლება</u>. ვიდრე

დავადგენთ, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვის თავისუფლება, უნდა გავარკვიოთ, რა იგულისხმება ამ შემთხვევაში ტერმინში "სიტყვა". ამ შესიტყვებაში სიტყვა ნამდვილად არ აღნიშნავს ლაპარაკის პროცესში რაღაცა ბგერათა კომპლექსის გამოთქმას. უფრო მეტიც, სინამდვილეში აქ სიტყვაზე სრულიადაც არ არის ლაპარაკი. აქ იგულისხმება ის აზრი, რომელიც გამოხატული არის სიტყვით. როგორც ცნობილია, საზოგადოებაში იწონებენ ან იწუნებენ, მიესალმებიან ან სდევნიან არა სიტყვას, როგორც ბგერათა კომპლექსს, არამედ მასში ჩადებულ აზრს და ამ აზრის მიმართებას კონკრეტულ პირთან ან მოვლენასთან. სიტყვა შეიძლება არც წარმოითქვას, არამედ მხოლოდ დაიწეროს, მაგრამ მასში ჩადებული აზრი მაინც აღიქმება როგორც სიტყვა. მაგალითად, პიროვნება შეიძლება გაილანძღოს ან შეიქოს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით და ეფექტი არანაკლები იქნება. ამიტომ, ტერმინი "სიტყვის თავისუფლება" საბოლოო ანგარიშით ნიშნავს აზრის თავისუფლებას.

"სიტყვის თავისუფლება" დიდი ხანია ტრიალებს რამდენიმე მეცნიერებაში. ეს არის: იურისპრუდენცია, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა და ეთიკა. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სიტყვის თავისუფლების ცნება მეტად სიღრმისეულია და თითქმის უტოლდება პიროვნების თავისუფლების ცნებას, რადგანაც სიტყვის თავისუფლება ფაქტობრივად მოიცავს აზრის თავისუფლებას, მისი რეალიზაციის შესაძლებლობას და პიროვნების პოზიციის სიმტკიცის საფუძველს საზოგადოებაში.

"სიტყვის თავისუფლება — ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი პირადი და მოქალაქის პოლიტიკური უფლებაა, რომელიც წარმოადგენს უფრო ზოგადი უფლების — "მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების" — შემადგენელ ნაწილს. სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების შესაძლებლობას საჯაროდ (ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით) გამოხატოს თავისი აზრი. კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ დემოკრატიულ ქვეყნებში შეიმუშავა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სისტემა მისი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, სახელმწიფოთა უმრავლესობაში იკრძალება სიტყვის თავისუფლების გამოყენება კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მოწოდებებისათვის, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური შუღლის გასაღვივებლად, სხვა პირების ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის და ა.შ."[1]

"სიტყვის, აზრის... თავისუფლება" საზოგადოებისათვის აღმოჩნდა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მან ასახვა ჰპოვა მსოფლიოს თითქმის ყველა კონსტიტუციაში.

საქართველოს დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ამ პრობლემას ეძღვნება მე-2 თავის მე-19 მუხლი მთლიანად, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს "სიტყვის, აზრის, თავისუფლება" და რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა იმის გამო, რომ მას შეიძლება ჰქონდეს

---

[1] იხ. ცნობილაძე პ., კონსტიტუციური სამართალი (ცნობარი), გამომც. მერიდიანი. თბ., 1998.

განსხვავებული აზრი რაღაც მოვლენაზე ან მოისურვოს ამ აზრის საჯაროდ გამოთქმა. მთლიანად ეს მუხლი ასე ჟღერს:

"მუხლი 19.

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვა უფლებებს".[1]

მაგრამ, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს უფლება მოვალეობათა გარეშე. ამიტომ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ყველას, რომ ერთი პიროვნების თავისუფლება არ უნდა ზღუდავდეს და ლახავდეს მეორე პიროვნების უფლებებს. სწორედ ამ სფეროში ხდება მრავალი გაუგებრობა და თავს იჩენს ბევრი ძნელად გადასალახავი ვითარება.

სიტყვის თავისუფლება, როგორც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი, თავისთავად გულისხმობს ისეთ სიტყვას, ანუ აზრს, რომელიც, ჯერ ერთი, დამუხტულია სიმართლით, ჭეშმარიტებით და, მეორე, ემსახურება სამართლიანობას. ასეთი "სიტყვის, აზრის" გავრცელების უფლება, ანუ <u>ინფორმირების თავი-</u>

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს, მუხლი 19.

სუფლება უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე სამართლისა და სამართლიანობის პრინციპებს. ეს დებულება, იმდენად მომხიბვლელია, რომ ხშირად კომენტარიც კი ზედმეტად ითვლება, მაგრამ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ თვით სიმართლე არ არის ყოველთვის სამართლიანი და ყოველთვის არ ემსახურება სიკეთეს. იშვიათი როდია, როდესაც სიმართლის თქმა იქცევა ხოლმე ადამიანების უბედურების წყაროდ. ასეთმა სიმართლემ შეიძლება იმსხვერპლოს სრულიად უდანაშაულო ადამიანები. მაგრამ "ბოროტი" სიმართლეც მაინც სიმართლედ რჩება და არ არის გამორიცხული, რომ რომელიღაც სფეროში ის სასიკეთოც აღმოჩნდეს. ასეთი სიტუაცია კარგად არის ცნობილი ჟურნალისტიკაშიც და იურისპრუდენციაშიც, და მას აღნიშნავენ სპეციალური ტერმინით - დიფამაციით. "დიფამაცია" ლათინურიდან მოდის და ნიშნავს პიროვნებაზე ისეთი ცნობების გავრცელებას (ნამდვილისა თუ მოგონილის), რომელიც მას სახელს უტეხს,[1] შეურაცხყოფას აყენებს, მორალურად და შეიძლება მატერიალურადაც აზარალებს პიროვნებას. როგორც წესი, ასეთი ხასიათის ინფორმაცია, ან სრული ჭეშმარიტებაა, ან ძალიან ახლოს არის მასთან. მაგრამ მისი გამოქვეყნება ძალიან მტკივნეულად აღიქმება და მისგან მიყენებული ზარალი შეიძლება გაცილებით ძვირად დაუჯდეს საზოგადოებას, ვიდრე მის მიერ მოტანილი სიკეთე.

ცნობილი ჟურნალისტი დევიდ უებსტერი მოსწრებულად ამბობს, რომ რაც უნდა ძვირფასი იყოს თავისუფლება, ის მაინც ძალიან ძვირად უჯდება

---

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგ. მ ჭაბაშვილი, თბ., 1989.

კაცობრიობას, რადგანაც სიტყვის თავისუფლება გულისხმობს არა მარტო სიმართლისათვის და სამართლიანობისათვის ბრძოლას, არამედ ჭორის, სიყალბის, წამქეზებლური, მტრული და ზოგჯერ სეპარატისტული იდეების გავრცელების შესაძლებლობასაც. რას უფრო მეტს იძლევა თავისუფალი პრესა და თავისუფალი სიტყვა? ეს დამოკიდებულია იმ საზოგადოების ზნეობაზე, სადაც იბეჭდება გაზეთი, მუშაობს ესა თუ ის ტელე-რადიო გადაცემა და მოქმედებს ესა თუ ის ჟურნალისტი.[1]

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი თავის წიგნში "ენა", წერს, რომ სიტყვა არის აზრის მოსახმარი ფორმა. ეს ნიშნავს, რომ აზრი თავისთავად არაფერია, თუ ის არ გაცხადდა სიტყვაში და მერე არ იქცა საქმედ. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშში, სიტყვის თავისუფლება არის თავისუფალი მოქმედების საწყისი ეტაპი. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რა დიდი ძალა აქვს დროზე და ენერგიულად ნათქვამ სიტყვას. შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვის მკვლევარები სიტყვას უწოდებენ ადამიანის ძალის სარდალს.[2] ამიტომ ყველას კარგად ესმის, რომ როდესაც ადამიანი იბრძვის სიტყვის თავისუფლებისათვის, იგი ფაქტიურად მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას. ეს კარგად იყო ცნობილი ძველად და სრულიად გასაგებია დღესაც. ამიტომ

---

[1] Дэвид Узбстер, "Создание свободных и независимых средств массовой информации". стр 34-42 жур. США "Экономика, политика, идеология". 1994.

[2] А. Бялик, Сила поэтического слова, Изд. "Художенсвенная литература". М., 1960, გვ. 46.

იქცა მიტინგის პრობლემა, ესე იგი სიტყვის თქმის პრობლემა, ასე მძაფრ და მტკივნეულ საკითხად. მაგალითად, ერთნი მოითხოვენ მიტინგის ჩატარებას, ანუ სიტყვის თავისუფლად თქმას, მეორენი ცდილობენ ეს არ დაუშვან, რადგანაც ორივე მხარეს მშვენივრად ესმის, რომ სიტყვას მერე უნდა მოჰყვეს მოქმედება. დღეს გავრცელებული გამოთქმები "სანქციონირებული" და "არასანქციონირებული" მიტინგი მარტო ნებადართულს და ნებადაურთველს კი არ ნიშნავს, არამედ მართვადს და უმართავს იმ ძალების მიერ, რომელთაც უფლება აქვთ აკრძალონ ან დაუშვან მიტინგის ჩატარება.

სიტყვის თავისუფლება, როგორც სოციალური შინაარსის ლოზუნგი, შემუშავდა ბურჟუაზიული რევოლუციის აღზევების ეპოქაში და გამოხატავდა იმათ მოთხოვნებს, ვინც დათრგუნული იყო საზოგადოებაში გაბატონებული ზედა ფენის მიერ. ეს დღესაც ასეა. გაბატონებულ, მმართველ ძალას არ სჭირდება სიტყვის თავისუფლების მოთხოვნა. იგი როგორც საზოგადოების წარმმართველი ძალა, ისედაც ფლობს არა მარტო სიტყვის, არამედ ნებისმიერი მოქმედების უფლებასაც. ამიტომ სიტყვის თავისუფლებას მოითხოვენ მხოლოდ ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ გაბატონებული ძალა მათ ჩაგრავს და არ აძლევს გასაქანს, მოქმედების საშუალებას. ვოლტერს მიაწერენ ასეთ აფორიზმს, "რევოლუცია იწყება ხმამაღლა ნათქვამი სიტყვით".[1] ამ ხატოვან გამოთქმაში საკმაოდ დიდი ჭეშმარიტებაა ჩადებული, რადგანაც ხმამაღლა

---

[1] М.В. Кой, - Мари Франсуа Вольтер (Серия "Жизнь замечательных Людей"), М., 1949. გვ. 123.

ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება დასაბამი მისცეს ძალისმიერ მოქმედებას და ხალხთა დიდი მასები წარმართოს დიდი ნგრევისაკენ ან დიდი შენებისაკენ.

სიტყვის თავისუფლება შეიძლება იქცეს დიდ სიკეთედ და დიდ ბოროტებად — გააჩნია, ეს "ხმამაღლა ნათქვამი სიტყვა" რა მოქმედებისაკენ მოუწოდებს სხვებს. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ დაეუფლება სიტყვის თავისუფლებას, ვინ რისთვის გამოიყენებს მას — საკუთარი, პირადი, ანგარებითი მიზნების მისაღწევად, თუ რაღაცა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის გასაკეთებლად.

სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების თავისუფლების შემადგენელი ნაწილი

დიდი ხანია ცნობილია, რამდენად წინააღმდეგობრივია პიროვნების თავისუფლების ცნება, რადგანაც ერთი პიროვნების თავისუფლება, აუცილებლივ სადღაც გადაიკვეთება მეორე პიროვნების თავისუფლების საკითხთან. სწორედ გადაკვეთის შედეგები იქცევა წვრილი და მსხვილი კონფლიქტების წყაროდ პიროვნებიდან დაწყებული სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობით დამთავრებული. ამბობენ, რომ ერთი ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლება იწყება.

ჩავუკვირდეთ ნათქვამს: თუ თავისუფლება მთავრდება, მაშასადამე ის სრული არ არის, იგი შეიზღუდა რაღაც მიზეზის გამო. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის: ერთ საზოგადოებაში ცხოვრებისას ადამიანები რაღაცას უთმობენ ერთმანეთს. დემოკრატია და თავისუფლება არასოდეს არ ნიშნავდა აულაგმავ თვითნებობას. თუმცა ზოგიერთები ცდილობენ საკუთარი თავისუფლება გამოიყენონ და განახორციელონ აბსოლუტური სისრულით, სხვისი თავისუფლება კი სრულიად განდევნონ თავისი მოქმედების და ინტერესების არეალიდან. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ინტერესთა ასეთი დაჯახება სულ

უფრო კონცენტრირდება სწორედ ინფორმაციული ურთიერთობების სფეროებში. აქედან სულ ერთი ნაბიჯილაა იმ მდგომარეობამდე, რომელსაც ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას უწოდებენ.

ინფორმაციის ცნება და მნიშვნელობა

ინფორმაციის ცნება და სახეები

სიტყვა აზრის ენობრივი გარსია და სიტყვას აქვს ე.წ. სამომხმარებლო ღირებულებაც. რაც ნიშნავს, სიტყვით გამოთქმული აზრის ადრესატამდე მიტანას. მართლაც, გენიალური აზრი გენიალურია იმდენად, რამდენადაც მან გამოხატა ეპოქისა და საზოგადოების რაღაც დიდი ინტერესები და ამით ხელი შეუწყო საზოგადოების და აზროვნების განვითარებას, რასაც ჩვეულებრივად პროგრესს უწოდებენ. და რამდენადაც უფრო ახალია სიტყვით გამოთქმული აზრი, მით უფრო საჭიროა იგი საზოგადოებისათვის, მით უფრო ეტანებიან მას ე.წ. "მომხმარებლები", ანუ საზოგადოების რაღაც ფენები, რადგანაც სიტყვის, უფრო ზუსტად, სიტყვით გამოთქმული აზრის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება, იზრდება მასზე მოთხოვნილებაც და საზოგადოების განვითარების რაღაც ეტაპზე სიტყვა, ისევე როგორც ინფორმაცია, იქცა საქონლად და აღებ-მიცემის საგნად, ბრძოლის იარაღად და გამდიდრების საშუალებად. "წარმოების განვითარებასთან და საზოგადოების განვითარების ტემპების ზრდასთან ერთად ინფორმაციამ შეიძინა საქონლის თვისებები და გახდა საბაზრო ურთიერთობის

ობიექტი, რომელთა მნიშვნელობამაც მოითხოვა მათი სამართლებრივი რეგლამენტაცია".[1]

სიტყვის ცნება მჭიდროდ გადაეჯაჭვა ფაქტის და მოვლენის ცნებებს და მის გამოსახატავად გაჩნდა ახალი ტერმინი — ინფორმაცია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა "ინფორმაცია" განმარტებულია შემდეგნაირად: "ინფორმაცია (ინფორმაციისა) [ლათ. ინფორმო-დან რუს. ენის მეშ.] ცნობა, შეტყობინება ვინმესთვის რაიმე მომხდარი ამბის, ვისიმე მოღვაწეობის და სხვ. შესახებ".[1]

დაახლოებით, იგივე განმარტებას იმეორებს უცხო სიტყვათა ლექსიკონი: "ინფორმაცია [ლათ. ინფორმაციო] შეტყობინება, ცნობება ვისიმე მოღვაწეობის, რაიმე მდგომარეობის, მომხდარი ამბის და სხვ. შესახებ".[2]

ინფორმაციის ცნებამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ასპექტები შეიძინა და იქცა სამეცნიერო ტერმინად. ეს სიახლეები დაფიქსირებულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. ასე მაგალითად, ენციკლოპედიის მე-5 ტომში სამი დამოუკიდებელი სიტყვა-სტატიაა, რომლებშიც ასახულია ტერმინ ინფორმაციის განსხვავებული ასპექტები.[3] ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ტერმინი პოლისემიურია და მისი რამდენიმე

---

[1] Елена Кудряшова. "Информация как объект интеллектуальной собственности". Журнал "Законодательство и практика средств массовой информации". Ноябрь 1997г.

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. 4., გვ.76

[2] უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შედ. მ. ჭაბაშვილი. თბ., 1964. გვ. 175.

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5., გვ. 184.

მნიშვნელობიდან ჩვენ გვაინტერესებს ერთი — რაღაც ცნობების, ამბების, მოძიება და გავრცელება განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ტერმინის ეს მნიშვნელობა არსებითად დღემდეა შემონახული და მართლაც ნიშნავს რაიმე ამბავს, ცნობას, შეტყობინებას. ქართული (და არა მარტო ქართული) ტერმინების ნაცვლად ლათინურის გავრცელება განაპირობა ორმა ფაქტორმა: პირველი — ეს ტერმინი ინტერნაციონალურია და იდენტური მნიშვნელობა აქვს თითქმის ყველა ენაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენობრივი კონტაქტების დროს, და მეორე — ტერმინ "ინფორმაციის" ხმარება გამორიცხავს აზრის დამახინჯებას ან შეზღუდვას, რადგანაც ეს ტერმინი ძალიან ფართო მოცულობისაა და მოიცავს შეტყობინების, ცნობის მიღების ან გავრცელების ყველა ნიუანსს. ამავდროულად მიმდინარეობს ინფორმაციის ცნების გაღრმავების და გაფართოების პროცესი. თუ თავდაპირველად ინფორმაციაში იგულისხმებოდა ცნობები, რომელიც გადაიცემოდა ადამიანების მიერ, ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით, მე-20 საუკუნის ბოლოსათვის ინფორმაცია განიხილება, როგორც "უნივერსალური სუბსტანცია, რომლითაც გამსჭვალულია ადამიანთა საქმიანობის ყველა სფერო, ემსახურება ცოდნისა და აზრის გატარებას ცხოვრებაში. ურთიერთობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ინსტიტუტი, აზროვნებისა და ქცევის

სტერეოტიპების დამკვიდრება" — ინფორმაციის სწორედ ასეთ განმარტებას იძლევა იუნესკო.[1]

ინფორმაციად შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი ცნობა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის უპირველეს ყოვლისა ინფორმაციად ითვლება ისეთი ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც აქვს რაღაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირს მისი მიტანა საზოგადოების ყურამდე. ინფორმაცია შეიძლება იყოს დიდი და მცირე მნიშვნელობის, სასიხარულო და სამწუხარო, საზოგადოებრივი და პირადული ხასიათის, უდავო და საეჭვო, კეთილი სურვილებით დატვირთული და სიბოროტით დამუხტული. ინფორმაციის ყოველ სახეობას ჰყავს თავისი დამკვეთი, გამავრცელებელი და მომხმარებელი.

თანამედროვე პირობებში, როგორც ვთქვით, ინფორმაცია იქცა საბაზრო საქონლად, მაშასადამე, მან შეიძინა ღირებულებისა და ფასის თვისება. ამ თვალსაზრისით, ინფორმაციაზე შეიძლება მოთხოვნილება განსხვავდებოდეს და ამიტომ მისი საბაზრო ღირებულებაც და ფასიც განსხვავებული იყოს. და როგორც ნებისმიერ საბაზრო საქონელს ფასი ედება მისი რაღაცა თვისებების მიხედვით, ასევე ინფორმაციასაც სხვადასხვა კომერციული ღირებულება ექნება. ამის მიხედვით, ალბათ, კომერციული ინფორმაცია უნდა დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: ა) ინტელექტუალური ღირებულების ინფორმაცია; ბ)

---

[1] Елена Кудряшова. "Информация как объект интеллектуальной собственности". Журнал Законодательство и практика средств массовой информации. Ноябрь 1997г.

ორგანიზაციული ღირებულების ინფორმაცია; გ) ტექნიკური ღირებულების ინფორმაცია. ავიღოთ ასეთი მაგალითი. მეცნიერმა აღმოაჩინა რაღაცა ახალი მოვლენა, რომლის რეალიზაციასაც შეუძლია განსაზღვრული მოგების მოცემა. თუ ეს აღმოჩენა არსებითი ხასიათისაა და მის განხორციელებას შეუძლია, ვთქვათ, წარმოების ძირეული შეცვლა, ასეთ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, დიდი ფასი ექნება და ამიტომ დიდადაც გაუფრთხილდებიან მის შენახვას. ამასთანავე, ცხადია, რომ ამ ინფორმაციის მიღების მსურველი დიდ ხარჯებსაც გაიღებს. ეს მდგომარეობა ძლიერ იმპულსს აძლევს, ვთქვათ, ჟურნალისტს, მოიძიოს ეს ინფორმაცია, ხელთ იგდოს იგი და მომგებიანი პოზიციიდან ელაპარაკოს როგორც მას, ვისაც ამ ინფორმაციის ხელში ჩაგდება უნდა, ისევე მას, ვისაც ზარალით ემუქრება ამ ინფორმაციის დაკარგვა.

თუ ინფორმაცია ნაკლებად რადიკალურია, მაგრამ მაინც ღირებული, იგივე რიტუალი ნაკლებად დაძაბული იქნება, მაგრამ მოხერხებული პიროვნების ხელში შეიძლება იგი მაინც მომგებიანი აღმოჩნდეს.

კომერციული ინფორმაცია შეიძლება კომერციულად ხელსაყრელი აღმოჩნდეს ისეთ შემთხვევაშიც, როცა ის არავითარ საიდუმლეობას არ წარმოადგენს, მაგრამ დაინტერესებულ პირს უბრალოდ მისადმი ხელი არ მიუწვდება — (დაწერილია მისთვის უცნობ ენაზე, დიდი მანძილია ამ ინფორმაციის არსებობის სივრცემდე ან უბრალოდ უცნობია მისი არსებობის ფაქტი).

ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის მომძიებელი გამოდის საქონლის მომწოდებელი აგენტის როლში.

ინფორმაციის კომერციულობა შეიძლება გამოიხატებოდეს ირიბადაც: ავენტი დაინტერესებულ პირს აწვდის არა თვით ინფორმაციას, არამედ ინფორმაციას ამ ინფორმაციის არსებობის შესახებ.

კომერციულ ინფორმაციას თანამედროვე საზოგადოებაში კანონი იცავს მაშინაც, როცა ის გასაიდუმლოებულია, და მაშინაც, როცა არავისგან დამალული არ არის. მაგალითად, გამოქვეყნებულ წიგნში გამოთქმული რაღაც აზრი ფაქტობრივად უსასყიდლოდ მიეწოდება მომხმარებელს, მაგრამ თუ სხვა პირმა ეს აზრი გამოიყენა თავის წიგნში, რომელმაც ავტორს რაღაც მატერიალური ან მორალური სარგებლობა უნდა მოუტანოს, ეს ავტორი მოვალეა მიუთითოს წყარო, აღნიშნოს საიდან არის მოტანილი ან ვის ეკუთვნის აღნიშნული აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტი ცხადდება პლაგიატად ანუ ლიტერატურულ ქურდობად და დაუდევარი ავტორი ცხადდება სხვისი საკუთრების მიმთვისებლად, რაც კანონის ძალით ისჯება.

ეს საკმაოდ რთული ურთიერთობა ინფორმაციის მფლობელს, ინფორმაციის მიღების მსურველს და მათ შორის ჩამდგარ ინფორმაციის მომპოვებლის შორის ძალიან მრავალფეროვანია, თითქმის ყოველი ვარიანტი უნიკალურია და ხშირად წინააღმდეგობებით სავსე. ამ ურთიერთობებს კანონი არეგულირებს შეძლებისდაგვარად, მაგრამ ყოველი შესაძლებელი ვარიანტის კონკრეტული ასახვა კანონში შეუძლებელია. ამიტომ დავა ხშირად წყდება ანალოგიის ლოგიკის მიხედვით, რაც ასევე ხშირად საკამათოა, რადგანაც აბსოლუტური ანალოგიები

არ არსებობს, ფაქტები რაღაც დეტალებში მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც მოკამათეთაგან ვიღაცას უადვილებს მოქმედებას და ვიღაცას ურთულებს. ამიტომ არის, რომ კომერციულ ინფორმაციასთან ურთიერთობა რთულია, ზოგჯერ სარისკოც, მაგრამ მიმზიდველი და მომგებიანი.

ახლა რაც შეეხება ორგანიზაციული ღირებულების ინფორმაციას. პიროვნება შეიძლება ფლობდეს დიდი მნიშვნელობის ინტელექტუალურ ინფორმაციას, მაგრამ არ შეეძლოს მისი გამოყენება, რადგანაც არ ფლობს ინფორმაციის რეალიზაციის ორგანიზაციულ შესაძლებლობებს. ამ დროს ინტელექტუალური ინფორმაციის მფლობელს კარგად ესმის, რომ ვიღაცას აუცილებლად გააჩნია ინფორმაციის რეალიზაციის რაღაც ხერხები და ვიდრე სხვა დაასწრებს, თვითონ ცდილობს ამ ხერხების ხელში ჩაგდებას. მაგალითად, მეცნიერმა დაამუშავა ახალი სახის საწვავის მიღების პრინციპები. მაგრამ თვით საწვავის მიღებამდე საჭიროა რაღაც სტრუქტურის შექმნა (ქარხნის აშენება, ნედლეულის მოძებნა და სხვა). ამ მეცნიერული დებულების განხორციელება სხვადასხვანაირად შეიძლება, მაგრამ ადამიანი ეძებს ოპტიმალურ ვარიანტს — უფრო იაფს, უფრო სწრაფს და უფრო საიმედოს. ასეთი ვარიანტების მოძიება შეიძლება იქცეს ფასეულ ინფორმაციად.

ტექნიკური ინფორმაციის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ არსებული, ცნობილი ტექნიკის ექსპლოატაციის წესებში შეიძლება ადამიანმა მიაგნოს რაღაც ჯერ-ჯერობით გამოუყენებელ რეზერვს, რომლის

გამოყენებამაც შეიძლებ მოგვცეს კარგი ეფექტი. ცნობილი ფაქტია: ფორდმა ყველასათვის მოულოდნელად ასაწყობი მანქანის ნაწილები აიტანა ქარხნის მესამე სართულზე და მანქანის აწყობის პროცესი ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ გამართა. ასაწყობი მანქანის ნაწილები მუშავდებოდა მაგალა, ნელ-ნელა იხვეწებოდა და მზა პროდუქცია (ანუ აწყობილი მანქანა) გამოდიოდა პირველ სართულზე. ფორდი კარგახანს მალავდა, თუ რატომ მოიქცა ასე. მერე მაინც გაიხსნა საიდუმლოება. დიდი რაოდენობით დეტალების ერთად აზიდვა და მერე ნელ-ნელა აწყობის წესით დაბლა დაშვება, გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე პირიქით, რაც აქამდე ხდებოდა. ეს მაგალითი მოტანილი აქვს მ. ტერეშჩენკოს თავის ცნობილ წიგნში "შრომის ორგანიზაცია აშშ-ში".[1]

---

[1] М. Терещенко. Организация труда в США. М., 1958.

ინფორმაციის მნიშვნელობა საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრებაში

ინფორმაციას კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი სიმართლეა ძველ აფორიზმში, "ვინც ფლობს ინფორმაციას, ის განაგებს ცხოვრებასო".

რა არის ინფორმაცია თავისი არსით? ინფორმაცია არის ცოდნა რაღაც კონკრეტული საგნის ან მოვლენის შესახებ. ამ ცოდნას იმდენად დიდი ფასი აქვს, რამდენადაც, მნიშვნელოვანი არის ის საქმე ან მოვლენა. აქვე უნდა ითქვას, რომ თვითონ საქმე კი არ არის ინფორმაცია, არამედ ცნობები ამის შესახებ. ვთქვათ, არსებობს გამოგონება, რომელიც სახელმწიფოს ან ვინმეს მიერ გასაიდუმლოებულია. ინფორმაცია არის ცნობა იმის შესახებ, რომ ასეთი გამოგონება არსებობს. აი, ეს ცნობა ხდება მოქმედების პირველი იმპულსი მათთვის, ვინც დაინტერესებულია ამ გამოგონების არსით. მერე იწყება იმ გზების ძებნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ ვილაცამ ხელში ჩაიგდოს თვითონ ეს გამოგონება.

ინფორმაციული ბრძოლა — ეს არის ბრძოლა ცოდნამოწყურებულ ხალხსა და ხელისუფლებას შორის, რომელსაც არ უნდა, რომ ხალხს ჰქონდეს ეს ცოდნა.

არ შეიძლება იყოს დემოკრატია ინფორმაციის თავისუფლების გარეშე. საიდუმლოება უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაზე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ინფორმაცია ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში რადგანაც ნებისმიერი ინფორმაციის ფასი და ღირებულება გამოიხატება იმით, თუ რამდენად გამოსადეგია ეს ინფორმაცია მომავალში. ამასთან დაკავშირებით, დიდი ხანია ჩამოყალიბდა ცნება და სათანადო ტერმინი — მოძველებული ინფორმაცია, ესე იგი ისეთი ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება გუშინ ჰქონდა დიდი ღირებულება, დღეს კი არა აქვს, რადგან მომავალი მოქმედებისათვის ის აღარავის გამოადგება.

სხვადასხვა ინფორმაციების წყაროები სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, ძველ საბერძნეთში გავრცელებული იყო ე.წ. წინასწარმეტყველთა ინსტიტუტი. წინასწარმეტყველების ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, რომ ხშირად მეფეები ომს იწყებდნენ იმის შემდეგ, რაც წინასწარმეტყველისაგან მიიღებდნენ გამარჯვების იმედს. ძველ ეგვიპტეში ჩაფიქრებული ომის შესაძლო დასასრულს ქურუმები ადგენდნენ ციური სხეულების განლაგებით, ცხოველთა და ფრინველთა მოქმედებით, ბუნებრივი სტიქიის ხასიათით და ზოგჯერ იმის მიხედვით, თუ როგორ დაეცემოდა მიწაზე დაკლული საქონლის შიგნეულობა. შეიძლება, დღეს ეს ცოტა გულუბრყვილობად გვეჩვენებოდეს, მაგრამ თავის დროზე ასეთი ინფორმირება ათასობით ადამიანის ბედს წყვეტდა. მაგალითად, ძველი რუსეთის მთავრის, იგორის, გალაშქრების დღეს პაჭანიკების წინააღმდეგ მოხდა მზის დაბნელება. მისნებმა ეს ცუდ ნიშნად ჩათვალეს და იგორს ლაშქრად წასვლა არ ურჩიეს. როგორც ცნობილია, იგორი ამ ლაშქრობაში

დამარცხდა და ტყვედაც ჩავარდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა წინასწარმეტყველთა ავტორიტეტი, რომლებმაც კარგი რჩევა მისცეს მთავარს, მაგრამ მთავარმა ეს რჩევა არ მიიღო და მწარედაც ინანა.[1]

ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს რაღაც საიდუმლოება, რომელსაც საგულდაგულოდ მალავს ვიღაცისაგან. ის "ვიღაცა" შეიძლება იყოს უცხო პირი და შეიძლება იყოს თავისიანიც. დღევანდელი ტერმინოლოგიით ამას ჰქვია სახელმწიფო საიდუმლოება, რომლის შენახვისთვისაც პასუხს აგებენ განსაზღვრული პირები, ხოლო გამჟღავნებისთვის ვიღაცა უნდა დაისაჯოს. მაგ., მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში საიდუმლოებად ითვლებოდა არა მხოლოდ სამხედრო ნაწილში ტანკების, ქვემეხების ან პირადი შემადგენლობების რაოდენობა, არამედ ნაწილის ტერიტორიული განლაგებაც კი. არ შეიძლებოდა წერილის კონვერტზე ყოფილიყო დასახელებული ქალაქი, სადაც ნაწილი იდგა. ყოველ ნაწილს მინიჭებული ჰქონდა პირობითი ნომერი — მინდვრის ფოსტა ნომერი ესა და ეს. ეს დამალობანა ძირითადად გამართლებული იყო, რადგანაც მტერს ისიც აინტერესებდა, საიდან გაწვეული ხალხი სად მსახურობს და, ან რომელ ქალაქში იდგა გარნიზონი, მაგრამ საიდუმლოობანას მანია ზოგჯერ აბსურდამდეც მიდიოდა და დანაშაულადაც იქცეოდა ხოლმე. ასე მოხდა, მაგალითად, უკრაინაში, ჩერნობილში ატომური ელექტროსადგურის აფეთქების დროს. მთელმა მსოფლიომ იცოდა, რა უბედურება დატრიალდა საბჭოთა კავშირის ტერიტორია-

---

[1] "Слово о Полку Игореве", ნებისმიერი გამოცემა.

ზე, ხოლო თავისმა მთავრობამ ხალხს დაუმალა თავს დატეხილი უბედურება და უფრო მეტიც: ათი ათასობით მსუბუქად ჩაცმული და თავშიშველა ხალხი გამოიყვანა პირველი მაისის პარადზე. მთელი კვირის განმავლობაში მაშინდელი ხელმძღვანელი მ. გორბაჩოვი და მასთან მყოფი მაღალი თანამდებობის პირები ცდილობდნენ დაემალათ მომხდარი ამბავი და არა იმიტომ, რომ ისინი რაღაცა სახელმწიფო საიდუმლოებას იცავდენ, არამედ იმიტომ, რომ გრძნობდნენ საკუთარ დანაშაულს და ამის დაფარვას ცდილობდნენ.

მეორე მაგალითი: აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი კატეგორიულად მოითხოვდა მთავრობისაგან, ტრიბუნიდან თქმულიყო, რა ძალები და რა შეიარაღება გააჩნდა ქართულ მხარეს. ზოგი პარლამენტარი თავის გამოჩენას იმით ცდილობდა, რომ საჯაროდ ჰყვებოდა ყველაფერს იმას, რაც იცოდა საბრძოლო მოქმედებების შესახებ. ასეთმა "დემოკრატებმა" დათვური სამსახური გაუწიეს თავის სამშობლოს: მოწინააღმდეგეს რეგულარულად და უფასოდ ამარაგებდნენ ისეთი ინფორმაციით, რისთვისაც დაინტერესებული მეორე მხარე მილიონებს გაიღებდა.

საიდუმლო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება იყოს ეკონომიკაშიც. ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ყოველთვის იყო, არის და იქნება ისეთი მოვლენები, რომლებიც მილიონობით ადამიანებს შეეხება. ასევე არის ჯანმრთელობის დარგშიც. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი დეტალი. დღეს ხშირად ხდება ისე, რომ საჯარო-

ობის პრინციპის დაცვის მიზეზით მოსახლეობას აბრუე-ბენ ათასგვარი ჭორ-მართლით, წვრილმანებზე ლაპარა-კით და ამის უკან დიდი მონდომებით იმალება მართლაც და საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თუნდაც იმის შესახებ, თუ როგორ იკარგება უგზო-უკვლოდ საზ-ღვარგარეთიდან მიღებული კრედიტების სოლიდური ნა-წილი.

ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პირად ცხოვრებაშიც. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს წმინდა პირადული, ინდივიდუალური ხასიათის, შეიძლე-ბა ინტიმურიც. ასეთ ინფორმაციას არავითარი საზოგა-დოებრივი ღირებულება არა აქვს. ის საინტერესოა მხო-ლოდ სხვათა საქმეებში ცხვირის ჩაყოფის მოყვარულ-თათვის. მაგალითად, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქართველოს მოქალაქისათვის ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი საყვარელი ჰყავდა რომელიმე ამერიკელ კი-ნოვარსკვლავს? მაგრამ, ასეთი ცნობებით უხვად გვამა-რაგებენ გაზეთებიც, ტელევიზიაც, რადიოც. სამწუხა-როდ, არავინ გვეუბნება, როგორია დღეს ზუსტად საქ-ართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა.

არის ისეთი "პირადული" ინფორმაციაც, რომელსაც განაგებს რომელიმე კონკრეტული პირი და ეხება სხვა კონკრეტულ პირებს. ინფორმაციის მფლობელი ინახავს ამ ინფორმაციას, როგორც სხვებზე ზემოქმედების მძლავრ იარაღს და გამოიყენებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს პირადად მას სჭირდება. აი, ერთი ასეთი უცნაური თუ ძალიან უხერხული მაგალითი. პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ერთმა პარლამენტარმა მეორეს ჭურდი

უწოდა. ჭურდად მონათლულმა ეს კი არ იწყინა, შეურაცხმყოფელი დუელში კი არ გამოიწვია, არამედ ადგა, მხრები გაშალა და თამამად მიაძახა: "შენ ჩემზე უარესი ხარ, გაჩუმდი, არ მათქმევინო ის, რაც შენზე ვიცი". ამას იურიდიულ ენაზე შანტაჟი ეწოდება, და რაც უფრო ფარულია შანტაჟისტის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია, მით უფრო შთამბეჭდავია შანტაჟის ეფექტი. ასეთი კოლიზიები ძალიან ხშირად გვხვდება თანამედროვე კინოფილმებსა და მხატვრულ ლიტერატურაში.

პიროვნებასთან დაკავშირებული ფარული ინფორმაციის ხელში ჩაგდების მცდელობა შეიძლება იქცეს ადამიანის დაღუპვის მიზეზად, მაგრამ ასეთ ინფორმაციაზე მონადირეთათვის ადამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი არა აქვს. მთავარია, ხელთ იგდოს ისეთი ცნობა, რომელიც შეიძლება ძვირად გაყიდოს.

მე-20 საუკუნის დასასრულს ინფორმაციამ იმხელა მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოებაში, რომ ზოგიერთი მკვლევარი თვითონ საზოგადოებასაც კი უწოდებს ინფორმაციულს. მაგალითად, ამ აზრს იზიარებს მაია ცაცანაშვილი თავის წერილში "ინფორმაციული საზოგადოების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები".[1] მ. ცაცანაშვილი ბრძანებს: "ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე პერიოდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგა-

---

[1] მ. ცაცანაშვილი. "ინფორმაციული საზოგადოების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები", ჟურნ. "პარლამენტის უწყებანი", 1998წ. № 3-4 გვ. 30.

დოებაზე გადასვლის ეპოქა".[1] ეს აზრი საგულისხმოა იმით, რომ ცხოვრების ინფორმაციით გაჯერება გამოცხადებულია საზოგადოების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ ეხება მთელ მსოფლიოს, მაგრამ თუ ეს ნიშანი დამახასიათებელია ე.წ. განვითარებული სამყაროსათვის, მაშასადამე, იგი პერსპექტიულია და ამიტომ ანგარიშგასაწევი.

თუ ამ აზრს გავყვებით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ინფორმაციით გაჯერება შეეხება არა მარტო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, იგი ქმედით გავლენას მოახდენს პიროვნების, ინდივიდუმის ფსიქოლოგიაზე. ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მფლობელი პიროვნების ცხოვრება დაძაბულია, მოითხოვს აზროვნების ელასტიკურობას და მოქმედების ენერგიულობას. ინფორმაცია, ფაქტობრივად, რაღაცის ცოდნას ნიშნავს, ცოდნა კი ყოველთვის მოითხოვს მის რეალიზაციას, როგორღაც გამოყენებას. კიდევ ერთი დეტალი. ინფორმაციის რეალიზაცია თავისთავად უკვე გულისხმობს ახალი ინფორმაციის გაჩენასა და შეძენას, რაც თავისთავად იქცევა ინფორმაციული ზრდის მორიგ საფეხურად.

ინფორმაციული საზოგადოება არის ნაბიჯი ე.წ. "ღია საზოგადოების" შექმნისაკენ და თუ ინფორმაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამხელა როლი ენიჭება, მაშინ სრულიად აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი

---

[1] მ. ცაცანაშვილი. "ინფორმაციული საზოგადოების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები", ჟურნ. "პარლამენტის უწყებანი", 1998წ. № 3-4. გვ. 3.

ცხოვრების ამ მძლავრი ბერკეტის გამოყენება დავუქვემ-
დებაროთ იურიდიულ და ზნეობრივ კანონებს.

აქ დიდ აქტუალობას იჩენს ე.წ. "ინფორმაციული პოლიტიკა", რომლის პრინციპთა შემუშავება და საკონ-სტიტუციო დებულებებთან შეხამება ფრიად აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხად იქცევა.

დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალება

ინფორმაცია და მისი გავრცელება ანუ ინფორმირება თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი აზრის წარმართვის უძლიერესი და უმთავრესი საშუალებაა. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ინფორმაციის გაუკუღმართებულ ფორმას, რომელსაც <u>დეზინფორმაციას</u> უწოდებენ. დეზინფორმაცია იგივე ინფორმაციაა, ოღონდაც შეგნებულად გაყალბებული. დეზინფორმაციის შემქმნელისა და გამავრცელებლის მიზანია, ვიღაცას მიაწოდოს ყალბი, მცდარი ინფორმაცია და ამით აიძულოს იგი იმოქმედოს საკუთარი ინტერესების საზიანოდ. დეზინფორმაციის დამახასიათებელი თვისებაა მისი გაორებული ბუნება. გარეგნულად იგი წააგავს საიმედო და სასარგებლო ცნობას და უზრუნველყოფილია ისეთი ატრიბუტებით, რომლებიც მის ჭეშმარიტებას ადასტურებენ, სინამდვილეში კი აგებულია ყალბ მონაცემებზე და საბოლოო მიზანიც არის ადრესატის შეცდომაში შეყვანა. თვითონ ტერმინი "დეზინფორმაცია", ნაწარმოებია ინფორმაციისაგან ფრანგული ზმნისწინის des

მეშვეობით, რომლის მნიშვნელობაც შეიძლება გამოიხატოს ქართული — გან ზმნისწინით. ამ ტერმინის

მთლიანი მნიშვნელობა არის "ინფორმაციის მოშლა, წართმევა, ჩამოცილება".[1]

დეზინფორმაცია ენციკლოპედიურ ლექსიკონში ასეა განმარტებული: "შეგნებულად გაყალბებული ინფორმაცია, ხერხი, საშუალება, რომელიც ფართოდ გამოიყენება პრესაში, რადიოსა და ბურჟუაზიული პროპაგანდის სხვა ორგანოში, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით".[2] ამ განმარტებაში სიტყვა "ბურჟუაზიული" თვითონ არის დეზინფორმაციის ელემენტის შემცველი, რადგანაც საჭიროების შემთხვევაში არც საბჭოთა პროპაგანდა თაკილობდა დეზინფორმაციის გამოყენებას.

დეზინფორმაცია აგებულია იმ მოსაზრებებზე, რომ საზოგადოება ან პირთა ჯგუფი არ შეურიგდება ინფორმაციულ ვაკუუმს, ამიტომ დეზინფორმაცია ცდილობს შეავსოს ვაკუუმი და ამით მოჩვენებითად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი რაიმე საკითხისადმი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რაც უფრო მეტია ინფორმაციული ვაკუუმი, მით უფრო იოლია დეზინფორმაციის გავრცელება. ეს აიხსნება რაიმე მოვლენისადმი ადამიანის ბუნებრივი ინტერესით. თუ ინტერესი არ დაკმაყოფილდა ნამდვილი ინფორმაციით, მის ადგილს ყალბი ინფორმაცია ანუ დეზინფორმაცია იკავებს.

დეზინფორმაცია, როგორც მოწინააღმდეგის მოტყუების ხერხი, ცნობილია უძველესი დროიდანვე და დღესაც აქტიურად გამოიყენება. მაგალითად, უინსტონ ჩერჩილს თავის ცნობილ წიგნში "მოგონებები მეორე მსოფ-

---

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

[2] Энциклопедический словарь. М., 1953, т.1, გვ. 520.

ლიო ომის შესახებ", მოჰყავს ინგლისური დაზვერვისათვის მეტად დამახასიათებელი დეზინფორმაციის მაგალითი: ინგლისის დაზვერვამ დააღგინა, რომ სტამბულში ინგლისის ელჩის პირადი მსახური ფაშისტური გერმანიის დაზვერვამ გადაიბირა. ეს ის დრო იყო, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა მზადება მეორე ფრონტის გასახსნელად. ინგლისელებმა გერმანელ მზვერავს არამც თუ ხელი არ ახლეს, არამედ არც აგრძნობინეს რაიმე, ხოლო ელჩმა, სათანადო მითითებების საფუძველზე, საშუალება მისცა თავის მსახურს ლონდონიდან მიღებული ინსტრუქციებისა და მითითებების ასლების გადაღებისა. ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ელჩის აბაზანაში ყოფნის დროს, რაც გრძელდებოდა 45-60 წუთი. მსახურმა კარგად იცოდა, ელჩს სად ჰქონდა შენახული სეიფის გასაღები და ამ დროის განმავლობაში მრავალი ფოტოფირის გადაღებას ახერხებდა. მოპოვებული ცნობები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ გერმანელებმა თავის აგენტს ცნობილი რომაელი ორატორის ციცერონის სახელი შეარქვეს. ამავე დროს ეჭვიც გაუჩნდათ ინგლისური კონტრდაზვერვის ასეთ დაუდევრობაზე და დაიწყეს "ციცერონის" მიერ მიწოდებული ცნობების გადამოწმება სხვა არხებით. ცნობების სიზუსტე ყოველთვის დასტურდებოდა. ამან გერმანიის დაზვერვა ერთგვარად დაამშვიდა. ინგლისის დაზვერვამ ეს იგრძნო და დაიწყო "ციცერონის" მომარაგება ყალბი ინფორმაციით, ანუ გაიშალა დეზინფორმაციული მუშაობა. იმ ორი თვის განმავლობაში, როდესაც "ციცერონი" თავის დამქირავებლებს ამარაგებდა ცნობებით ინგლის-ამერიკის ჯარების დანიასა და

ბელგიაში მომავალი გადმოსხმის შეახებ, რაც გერმანელებს პირველ ხანებში სჯეროდათ, ინგლისმა და ამერიკამ შესძლეს სამხრეთ იტალიაში ჯარების წარმატებით გადასხმა. როგორც ჩერჩილი შენიშნავს, "ციცერონი" უგზო-უკვლოდ გაქრა. ეტყობა, გერმანიის დაზვერვამ თავის აგენტს არ აპატია ასეთი შეცდომა".[1]

დეზინფორმაცია უნდა განვასხვაოთ შეცდომისაგან. შეიძლება, ადამიანმა მიიღოს რაღაც მცდარი ინფორმაცია მეორე პირისაგან იმის გამო, რომ ინფორმატორს თვითონ სჯერა, რომ მისი ინფორმაცია სწორია. ეს არის ინფორმაციის შეცდომა, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, მაგრამ აქ შეგნებული დანაშაული არ არის, ე.ი. არ არის დეზინფორმაცია. დეზინფორმაცია შეგნებულად, გააზრებულად მოფიქრებული და შესრულებული სიყალბეა. ამიტომ დეზინფორმაცია იგივე ინფორმაციაა, მაგრამ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით გავრცელებული. დეზინფორმაციას ოფიციალურად ყველა ებრძვის და დანაშაულებრივ ქმედებად აცხადებს, მაგრამ ცხოვრებაში მას ხშირად იყენებენ ავი ზრახვების დასაფარავად ან აბეზარი ცნობისმოყვარეების მოსაგერიელებლად. შეიძლებოდა დეზინფორმაციაზე არ გველაპარაკა, მაგრამ არ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ, რადგანაც იგი შედის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების ბოროტად გამოყენების წრეში. დეზინფორმაციის ზემოქმედების ძალა მის სიმართლეში კი არ არის, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიის

---

[1] У. Черчилль. "Воспоминания о Второй мировой войне", М., 1957.

გათვლისწინებაში — ოსტატურად შეთხზულ ყალბ ცნობას ბევრი დაიჯერებს, ირწმუნებს და ამით შეიქმნება რომელიღაც პიროვნებაზე არასწორი საზოგადოებრივი წარმოდგენა. ძოგვიანებით რომ გამჟღავნდეს კიდეც ასეთი ინფორმაციის სიყალბე, მან თავისი კვალი უკვე მაინც დატოვა. ასეთ შემთხვევაში დეზინფორმაცია გადაიზრდება და კვალიფიცირდება, როგორც ცილისწამება.

ცილისწამება დეზინფორმაციის ერთ-ერთი სახეობაა და მეტწილად მიმართულია კონკრეტული პირების წინააღმდეგ. საერთოდ კი ინფორმაციის მოქმედების ძირითადი სამიზნე არის საზოგადოებრივი აზრი.

დეზინფორმაციის სუსტი მხარეა მისი უდღეურობა — ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დეზინფორმაციას თითქმის ყოველთვის მოსდევს სიმართლის გამოჩენა და ამით ტყუილის გაბათილება. მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ძალიან ხანმოკლე დეზინფორმაციაც კი რაღაც კვალს სტოვებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (გაზეთი, რადიო, ტელევიზია) ხშირია შემთხვევა ე.წ. "უარყოფისა", როდესაც, ვთქვათ, გაზეთი აცხადებს, რომ მის მიერ ადრე გამოქვეყნებული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება. თითქოს დაზარალებულის პრესტიჟი აღდგენილია, თითქოს საზოგადოებამ სიმართლე გაიგო, მაგრამ: 1. — ადრე გამოქვეყნებული ცნობის უარყოფა ყველამ ვერ წაიკითხა, ამიტომ ყალბი ცნობის ზემოქმედება გრძელდება. 2. კაცმა რომ წაიკითხოს კიდეც გამოქვეყნებული ცნობის მცდარობის შესახებ, თუ მას ეს ე.წ. მცდარი ცნობა რატომღაც ხელს აძლევს, ის ამ ცნობას მაინც იმახსოვრებს

და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს კიდეც, წასძახებს თავის მოწინააღმდეგეს, რომ შენ ის კაცი არა ხარ, ვისზეც აი, ასეთ რამეს წერენო.

ცხოვრებისეული პრაქტიკა (პრესა, სასამართლო, ჩვეულებრივი ურთიერთობა) ცხადყოფს, რომ დეზინფორმაცია საზოგადოებისათვის გაცილებით უფრო საშიში მოვლენაა, ვიდრე იგი შეფასებულია თუნდაც იურიდიულ დონეზე.

დღეს მოქმედ კანონში "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" მე-4 მუხლი მთლიანად ეძღვნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას. ამ მუხლში საკმაოდ მკაფიოდ არის მითითებული ის ქმედებანი, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება.

"მუხლი 4.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების პატივისა და ღირსების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულს ან საიდუმლოდ არის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით".[1]

---

[1] იხ. საქართველოს კანონი "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ". მუხლი 4.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ოფიციალურ საბუთებში დადასტურებული რეგლამენტაცია საკმაოდ ლოგიკური, დამაჯერებელი და სრულია. და თუ ამ კანონების რაიმე ნაკლზე ვილაპარაკებთ, ეს იქნება ამ კანონების ქრონიკული შეუსრულებლობა. ალბათ, სადავო არ არის, რომ თუ კანონი შესრულდება ყოველ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში, მაშინ უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები საგრძნობლად შემცირდება.

სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოროტ ინფორმაციას, დეზინფორმაციას და ჭორს ჩვენს საზოგადოებაში მომხმარებელიც საკმაოდ ჰყავს. ეს მომხმარებელი ხშირად პირდაპირ მოითხოვს გაზეთებისაგან, რომ ესა თუ ის ცნობა, მიუხედავად მისი სიყალბისა, აუცილებალად იქნეს გავრცელებული. მიზანი გასაგებია, ვიღაცას სურს დარტყმა მიაყენოს მეორე პიროვნებას, მერე განზე გამდგარმა უყუროს სეირს, რა ნერვებისა და წვალების ხარჯზე შეძლებს შეურაცხყოფილი ადამიანი თავის გამართლებას.

ნამდვილი ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ერთმანეთისაგან განსხვავება არც ისე ძნელია, როგორც ხატავენ ისინი, ვინც ბიზნესს დეზინფორმაციის გავრცელებით აკეთებს. სრულადაც არ გვეჩვენება შემთხვევითად, რომ საქართველოს კანონში "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ"

24-ე მუხლის მე-4 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ჟურნალისტს, რომ მან "უარი უნდა თქვას

რედაქტორის ისეთი დავალების შესრულებაზე, რომელიც არღვევს კანონს".[1]

ეტყობა, ასეთი დავალებებიც არსებობს ხოლმე, რაც საზოგადოებისათვის, ზნეობისათვის ფრიად საზიანო მოვლენაა.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში საინფორმაციო საშუალებებითაც და ზეპირადაც, ყოველდღე ვრცელდება სხვადასხვა სახის დეზინფორმაცია კონკრეტულ პირებზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზეც, კერძოდ პარტიებზე და ჩვენი საზოგადოება ამას ისე მიეჩვია, რომ თითქმის რეაქციაც კი აღარ მოსდევს. იმეორებენ ნათქვამს, გადასცემენ ერთმანეთს და "პირს იტკბარუნებენ", ვიდრე მორიგი დეზინფორმაცია არ გამოჩნდება.

ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრი გებელსი საჯაროდ აცხადებდა: "საზოგადოებას ტყუილის მოსმენა უფრო სიამოვნებს, ვიდრე სიმართლის. მაგრამ ტყუილი უნდა იყოს ისეთი მასშტაბების და ისე უნდა ითქვას, რომ მსმენელმა მიიღოს იგი შემდეგი რწმენით — ასეთი ტყუილის თქმა როგორ შეიძლებაო — მაშასადამე, მართალიაო".[2] გებელსის ამ ცინიკურ განცხადებაში სიმართლეც არის. ხშირად საზოგადოებას მომხიბლავი ტყუილი უფრო სჯერა, ვიდრე არასასიამოვნო სიმართლე. ეს ფაქტორი ძალაშია ჩვენს საზოგადოებაშიც.

---

[1] იხ. საქართველოს კანონი "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ". მუხლი 24.

[2] У. Черчилль. "Воспоминания о Второй мировой войне. М., 1957.

რად ღირს, თუნდაც, აჭარის ირგვლივ ატეხილი ხმაური. რამდენი რამ ითქვა, რამდენი რამ დაიწერა, რამდენი ცნობა მიაწოდეს მსმენელსა და მკითხველს, მაგრამ ნამდვილი ინფორმაცია დღემდე უცნობია, თუმცა მისი დადგენა სულაც არ უნდა იყოს ძნელი, რადგან მოქმედი პირები ჩვენი თანამედროვეები არიან და აქტიურად მონაწილეობენ კამათში. ეტყობა, ნამდვილი ინფორმაციის გამოქვეყნების დრო ჯერ არ დამდგარა. დეზინფორმაცია საშიში და საშინელი საზოგადოებრივი სენია და მას მუქარით, შეგონებით ვერავინ მოსპობს, რადგან მას ჰყავდა, ჰყავს და კვლავაც ეყოლება მომხმარებელი. მაშასადამე, ყოველთვის იქნება დამკვეთი და შემსრულებელი.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება არის ნამდვილი, ჭეშმარიტი ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უტყუარი ხერხი მიუღებელია ბევრისათვის, რადგან ასეთი ხალხისათვის ჭეშმარიტება მომაკვდინებელია, ხოლო დეზინფორმაცია მათი არსებობის საიმედო ჯავშანია. სწორედ ამაშია დეზინფორმაციის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა.

ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების სახეები

ინფორმაციის მოპოვების კანონიერი და უკანონო საშუალებები. პაპარაციზმი

თავისუფლების ცნება საერთოდ და, კერძოდ, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ცნება, ჩვენს გარდამავალ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრის მიერ არასწორდ იქნა გაგებული. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ თავისუფლებას აიგივებენ სრულ თვითნებობასა და განუკითხაობასთან. "მე თავისუფალი ვარ, მაშასადამე, უფლება მაქვს გავაკეთო, რაც პირადად მომწონს". უნდა კი მტკიცება, რომ ეს "ფილოსოფია" სრულიად ყალბია — მცდარი კი არა, ყალბი. თვითონ ეს უძველესი ქართული ტერმინი — თავისუფლება, ალბათ უნდა გავიგოთ ასე: რის უფლებას მისცემს ადამიანი თავის თავს, ანუ რამდენად ეყოფა პიროვნებას შეგნება და ნებისყოფა, რომ დაუმორჩილოს თავისი საქციელი ისეთ პრინციპებს, რომლებშიც სხვისი ინტერების დაცვაც იგულისხმება. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების ცნება მოიცავს უფლებებისა და თავისუფლებების მთელ ჯგუფს: სიტყვის თავისუფლებას (აზრის თავისუფლად

გამოხატვის უფლებას), ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების უფლებას, ნებისმიერი კანონიერი საშუალებით ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას.[1] ამ მხრივ ინფორმაციაზე მომუშავე ხალხი, ანუ ჟურნალისტები, მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ არა მარტო მათთვის მინიჭებული უფლებები, არამედ – ამ უფლებებიდან გამომდინარე – პასუხისმგებლობაც.

ერთ-ერთი უბანი, სადაც უფლებებისა და პასუხისმგებლობის შერწყმა აუცილებელია, ეს არის ისეთ ინფორმაციაზე მუშაობა, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოებას. ჩვეულებრივად, პირველ რიგში ასახელებენ ხოლმე სახელმწიფო საიდუმლოებას. არსებობს "საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ", რომელიც გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით 1996 წლის 29 ოქტომბერს და კორექტირებულია 1998 წლის 4 აპრილის კანონით. ამ კანონს ბევრი დადებითი თვისება აქვს, უპირველეს ყოვლისა ის, რომ მასში ნახმარი ყოველი ტერმინი <u>დეფინიცირებულია,</u> რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ბევრ სხვა კანონზე. დეტალურად არის ჩამოთვლილი ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის კრიტერიუმები, შენახვის წესები, მისი სხვის ხელში გადაცემის მექანიზმი და პასუხისმგებლობა და ყველა ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ინ-

---

[1] ცნობილაძე პ. "კონსტიტუციური სამართალი" (ცნობარი), თბ., 1998.

ტერესებს. სხვათაშორის, უნდა გავიხსენოთ ცნობილი აზრი იმის შესახებ, რომ მკაფიოდ შედგენილი კანონის განხორციელება უფრო ადვილია, ვიდრე ბუნდოვანისა, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნდოვანი კანონის გაყალბება უფრო ადვილია, ვიდრე მკაფიოსი, რადგანაც გამოთქმული აზრი საშუალებას და სტიმულს იძლევა მისი სხვადასხვანაირად გაგებისათვის.ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ შემთხვევისას, როცა თვითონ აზრი კი არ არის ბუნდოვანი, არამედ მისი ენობრივად გადმოცემის ფორმა. ენაში, საქმიან საბუთებში მრავლად არის ცნობილი ისეთი ფაქტი, როცა აზრის ბედი წყდება ენობრივი მასალის გაგების მიხედვით.

კანონი, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვლაპარაკობთ, მართლაც მკაფიოდ არის შედგენილი. ამ კანონის მე-7 თავის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტში ნათქვამია: "თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გახმაურდა სახელმწიფო საიდუმლოება და ამით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო უშიშროებას ან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებს, ან საფრთხე შეექმნა ადამიანების სიცოცხლეს, კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა დაეკისრება პასუხისმგებელ რედაქტორს" (გამოშვებაზე პასუხისმგებელ პირს).[1]

თუ ამ მუხლს ჩავუკვირდებით, ასეთი გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამავრცელებელ პირთა შორის პასუხს აგებენ არა მარტო ჟურნალისტები, რომლებმაც მოიპოვეს ეს ინფორმაცია და მიიტანეს გამომყენებელ

---

[1] საქართველოს კანონი "სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ'. თბ., 1996, გვ.13.

ორგანოში, არამედ თვით ამ ორგანოს ხელმძღვანელიც ანუ რედაქტორი, რომელმაც ნება დართო ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას.

ეს დებულება შინაგანად ცოტა წინააღმდეგობრივია: ერთის მხრივ, იგი იცავს ინფორმაციის გასაიდუმლოებას და ამით სახელმწიფოს ინტერესებს, რითაც აკონტროლებს და ერთგვარად აკავებს ჟურნალისტის დაუფიქრებელ მოქმედებას, მეორე მხრივ, ერთგვარად, ხელს უწყობს რედაქტორის თვითნებობას — უფლებას აძლევს, არ გამოაქვეყნოს რაიმე ინფორმაცია, იმ მოტივით, რომ იგი, რედაქტორი, რომელიღაც ინფორმაციას მიიჩნევს სახელმწიფო საიდუმლოებად. და ჟურნალისტს ალბათ დასჭირდება დიდი ბრძოლა, რომ დაამტკიცოს საპირისპირო აზრი. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, თუ კანონში მითითებული იქნებოდა რაღაც ოპერატიული მექანიზმი სადავო საკითხების სწრაფად გასარკვევად, ვიდრე თვით ეს ინფორმაცია არ დაკარგავდა თავის მნიშვნელობას ხანდაზმულობის გამო. ასეთი მაგალითი პრაქტიკამ იცის: 1995 წელს მოსკოვში პასუხისგებაში მისცეს ორი ქიმიკოსი, რომელთაც ბრალად დაედოთ რომელიღაც საიდუმლო ქიმიური რეაქციის საჯაროდ გამოტანა. ქიმიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მათ სახელმწიფო საიდუმლოება არ გაუციათ, რადგანაც ყველაფერი ეს ნაწილ-ნაწილ და სხვადასხვა ჟურნალებში ადრეც იყო გამოქვეყნებული, ხოლო მასალის გასაიდუმლოება მოხდა მერე. ბრალმდებელნი კი ამტკიცებდნენ, რომ იმ ორი ქიმიკოსის პუბლიკაციების გამოსვლის დროს მასალა უკვე საიდუმლოდ ითვლებოდა, ამიტომ ქიმიკოსების ქმე-

დობაში დანაშაულის შემადგენლობა უეჭვოა. ძიება გაგრძელდა თითქმის ერთი წლის მანძილზე, ჩიხში მოექცა და ქიმიკოსები ისე გაათავისუფლეს, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ დაამტკიცა თავისი სიმართლე, ხოლო ჩვენი კანონით კი ეს ქმედობა მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად არის გადაწყვეტილი. "მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომლის გახმაურებასაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის (ან რომელიც ადრე უკვე გამოქვეყნებული იყო, დანაშაულად არ ითვლება".[1]

როდესაც რაიმე საკითხის განსჯისას ყველაფერი ცალსახად ცხადია, იქ, რა თქმა უნდა, შავიც და თეთრიც კარგად ჩანს. იურიდიული საფუძვლის ძებნა იწყება მაშინ, როდესაც რაღაც გართულება წამოიჭრება. მოტანილ მაგალითში ქიმიკოსების მტკიცებას აქვს თავისი იურიდიული გამართლება (მასალა ადრეც იყო გამოქვეყნებული), მაგრამ გამართლება აქვს ბრალმდებელთა პრეტენზიასაც — ქიმიკოსებმა მასალა გამოაქვეყნეს მას შემდეგ, როდესაც მას საიდუმლოების გრიფი მიეცა. ასეთ შემთხვევაში სახეზეა ე. წ. იურიდიული კაზუსი, რომლის პირველწყაროდაც უნდა ჩაითვალოს კანონის არასრულყოფა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ კანონის ერთ-ერთი ღირსება სწორედ ეს ბოლო პუნქტია.

მრავალნაირია ინფორმაციის მოპოვების საშუალებაც. ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების ხერხები ყოველთვის როგორ-

---

[1] 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.

ღაც შეესაბამებოდა ერთმანეთს. მაგ., ინფორმაციის ზეპირი გადაცემა-მიღება; ინფორმაციის წერილობით გადაცემა-მიღება; ინფორმაციის კოდური წესით გადაცემა-მიღება.

ინფორმაციის მოპოვების სირთულე პირდაპირ არის დამოკიდებული ინფორმაციის საზოგადოებრივ ან პიროვნულ მნიშვნელობაზე, რაც უფრო ფარულია ინფორმაცია, მით უფრო ძნელია მისი ხელში ჩაგდება. ეს სიძნელე ძალიან ხშირად დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ზოგჯერ — სიცოცხლის რისკთანაც კი. როგორც ამბობენ, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ორი წლის მანძილზე 70-მდე ჟურნალისტი დაიღუპა. ეს საკმაოდ დიდი ციფრია.

რისკთან არის დაკავშირებული ე.წ. ინტიმური ინფორმაციის მოპოვება ანუ ისეთი ცნობების ხელში ჩაგდება, რომლებიც შეეხება ცალკეული გამოჩენილი პირების პირად ცხოვრებას. განსაკუთრებით პირადი ცხოვრების ისეთ ფაქტებს, რომლის გახმაურებაც არაფრით არ სურს პიროვნებას. ასეთი ინფორმაციის შემგროვებელმა მშვენივრად იცის საზოგადოების ერთი ნაწილის დაუოკებელი სურვილი შეიჭყიტოს სხვის პირად ცხოვრებაში, ცხვირი ჩაყოს ისეთ საქმეში, რაც მას სრულიად არ ეხება და ამ თავისი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ზოგჯერ საკმაოდ დიდი ფულის გადახდასაც არ ერიდება. ამ მოვლენას ჟურნალისტიკაში სპეციალური ტერმინიც კი აქვს — პ ა პ ა რ ა ც ი ზ მ ი. პაპარაცი იყო იტალიელი ჟურნალისტი, (მართალია, კინო-ფილმის პერსონაჟი), რომელიც არაფერს თა-

კილობდა, რომ მოეპოვებინა, როგორც იტყვიან, "მძაფრი სუნის მქონე" ფაქტები. მისი გვარი იქცა სიბინძურის, უკადრისი საქციელის გამომხატველ ზოგად სახელად.

სამწუხაროდ, და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დიდად საზიანოდ, დღევანდელ პრესაში სულ უფრო ძლიერდება აი, ამგვარი "პაპარაცული" ტენდენციები.

პაპარაციზმი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, საკმაოდ რთული ხასიათისაა და მისი ხელაღებით დაწუნება ან მოწონება გაუმართლებელი ცალმხრივობა იქნებოდა. უფრო მეტიც, ისეთი გამოსვლებიც გამოჩნდა, რომლებიც პაპარაციზმს ამართლებენ კიდეც და "საზოგადოებრივი ჭუჭყის გამწმენდ სანიტარსაც" კი უწოდებენ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოდ მოგვეჩვენა 1998 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიით გადმოცემული იურიდიული ხასიათის დისკუსია, რომელშიც ორიგინალურად იყო განხილული პაპარაციზმის ბუნება. დისკუსიის მონაწილეები აღიარებდნენ, რომ პაპარაციზტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ჟურნალისტები იბრძვიან არა სამართლიანობისა და ზნეობის განმტკიცებისთვის საზოგადოებაში, არამედ ნებისმიერი გზით ფულის მოსახვეჭად. ეს პაპარაციზმის ბნელი მხარეა. მაგრამ დისკუსიის მონაწილეები საკითხს მიუდგნენ სხვა კუთხით. პაპარაცი ჟურნალისტები, როგორც წესი, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ხალხია. აქვთ კარგად განვითარებული სოციალური ყნოსვა, არ ერიდებიან რისკს, არიან ენერგიულები და მიზანდასახულები. ამავე დროს ისინი, როგორც წესი, ირჩევენ არა უბრალოდ გა-

მორჩეულ პირებს, არამედ ისეთებს, რომლებმაც სიმდიდრე და სახელი მოიპოვეს საეჭვო ხერხებით და ყოველმხრივ ცდილობენ, რომ საზოგადოებისათვის არ გახდეს ცნობილი, როგორ გამდიდრდნენ ან რა ზნეობრივი სულისკვეთებით ცხოვრობენ. პაპარაცი დიდხანს უტრიალებს თავის მსხვერპლს, ჩუმჩუმად აგროვებს ინფორმაციას მის შესახებ და მსხვერპლისთვის სრულიად მოულოდნელ მომენტში მიაყენებს დარტყმას. ღია ბრძოლა ჩვეულებრივად იწყება არა მასალების გამოქვეყნებით, არამედ მასალების გამოქვეყნების მუქარით, თუ ეს მიზანში ამოღებული პიროვნება არ გაიღებს რაღაცა თანხას. ე.ი. იწყება ნამდვილი პრიმიტიული შანტაჟი, რომელშიც პაპარაცი არაფერს კარგავს, მოხვეჭის შანსი კი აქვს. მსხვერპლის საქციელი ემყარება შენიღბული ადამიანის ფსიქოლოგიას, დაუძლეველ შიშს, რათა საზოგადოებამ არ დაინახოს მისი ნამდვილი სახე. ასეთი ორთაბრძოლა, როგორც წესი, მთავრდება ჟურნალისტის გამარჯვებით, ან, თუ მან მოთხოვნილი თანხა ვერ მიიღო, საკომპრომეტაციო მასალების გამოქვეყნებით, გაჯიუტებული "კლიენტის" მიწასთან გასწორებით. ამ შემთხვევაში, მართალია, ჟურნალისტი მატერიალურ მოგებას ვერ ნახულობს, სამაგიეროდ საზოგადოების თვალში ბოროტ ძალებთან მებრძოლის სახელს იხვეჭს. ამავე დროს, ერთგვარად აფრთხილებს ყველა იმას, რომელსაც რაღაც ცოდვა მიუძღვის, მაგრამ უარს ამბობს ამ ცოდვის დაფარვის სამაგიეროდ რაღაც თანხის გაღებაზე. აქ ისმის კითხვა – რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის იმას, რაც გააკეთა ჟურნალისტმა? პასუხი ცალსა-

ხა არ არის. პაპარაციზმისადმი ლმობიერად განწყობილი მოაზროვნეები თვლიან, რომ, მართალია, აღწერილი ბრძოლა წამოიწყო ვიღაცამ უპატიოსნო, ბინძური მიზნებით, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მან მძიმე დარტყმა მიაყენა საზოგადოებრივად საშიშ და ყალბი მორალის მატარებელ ძალებს და რომ საბოლოო შედეგი მაინც საზოგადოებისათვის სასარგებლოა.

არის ისეთი აზრიც, რომ ორი სიბოროტის შეჯახება (ამ შემთხვევაში პაპარაცი ჟურნალისტებისა და შენიღბული პიროვნების) და ერთი მათგანის დამარცხება არ არის სიკეთის გამარჯვება, რადგანაც გამარჯვებული მხარე თვითონაც ბოროტებაა და კვლავ სადღაცას იჩენს თავს.

ეს ფაქტი შეიძლება შევადაროთ ასეთ სიტუაციას. სამართალდამცავი ძალები დასდევენ ორ ავაზაკს. მაგრამ, ვიდრე ისინი ავაზაკებს მისწვდებიან, ერთმა ავაზაკმა მოსპო მეორე. როგორ უნდა შეფასდეს გამარჯვებული ავაზაკის მოქმედება — როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო და მისაღები, თუ როგორც ერთი ბოროტების გამარჯვება მეორე, თავისზე უფრო სუსტ ბოროტებაზე? იმათთვის, ვინც ამ ავაზაკებს დასდევდა, მომხდარი ამბავი მხოლოდ საქმის შემსუბუქებაა და, ალბათ, არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების შესახებ.

პაპარაცისტულ ტენდენციებზე ამდენი ლაპარაკი ჩვენ დაგვჭირდა იმის გამო, რომ ჩვენს ცხოვრებაში, მასობრივი ინფორმაციის სისტემაში, არც თუ იშვიათად ვაწყდებით პაპარაციზმის ელემენტების გამოვლინებას,

თუმცა არა ე.წ. სუფთა სახით. მაგალითად, ხშირად გვხვდება ისეთი სტატიები, ტელე-რადიო გადაცემები, რომლებშიც აშკარად გამოსჭვივის მტრობა არა იმდენად ბოროტი საქმის მიმართ, არამედ იმ პიროვნების მიმართ, ვისაც მიეწერება ბოროტი საქციელი. ამ მოვლენის სიცოცხლისუნარიანობა დამყარებულია იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კანონმდებლობაში სათანადო დონეზე არა გვაქვს იურიდიულად და ზნეობრივად მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონები იმის შესახებ, თუ რა არის პიროვნების შეურაცხყოფა, ადამიანის ღირსების ხელყოფა, მისი უფლებების დარღვევა და ა.შ.

ჩვენი მტკიცების სისწორის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტები, როდესაც სასამართლოს უჭირს გარკვევით დაადგინოს პიროვნების ამა თუ იმ საქციელში არის თუ არა სხვისი ღირსების ხელყოფის ფაქტი.

ასე რომ პაპარაციზმის პრობლემა სოციალურად, მორალურად და ზნეობრივად აქტუალური პრობლემაა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი ტენდენციების დასუსტება ჯერ არ შეიმჩნევა.

განსხვავებული მოტივებით მოქმედებენ ის პირები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ სახელმწიფოს ან რომელიმე ორგანოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაცია. ეს მოქმედება შეიძლება იყოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ან საკუთარი ინიციატივის გამოჩენა რაღაც პირადი სარგებლობის თვალსაზრისით. ინფორმაციაზე ამგვარი მონადირეებისათვის ტერმინებიც კი შემუშავდა: ვის სასარგებლოდაც მუშაობს ინფორმატორი, მისთვის იგი პატიოსანი და თავდადებული პიროვნებაა, ხო-

ლო ვინც კარგავს ინფორმაციას, ის ასეთ პიროვნებას უბრალოდ ჯაშუშს უწოდებს.

ინფორმაციის მოპოვება განუყოფელი ნაწილია იმ დიდი ცნებისა, რომელსაც ოფიციალურად სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ.

ნუ ვიფიქრებთ, რომ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული გართულებები მხოლოდ საქართველოში ხდება. ეს მოვლენა დამახასიათებელია მთელი ე.წ. ცივილიზებული სამყაროსათვისაც.

ინფორმაციის, ერთის მხრივ, დამალვის და, მეორეს მხრივ, მისი მოპოვების, მიღების სურვილები იმდენად წინააღმდეგობრივია და ურთიერთგამომრიცხავი, რომ კანონი უმაღლეს კონსტიტუციურ დონეზე ჩაერია ამ საქმეში და არეგულირებს მას. ეს დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: "ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით".[1]

საჭიროა აღინიშნოს ციტირებული პუნქტის აზრობრივი თავისებურება. ამ პუნქტში ფაქტობრივად დაფიქსირებული არის ორი საკმაოდ განსხვავებული აზრი. ერთი — ინფორმაციის მიღება, მოპოვება და მეორე, ამ ინფორმაციის გამოყენება. რეალურად, ადამიანმა შეიძლება რაიმე ინფორმაცია მოიპოვოს არა გასავრცელებლად, არამედ თავისთვის გამოსაყენებლად. ცხოვრებაში ასეთი სიტუაცია ძალიან ბევრია. ვთქვათ, პიროვნება განაგებს

---

[1] 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.

რაღაც ინფორმაციას, იყენებს მას თავის მოქმედებაში, მაგრამ ამას საგულდაგულოდ მალავს, რადგანაც რაღაც მიზეზის გამო არ აძლევს ხელს იმის გაცხადება, რომ იგი აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს. შეიძლება იყოს სხვა ვარიანტიც. დაინტერესებულმა პირმა ინფორმაცია მოიძიოს სწორედ შემდგომი გავრცელების მიზნით. ამ მხრივ, ინფორმაციის ფლობა შეიძლება იქცეს შანტაჟის უძლიერეს საშუალებად.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის ძირითადი კანონი საჯაროდ ადასტურებს ადამიანის უფლებას ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესახებ. მართალია, ამ აღიარებულ უფლებას, თან მრავალი შეზღუდვა მოსდევს, რაც ასევე კონსტიტუციით არის დადასტურებული (მუხლი 46 "საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის ..., 24-ე, და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი"),[1] მაგრამ თვით ამ უფლების აღიარება, თანაც არა "რჩეულთათვის", არამედ ყოველი ადამიანისათვის, თავისთავად საზოგადოების დემოკრატიული გზით განვითარების მაჩვენებელია.

ასევე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს 41-ე მუხლის აღიარება, რომ "საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს,

---

[1] 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.

თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას".[1]

კონსტიტუციის მიერ დადგენილი უფლებები დაზუსტებული და დაკონკრეტებულია სათანადო სპეციალური კანონით, რომელსაც ჰქვია "საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ." განვიხილოთ ეს კანონი უფრო დეტალურად იმ ნაწილში, რომელიც ინფორმაციის მოპოვებასა და მიღებას ეხება. ამ კანონის პირველსავე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისიერი საშუალებით, აგრეთვე, მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე.[2] მეტად საინტერესოა იმის სპეციალური მითითება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის წარმომადგენლებს. არავითარი შეზღუდვა არ არსებობს ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ თავისუფლებაში — მოქალაქეს უფლება აქვს თავის მშობლიურ ენაზე ან სახელმწიფო ენაზე ინფორმაციის მიღების და გავრცელებისა. თითქმის ასეთივე უფლებებით სარგებლობენ საქართველოში დროებით მცხოვრები უცხოელი

---

[1] 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.

[2] საქართველოს რესპუბლიკის კანონი "პრესისა და მასობრივი ინფორმაცის სხვა საშუალებების შესახებ", მუხლი1.

მოქალაქეები. მათ ამ უფლებას უზრუნველყოფს ქვეყნის პრეზიდენტი ან მთავრობის სათანადო გადაწყვეტილება.

ამ კანონში ცალკე, მე-3 თავად არის გამოყოფილი ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი. ეს გასაგებიც არის. ინფორმაციაზე მუშაობს (ეძებს, მოიძიებს, ამუშავებს და ავრცელებს), როგორც წესი, პროფესიონალი, ანუ ჟურნალისტი და არა მართლაც ყოველი მოქალაქე, ამიტომ ინფორმაციის შინაარსი, ხარისხი, გავრცელების სივრცე და ინტენსიურობა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ჟურნალისტის კვალიფიკაციაზე, განწყობილებაზე და აზროვნების მიმართულებაზე.

როდესაც ამ საქმეში ჟურნალისტის უფლებებსა და ინფორმაციის მოპოვებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჟურნალისტს ყოველ ნაბიჯზე შეხვდება წინააღმდეგობა. ჯერ ერთი, ინფორმაციის მფლობელს არ სურს დათმოს ინფორმაცია, რადგანაც დღევანდელ პირობებში ინფორმაცია ძვირფასი საქონელია და, მეორე, წინააღმდეგობა განსაკუთრებით გაძლიერდება, თუ ინფორმაციის გახმაურებით ინფორმაციის მფლობელს მოელის უსიამოვნება. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის მფლობელი ხდება აგრესიული, კადრულობს ტყუილს, შანტაჟს, მუქარას და ზოგჯერ კანონით აკძალულ სხვა ქმედებებს. ამის საუკეთესო კლასიკური მაგალითი აღწერილია გაზეთ "ალიას" 1998 წლის 26-27 სექტემბრის ნომერში.

გაზეთის კორესპონდენტი ბატონი ოთარ ჩრდილელი საკმაოდ დეტალურად აღწერს იმ უმსგავსობას, როელიც გათამაშდა სამტრედიაში, როდესაც ამ რაიონის

გამგებლის მოადგილე (ავთანდილ ლომია) ელაპარაკებოდა მასთან მისულ უპენსიოდ დარჩენილ ხალხს. თუ ოთარ ჩრდილელის წერილში გადაჭარბება არ არის, მაშინ რაიონის მეორე ხელმძღვნელის (ა. ლომია) საქციელი და დამოკიდებულება გაზეთის კორესპონდენტისადმი ადასტურებს მხოლოდ ერთ რამეს: ადგილობრივი ხელმძღვანელი ისეა თავგასული, ისე დაუსჯელად მიაჩნია საკუთარი პიროვნება, რომ პრესის წარმომადგენელს ლანძღავს, ართმევს მიკროფონს და ფიზიკურადაც კი ეხება[1] და, რაც ყველაზე დამთრგუნველია, ასეთ ხელმძღვანელს აბსოლუტურად სჯერა, რომ მისი საქციელი დაუსჯელი დარჩება. ეტყობა, ასეც მოხდა, რადგან პრესაში აღარ შეგვხვედრია მასალა იმის შესახებ, თუ როგორ დამთავრდა ეს კონფლიქტი. დავსვათ კითხვა: რამ გაადიდგულა ეს ადგილობრივი მასშტაბის ჩინოვნიკი, რისი ან ვისი იმედით თავხედობს? (თუ გაზეთის მიერ მოტანილი ფაქტი ზუსტად არის აღწერილი). პასუხი იქნება ერთი. მან იცის, რომ მისი უშუალო უფროსი ასეთ "გმირობას" აპატიებს და კიდევ – დარწმუნებულია იმაში, რომ ის მარტო არ არის, რომ ქვეყანაში ასეთი რამ იმდენად ხშირად ხდება, რომ ზემდგომი ორგანოები ვერ მოიცლიან ასეთი ფაქტების გარჩევისათვის.ყველაზე მტკივნეული სწორედ აი ეს არის.

თუ ამგვარ კონფლიქტში პრესის წარმომადგენელი მართალია, მაგრამ იგი არავინ დაიცვა, ხვალ და ზეგ იგი ნაკლები მონდომებით მოეკიდება თავის საქმეს და

---

[1] გაზეთი "ალია", 1998 წლის 26-27 სექტემბერი.

იმედგაცრუებული შეიძლება მოსახერხებელ შემთხვევაში სათაკილო კომპრომისებზეც კი წავიდეს. ასე დაკარგავს თავისუფალი სიტყვა ერთ-ერთ თავის მებრძოლს.

მეორეს მხრივ, ჩინოსანი, რომელსაც შერჩა თავხედობა, ძალადობა და უსამართლობა, ხვალ და ზეგ უფრო უარესს ჩაიდენს. ასე გაუჩნდება თავისუფალ სიტყვას კიდევ ახალი მოწინააღმდეგე და მტერი.

დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ჟურნალისტი ინფორმაციას ღებულობს ორი სახით: პირველი — როდესაც ის თვითონ ეძებს ინფორმაციას, რისთვისაც, ხშირად, დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდება, და მეორე — როდესაც ჟურნალისტს სთავაზობენ ინფორმაციას შემდგომი გავრცელების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გავრცელებაში დაინტერესებულია არა იმდენად ჟურნალისტი, რამდენადაც ინფორმაციის მფლობელი. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს პრეს-კონფერენციები, რომლებსაც ხშირად მართავენ სამინისტროების, სხვადასხვა უწყებების, პარლამენტის ფრაქციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ზოგჯერ ასეთი პრეს-კონფერენციები ურთიერთგამომრიცხავი შინაარსისაა. მაგალითად, 1998 წლის მაისის შუა რიცხვებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესვეურებმა და თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა ერთდროულად გამართეს პრეს-კონფერენციები, სადაც თითოეული მათგანი ამტკიცებდა, რომ ხანგრძლივი დავის საგნად ქცეული შენობა მათ ეკუთვნოდათ. ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის ამ გზით მიღება მოითხოვს სიფრთხილეს, რადგანაც ამ-

გვარი ინფორმაცია, თითქმის ყოველთვის ცალმხრივია, რის გამოც დიდ ნდობას არ იმსახურებს. ამგვარი ინფორმაციის გავრცელება ობიექტურად განწყობილი ჟურნალისტისათვის წამგებიანია, რადგანაც ცალმხრივობა მის პრესტიჟს ერთგვარად ჩრდილს აყენებს. მაგრამ შეიძლება ასეთ საქმეში მონაწილეობდნენ სუბიექტურად დაინტერესებული ჟურნალისტებიც. ისინიც გრძნობენ ინფორმაციული მიკერძოების არაპოპულარობას. ამიტომ, ჩვეულებრივად, ცდილობენ ორივე მხარის აზრის ობიექტურად წარმოდგენას კი არა, არამედ ერთი რომელიმე პოზიციის აქტიურ მხარდაჭერას, ხოლო მეორე პოზიციის რაც შეიძლება სუსტად წარმოჩენას.

ჟურნალისტის მიერ ობიექტურობის შენარჩუნება საკმაოდ ძნელი საქმეა და ბევრი ჟურნალისტი ამას ან ვერ ახერხებს, ან ვერ უძლებს რომელიმე მხარის დაწოლას, ან შეგნებულად მიდის დათმობაზე და, ცხადია, არა უანგაროდ.

უფრო საინტერესო, შემოქმედებითი და ზოგჯერ აზარტულიც კი არის არა ვიღაცის მიერ ბოძებული, არამედ საკუთარი ძალებით, უნარით და ინტელექტით მოპოვებული ინფორმაცია, რადგანაც იგულისხმება, რომ ამგვარი ინფორმაციის გამომზეურებას ვიღაც ეწინააღმდეგებოდა. ჟურნალისტმა დასძლია ეს წინააღმდეგობა და პროფესიონალიზმის გარდა, მან თავისი პატივმოყვარეობაც დაიცვა.

ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილი და გამართლებული იქნებოდა ტერმინის ხმარებაში ერთგვარი კორექტი-

ვების შეტანა. ამჯერად ლაპარაკია ორ ტერმინზე: ინ-ფორმაციის მიღება და ინფორმაციის მოპოვება.

კანონში, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიხილავთ, ამ ორი ტერმინის ხმარება ცოტა დასაზუსტებელია. მაგალითად, ამ კანონის მესამე თავის 21-ე მუხლში ნათქვამია, "რომ ჟურნალისტს უფლება აქვს მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია." იურიდიული ტერმინოლოგია, როგორც ნებისმიერი სხვა ტერმინოლოგია, უნდა იყოს ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი. თუ მოტანილ ფორმულირებას რიგიანად ჩავხედავთ, ადვილად დავინახავთ, რომ კანონმდებლისათვის (ანუ ვინც ეს ტექსტი შეადგინა) "მოიძიოს" და "მიიღოს" სხვადასხვა ცნებაა.

კონსტიტუციის 24-ე მუხლში კი ნათქვამია, რომ "ადამიანს უფლება აქვს მიიღოს და გაავრცელოს ინ-ფორმაცია" როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს ძირითად კანონში ინფორმაციის მოძიების, ან მოპოვების ცნება არ არის. როგორ უნდა გავიგოთ ეს მოვლენა? ან კანონმდებელმა მოძიების იდეა გააერთიანა მიღების იდეასთან, ან "მოძიება" არ ჩათვალა მნიშვნელოვან ფაქტორად. არც ის არის გამორიცხული, რომ ტექსტის რედაქტირების დროს უბრალოდ გამორჩათ ეს დეტალი. კანონმა კი საჭიროდ ჩათვალა "მოძიების" ჩამატება. ინფორმაციის მოძიებისა და მიღების ცნებათა შორის არსებულ განსხვავებაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ და ვფიქრობთ, რომ ეს განსხვავება დამაჯერებლად წარმოვადგინეთ. ამჯერად შეიძლება საკითხი დავსვათ ცოტა სხვანაირად. დიახ, ინფორმაციის მოპოვებასა და მიღებას შორის არის რაღაც განსხვავება, მაგრამ აქვს კი ამ განსხვავე-

ბას არსებითი მნიშვნელობა, ღირს კი ამაზე ყურადღების გამახვილება?! ფაქტობრივი მასალის ანალიზმა დაგვიმტკიცა, რომ ღირს. როგორც წესი, "მიღებული" ანუ სხვის მერ საკუთარი ინიციატივით გაცემული ინფორმაცია, ხშირად ცალმხრივია, არასრულია და არც ისე ობიექტური. არ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ხასიათის ინფორმაცია საგანგებოდ გაყალბებულია, მაგრამ ცალმხრივობა და ერთგვარი ტენდეციურობა ყოველთვის გამოსჭვივის. თავად ის ფაქტი, რომ ინფორმაციის მფლობელი საკუთარი ინიციატივით მიიქცევს მასობრივ საშუალებათა ყურადღებას და მათ ერთგვარ შეკვეთას აძლევს, რა ცნობა უნდა გაავრცელონ, უკვე დაინტერესების ის გარანტია, როდესაც ჟურნალისტი თვითონ კი არ გვევლინება ინფორმაციის დამმუშავებელ—გამავრცელებლად, არამედ, ფაქტობრივად, იგი სხვისი ნებასურვილის აღმსრულებელია. ამ სახის ინფორმირებაში შეიძლება აბსოლუტურად ყველაფერი მართალი იყოს, მაგრამ ეს არ ცვლის ჟურნალისტის მდგომარეობას — იგი სხვისი ნების აღმსრულებელია.

სულ სხვა ხასიათისაა ჟურნალისტის მოქმედება, როცა ის თვითონ მოიძიებს და მოიპოვებს რაიმე ინფორმაციას და თვითონვე აქტიურად იბრძვის მისი გავრცელებისათვის. ამ შემთხვევაში ჟურნალისტის მუშაობა ინფორმაციაზე, ალბათ, რამოდენიმე ეტაპად უნდა გაიყოს: 1) იმის გაგება, რომ მისთვის საინტერესო ინფორმაცია არსებობს და იგი სადღაც არის შენახული. 2) ინფორმაციის შენახვის ადგილის მიგნება. 3) ამ ინფორ-

მაციის ხელში ჩაგდება. 4)ინფორმაციის დამუშავება. 5) ინფორმაციის გავრცელება.

ცხოვრების რეალობა უამრავი მაგალითით გვიმტკიცებს, რომ რაღაც ინფორმაციას შეგნებულად მალავენ ან უბრალოდ ინახავენ. თუ ჟურნალისტმა არ იცის რაიმე ინფორმაციის შესახებ, ცხადია, ის მას ძებნას ვერ დაუწყებს. ამიტომ არის რომ ინფორმაციის შენახვა, გადამალვა იწყება მისი არსებობის არგაცხადებით, ანუ ინფორმაციაზე ინფორმაციის დამალვით.

მაგრამ, ვთქვათ, ჟურნალისტმა იცის რომ არსებობს რაღაც საინტერესო ინფორმაცია. წარმატებისთვის მან ისიც უნდა გაიგოს, სად ინახება ეს ინფორმაცია და მიდგომის რა გზები არსებობს. სხვანაირად, წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს. უადგილო ადგილას ინფორმაციის ძებნისას პასუხი იქნება უარყოფთი — ჩვენთან ასეთი ინფორმაცია არ არისო, და ეს მართალიც იქნება. დავუშვათ, ეს წინააღმდეგობაც გადალახა, ე.ი. უტყუარად დააზუსტა, სად ინახება მისთვის საჭირო ინფორმაცია. ამის შემდეგ იწყება შრომის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული ეტაპი — ინფორმაციის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა. სწორედ ეს ეტაპია, როდესაც, როგორც იტყვიან, "ყველაფერი მოდის" — მოთაფლვაც, მოქრთამვაც, მოტყუებაც, დაშინებაც, მიზნის მისაღწევად ინფორმაციის მფლობელის ყველა უარყოფითი თვისების გამოყენებაც. ამიტომ არის, რომ ჟურნალისტები იშვიათად ამხელენ ხოლმე, თუ როგორ მოიპოვეს ინფორმაცია. ამ გაჯიუტებაში მარტო ის კი არ თამაშობს როლს, რომ ისინი უფრთხილდებიან ინფორმაციის მიღე-

ბის არხებს, რაც შემდგომშიც გამოადგებათ, არმედ ისიც რომ მათ მიერ გამოყენებული ხერხებიდან ზოგი რამ სათაკილოა, იურიდიულად ან მორალურად უზნეოა და ზოგჯერ სახიფათოც კი. მთელი ამ საქმიანობის ბოლო ეტაპი ინფორმაციის გავრცელებისთვის ბრძოლაა. არადა, თუ ასეთი ჯაფით მოპოვებული ინფორმაცია არ გავრცელდა, მას მალე ფასი ეკარგება.

თუ ჟურნალისტის მოღვაწეობას ამ კუთხით შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ჟურნალისტი, ამ მხრივ, რაღაცით მზვერავს მოგვაგონებს, იმ განსხვავებით, რომ მზვერავის მოქმედება, ჩვეულებრივ, სხვა ქვეყნის ინტერესებს ეხება, ჟურნალისტი კი შეიძლება შეეჭიდოს თავისი ქვეყნის რომელიმე ჩინოსანს, რომელიც მალავს ინფორმაციას საკუთარი დანაშაულებების შესახებ.

ცალკე უნდა ითქვას ინფორმაციის მოპოვების გზების კანონიერების შესახებ. დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადობრივად ფასეული ინფორმაცია უნდა ემსახურებოდეს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულებითი ქმედების აღკვეთას, ზნეობისა და სამართლიანობის დამკვიდრებას. მაგრამ მთელი ეს პროცესი თვითონ უნდა ემორჩილებოდეს კანონსა და სამართლიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ორმაგ სტანდარტს. როგორც ცნობილია, ბინის ჩხრეკა კანონით დაშვებულია და მიზნად ისახავს აღძრული ეჭვის დამადასტურებელი მასალების მოძიებას. ვთქვათ, მოქალაქე ეჭვმიტანილია ქურდობაში, ნაქურდალის რომელიმე ბინაში გადამალვაში. ბინა იჩხრიკება ნაქურდალის ამოსაღებად და აქ მთა-

ვარი ის კი არ არის, რომ ნაქურდალი დაუბრუნდეს დაზარალებულს, არამედ მთავარი ის არის, რომ პიროვნებას დაუმტკიცდეს ქურდობის ფაქტი და მიეცეს პასუხისგებაში. მაგრამ ბინის ჩხრეკის ჩატარების ფორმები დადგენილია კანონით, რომლის დარღვევის უფლებაც სამართალდამცველს არა აქვს. უფრო მეტიც, მის მიერ მოძიებული მასალა ჭეშმარიტიც რომ იყოს, სამხილის ძალას კარგავს, ხოლო ჩხრეკის ჩამტარებელი კი შეიძლება კანონის დარღვევისათვის პასუხისგებაში მიეცეს. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ იურიდიულ წინააღმდეგობასთან: დამნაშავე საზოგადოებას ებრძვის ყოველგვარი კანონის დარღვევით, საზოგადოება კი დამნაშავეს უნდა ებრძოდეს დადგენილი კანონების სრული დაცვითა და პატივისცემით. ეს ძნელია და ზოგჯერ აბსურდულადაც კი გვეჩვენება. მაგალითად, ადამიანებმა აშკარად დაინახეს, როგორ მოკლა ერთმა პიროვნებამ მეორე, მაგრამ კანონისთვის ეს საკმარისი არ არის — დანაშაული უნდა დადასტურეს ყველა იმ კანონის მიხედვით, რაც მიღებულია საზოგადოებაში. ამიტომ არსებობს ფომულა: დამნაშავეობას ადასტურებს ან უარყოფს მხოლოდ სასამართლო. სხვათაშორის, ე.წ. ლინჩის წესით გასამართლება, ანუ თვითგასამართლება, ანუ ძველი ქართული ტერმინოლოგიით "ჩაქოლვა", არსებითად არის პროტესტი იმის წინააღმდეგ, როდესაც აშკარად დამნაშავეს კანონი ერთგვარად იცავს სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე.

ჟურანლისტის მიერ ინფორმაციის მოძიების პროცესი რაღაცით წააგავს სასამართლო პროცესს, რომე-

ლიც ზნეობრივიც არის და კანონიერიც, თუ ის დადგენილი წესების ფარგლებში ჩატარდა.

როგორც ცნობილია, ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ქ-ნმა ირინა სარიშვილმა შ.ს. მინისტრს კახა თარგამაძეს ბრალი დასდო კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულში და წაყენებული ბრალდების დასადასტურებლად გამოძიებას წარუდგინა მინისტრის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. ჯერ დავა გამოიწვია იმან, წარმოადგენდნენ თუ არა ეს ჩანაწერები დანაშაულის მხილებას, მაგრამ მალე კამათმა სხვა ხასიათი მიიღო: კანონიერია თუ არა გამოძიებისათვის გამოყენებულ იქნას ისეთი მასალა, რომელიც კანონის დარღვევით არის მოპოვებული? საკითხის გადაწყვეტისას წინა პლანზე სწორედ ეს პრობლემა წამოიწია. მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მასალები ცნობილ იქნა კანონის უხეშ დარღვევად (კანონგარეშედ) და ბრალმდებელი კინალამ ბრალდებულად იქცა. ამრიგად, მძაფრად დაწყებული კამათი ძალიან მშვიდად ჩათავდა, რაც იმას მოწმობს, რომ ალბათ, მომჩივანმაც აღიარა თავისი არასწორი მოქმედება.

ჟურნალისტი ვალდებულია, თუნდაც ყველაზე მძაფრი და საზოგადოებისთვის აქტიური მასალა, თუნდაც უმძიმეს დანაშაულზე, მოიძიოს მხოლოდ კანონიერი გზით. სხვა მხრივ ამ მასალას იურიდიული ძალა არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც იგი კანონის დარღვევით არის მოპოვებული და ამგვარი მასალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ შანტაჟისათვის, როდესაც დანაშაულის ჩამდენს მაინც ეშინია ინფორმაციის გაჟონვის და მოგებულ პო-

ზიციაში მყოფი ჟურნალისტის წინაშე ის რაღაც დათმობებზე წავა.

დავუშვათ, რომ უკანონოდ მოპოვებული მასალა სიმართლეს ასახავს და X პიროვნებამ მართლაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. თუ ეს მასალა მოპოვებულია არაკანონიერი გზებით, ვამბობთ, რომ მას იურიდიული ღირებულება არ გააჩნია. მაგრამ ისმის კითხვა, განა მას არც ზნეობრივი ღირებულება გააჩნია? ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ასეთი მასლა, ანუ ინფორმაცია, მიუხედავად მისი არსებობის იურიდიულად მიუღებლობისა, ზნეობრივად ნამდვილად ღირებულია, რადგანაც სააშკარაოზე გამოაქვს ჩადენილი დანაშაული. როგორ უნდა მივუდგეთ ასეთ მასალას? თუ დავეყრდნობით მის უკანონო წარმოშობას და ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ ზარალდება სამართლიანობა. მაგრამ, თუ კანონის ფორმალურ მხარეს არ ვცემთ პატივს და ანგარიშს გავუწევთ რეალურ ფაქტს – დანაშაულის მხილებას, მაშინ ვარღვევთ კანონს. ისმის კითხვა, რა უფრო საზიანოა საზოგადოებისათვის?

ძველი რომის სამართალი კანონის ფორმალურ დაცვას უზარმაზარ ყურადღებას აქცევდა. მაშინდელი შექმნილია ცნობილი ანდაზები: "კანონი აუცილებლად უნდა სრულდებოდეს", "კანონი ძლიერია მაშინ, თუ მას პატივს ვცემთ" „ქვეყანაც რომ იქცეოდეს, კანონი მაინც უნდა აღსრულდეს" და ა.შ. ამიტომ, პრობლემა ინფორმაციის მოპოვების კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ დღესაც აქტუალურია.

ეს შინაგანად წინააღმდეგობრივი ფაქტი ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პირობათა ის სისტემა, რომელიც ზღუდავს ინფორმაციის მოპოვებას, მოძიებას და გავრცელებას. ამ შეზღუდვების მთავარი საყრდენი იდეა არის სახელმწიფოსა და საზოგადოების გლობალური ინტერესების დაცვა. მას მოსდევს მეორე საყრდენი იდეა – პიროვნების ინტერესების დაცვა.

მუხლი 24.

"1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით, ან სხვაგვარი საშუალებით.

4. ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად..."[1]

მუხლი 4.

"მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ:

ა) სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება;

ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება;

---

[1] 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.

გ) ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა;
დ) ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს;
ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნების ღირსების ხელყოფა, პორნოგრაფიის, უზნეობის პროპაგანდა".[1]

გავრცელებულია აზრი, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს კანონის უზენაესობა. მაგრამ ნუ გაგვიკვირდება, თუ ვიტყვით, რომ პიროვნების ინტერესების სრულფასოვანი დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც კანონის ფარგლებში დაცულია სახელმწიფოს ინტერესები. თუ გავიხსენებთ, რომ "სახელმწიფოს განმარტავენ, როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრულ ისტორიულ ფორმას, მმართველობის განმახორციელებელ განსაკუთრებულ აპარატს, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას საზოგადოებაში გაბატონებული კლასისა თუ გაბატონებული ფენის ინტერესების შესაბამისად".[2] თუ ვიტყვით, რომ სახელმწიფო არის ხალხის ინტერესების დაცვის მიზნით შექმნილი

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ".
[2] გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997. გვ. 27.

აპარატი, მაშინ ისიც გასაგები გახდება, რომ ეს აპარატი დაცული უნდა იყოს ძალადობისაგან, ხელყოფისაგან და უნაყოფობისაგან. ისე, ყოველგვარ შეზღუდვას უარყოფითი ემოცია ახლავს, მაგრამ შეზღუდვა თავისუფლების ერთ-ერთი ატრიბუტია. შეზღუდვა შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც არის თავისუფლება. ასეთი შეზღუდვები დადგენილი უნდა იყოს დიდი სიფრთხილით, მათი აუცილებლობის ყოველმხრივ მოტივირებით. მაგრამ, თუ შეზღუდვა დადგინდა, ის უნდა სრულდებოდეს. ესეც დემოკრატიის ერთ-ერთი ატრიბუტია. უნდა ითქვას, რომ ყოველგვარ შეზღუდვას ჰყავს თავისი მოწინააღმდეგე. წინააღმდეგობის მიზეზი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი, პირადული და უბრალოდ არგუმენტირებას მოკლებული — ემოციური. აი, ახალი მაგალითი: 1998 წლის მაისში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოარტყეს მხატვრული, გემოვნებით გაფორმებული გისოსებიანი ზღუდე. ამ ფაქტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, — ზოგი მომხრე იყო, ზოგი წინააღმდეგი. მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ეღერდა როგორც ახალგაზრდობის მოძრაობისა და მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა. ტელევიზიითაც კი გავიდა ეს საკითხი, სადაც მოწინააღმდეგეებმა ეს ღობე კომუნისტურ რეციდივადაც კი გამოაცხადეს. როდესაც მათ უთხრეს, რომ უნივერსიტეტის ეზო და კორპუსები უსაქმურებისა და სხვა სახის დამნაშავეთა სათარეშო მოედნად იქცა და დაცვა გახდა საჭიროო, მოწინააღმდეგეებს სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ამბობდნენ, რომ თავისუფლების შეზღუდვაა. ხო-

ლო ერთმა ასეთმა "თავისუფლების მოყვარულმა" თავისი პროტესტი ახსნა ბავშვური პირდაპირობით: აქამდე საიდანაც მინდოდა იქიდან შევიდოდი, ახლა კი მაინცდამაინც კარებიდან უნდა შევიდეო. ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი თითქოს წვრილმანია, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობილებას მკაფიოდ გამოხატავს.

უფრო სერიოზული და დამაფიქრებელია შეზღუდვების მოწინააღმდეგეთა ის ჯგუფი, ვისაც შეზღუდვები ხელს უშლის თავისი ბოროტი ზრახვების განხორციელებაში. განსაკუთრებით, როცა ეს ეხება სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის საკითხებს.

დღევანდელ ჩვენს პირობებში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობას თითქმის არავინ ემუქრება, შეიძლება შეიქმნას ილუზია, რომ ჩვენ საიდუმლოდ შესანახი და დასამალი არაფერი გვაქვს. მაგრამ, როდესაც ქართული ჯარი მართლა ჩამოყალიბდება ნამდვილ არმიად და დასამალიც იქნება და გასაფრთხილებელიც, აღმოჩნება, რომ "ცნობისმოყვარეთა" რიცხვიც საკმარისზე მეტი იქნება. ამიტომ გასაფრთხილებელ ინფორმაციას აქედანვე უნდა გავუფრთხილდეთ.

შეზღუდვების მეორე ჯგუფი ეხება პიროვნების ინტერესებს. ეს გაცილებით მრავალფეროვანი სფეროა და, სამწუხაროდ, ასევე გაცილებით ნაკლებად დაცული. დღევანდელ საქართველოში მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. მათ შორის ისეთი პრობლემები, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხება. ასე მაგალითად, კანონით აკრძალულია სატელეფონო საუბრების მოსმენა, მაგრამ ამგვარი

ფაქტები, სამწუხაროდ, ხშირია. კანონით აკრძალულია პირადი კორესპონდენციის გახსნა-წაკითხვა, მაგრამ ასეთი ფაქტებიც ბევრია. კანონით აკრძალულია ახლადდაბადებული ბავშვის შვილად აყვანის გამყიდავნება, თუ შვილად ამყვანს ეს არ სურს.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს კერძო საკუთრება, რაც მრეწველობაში, როგორც წესი, ფირმების სახით არის წარმოდგენილი. ფირმათა ურთიერთობა, კონკურენციაზეა აგებული. კონკურენცია კი მხოლოდ მეტოქეობა არ არის, ეს ზოგჯერ მტრობაც არის და ერთმანეთის წარმატების საშუალებებზე ნადირობაც. დიდი ხანია, ტერმინებიც კი შემუშავდა: "საწარმოო საიდუმლოება", "ფირმის საიდუმლოება", "სამრეწველო შპიონაჟი" და ა.შ. ფირმათა შორის ასეთი ურთიერთობა აიხსნება კონკურენციაში გამარჯვების მოპოვების სურვილით. ამისთვის კი სრულიად აუცილებელია ტექნიკური აზრის განვითარება — ახალი თეორიების, მეთოდიკების ტექნოლოგიის შექმნა. ამას კი, გარდა დიდი ფინანსური სახსრებისა, დრო და კადრები სჭირდება და ეს მაშინ, როცა გვერდზე მყოფი ფირმა უკვე ფლობს რაღაც ახალ ტექნიკურ აზრს და ჩნდება დაუოკებლად მაცდური სურვილი — ხელთ იგდოს "მეგობარ-კონკურენტის" ინტელექტუალური საკუთრება.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კანონით აკრძალულია ასეთი ქმედება, მაგრამ მსოფლიოში ყველგან მოქმედებს ე.წ. "სამრეწველო შპიონაჟი". მაშასადამე, ყოველთვის არის მცდელობა დაეუფლოს ისეთ ინფორმაციას, რომე-

ლიც სხვას ეკუთვნის. ამ მიზნის მისაღწევად დაინტერესებული მხარეები ეძებენ ისეთ პირებს, ვინც ასეთ დავალებას შეასრულებს და ასეთთა შორის იშვიათად როდი გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ოფიციალურად თავიანთ თავს ჟურნალისტებს, ფოტორეპორტიორებს, ტურისტებს უწოდებენ. ეს ის ხალხია, რომელთა მოქმედებაზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და დავყავით სამ საფეხურად.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ პაპარაციზმზე, როდესაც უპატიოსნო ჟურნალისტი გამორჩენის მიზნით ნადირობს გამოჩენილი ადამიანების პიროვნულ საიდუსლოებებზე. მაგრამ თანამედროვე პაპარაცები მარტო გამოჩენილი ადამიანებით არ შემოიფარგლებიან. შეიძლება მათ მიერ მიზანში ამოღებული პიროვნება არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის, მაგრამ მის ცხოვრებაში იყოს ისეთი ინტიმური ხასიათის ფაქტები (ოჯახური მდგომარეობა, ქონების დაგროვებასთან დაკავშირებული რაღაც უკანონო საქციელი, კანონსაწინააღმეგო მოქმედებაში მონაწილეობა და სხვა და სხვა), რომელთა გახმაურების მუქარითაც შესაძლებელი იქნება ფულის გამოძალვა. უპრინციპო და ამორალური ტიპის "ჟურნალისტები" ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ. კანონი ამას კრძალავს, მაგრამ ხშირად ცდუნება დიდია. აი, ერთი საინტერესო მაგალითი. როგორც ცნობილია, ცნობილი კინომსახიობი ჩარლი ჩაპლინი დაკრძალული არის შვეიცარიაში. სიკვდილიდან ორი წლის განმავლობაში მის საფლავს ხელს არავინ ახლებდა, მაგრამ ერთ ღამეს მოხდა საშინელი მკრეხელობა: ჩარლი ჩაპლინის კუბო და გვამი მოიპარეს

და ჭირისუფლებს გამოსასყიდად საკმაოდ დიდი თანხა მოსთხოვეს. მკვდრებისპარიებს პოლიციამ მიაგნო და მათ თავიანთი საქციელი შემდეგნაირად ახსნეს: მსახიობის გარდაცვალების და დაკრძალვის დღეებში მსოფლიოში ბევრი რამ დაიწერა მასზე და ერთმა გაზეთმა ასეთი ინფორმაციაც კი გაავრცელა, რომ თითქოს მიცვალებულს, მისი ანდერძის თანახმად, საფლავში ჩაატანეს ძალიან ძვირად ღირებული სათვალე, საათი და პირის საპარსი. გაჭირვებულმა ქურდმა დაიჯერა ეს და იკადრა უკადრისი საქციელი, მაგრამ, მისდა სავალალოდ, კუბოში ეს ნივთები არ აღმოჩნდა. გაბრაზებულმა ქურდმა გადაწყვიტა შური ეძია იმედის გაცრუებისთვის, მოიპარა ცხედარი და ჭირისუფლებს დიდი გამოსასყიდი მოსთხოვა ცხედრის დაბრუნების საფასურად. ამ არც თუ ისე საინტერესო ისტორიაში ყურადღებას იმსახურებს ფაქტის გაგრძელება. ჭირისუფლების მოთხოვნით, მოძებნეს ის გაზეთი, მიაგნეს ინფორმაციის ავტორს და მოსთხოვეს ახსნა, თუ რისთვის დასჭირდა ეს ტყუილი. მან თავის დაუოკებელ ფანტაზიას დააბრალა, მაგრამ რალაც სასჯელი მაინც მიიღო[1] (საინტერესოა ის ფაქტი, რომ წიგნის ავტორები ბოლომდე არ ენდობიან იმ წყაროს, საიდანაც მათ ეს ცნობა აიღეს და ასკვნიან, რომ არ არის გამორიცხული, ესეც ვიღაცის დაოუკებელი ფანტაზიის ნაყოფი იყოსო).

საქართველოს კანონმდებლობაში პირადი ინფორმაციის დაცვა დაფიქსირებულია საქართველოს კანონში "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ":

---

[1] Жизнь Чарли Чаплина, М.- 1987.

მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა.

ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა;

მუხლი 24. ჟურნალისტის მოვალეობანი.

5. პატივი სცეს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ ცოტა ხნის წინათ მიიღო კანონი "ინფორმაციაზე უფლების შესახებ." ამ კანონის მეოთხე მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციაზე უფლების რეალიზაციის ძირითად პრინციპებს. მათ შორის, მე-4 პუნქტში ეხება ინფორმაციის ძებნის, მიღებისა და გაცემის კანონიერებას. ეს მოწმობს, რომ კანონიერების დარღვევა შეიძლება მოხდეს ინფორმაციის მოძებნის სტადიაზეც. ამ მუხლის ბოლო აბზაცი საკმაოდ ვრცლად მიუთითებს, რისგან შეიძლება შეიზღუდოს ინფორმაციის მოძებნის, მიღების და გადაცემის უფლება:

"Право на информацию может быть ограничено федеральным законом только в той мере, в какой необходимо в целях защиты основ конституционного строя, нравственности, здоровья, прав и законных интересов других лиц, обеспечения обороны страны и безопасности государства."[1]

საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეზღუდვებია.

---

[1] „უფლება ინფორმაციაზე ფედერალური კანონით შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აუცილებელია წყობილების კონსტიტუციური საფუძვლების, ზნეობრიობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით".

ინფორმაციის დამუშავების ობიექტური და სუბიექტური მოტივები

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ინფორმაციის მოპოვების კანონიერ და უკანონო საშუალებებზე, ამით უკვე ვაღიარებთ, რომ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებაში შეიძლება დაშვებულ იქნას როგორც იურიდიული, ისე ზნეობრივი ნორმების დარღვევა.

ოფიციალურად გავრცელებულია აზრი, რომ ჟურნალისტის მიერ რაიმე ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების ერთ-ერთი მოტივი არის საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ცხოვრებაში. და, ალბათ, არ არსებობს ჟურნალისტი, რომელიც არ აღიარებდეს თავის მოღვაწეობაში ამ მოტივის უზენაესობას.

ამავე დროს სხვა რამეც არის ცნობილი. განსაზღვრული ინფორმაციისადმი დამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური. ობიექტურობა გულისმობს ინფორმაციის მოძიებას და მოპოვებას კანონიერი გზით და მის გამოყენებას საზოგადოების სასარგებლოდ. მაგრამ ამ საქმეს აქვს მეორე მხარეც — სუბიექტური, როდესაც ინფორმაციის მოძიებასა და გამოყენებაში ჟურნალისტი პირადად არის დაინტერესებული, ე.ი. ინფორმაციის მოპოვებით და გამოქვეყნებით ჟურნალისტმა თვითონ, პირადად უნდა ნახოს სარგებ-

ლობა. ინფორმაციისადმი სუბიექტური მიდგომა, ძირითადად, შეიძლება იყოს ორი სახის: ერთი როდესაც ჟურნალისტის ინტერესები უშუალოდ ეხება ინფორმაციას, და მეორე როდესაც ინფორმაციით დაინტერესებული არის სხვა პირი, რომლისგანაც სათანადო შეკვეთის შემთხვევაში ჟურნალისტმა უნდა მიიღოს რაღაც გამორჩენა. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდიდან. (გვარების დასახელებას თავს ვარიდებთ, რადგანაც ჩვენთვის საინტერესოა ფაქტი და მისი ანალიზი და არა კონკრეტული პირების კრიტიკა.)

რამდენიმე წლის წინ საკმაოდ მოდაში იყო ერთი ჟურნალისტი ქალბატონი. ეს ჟურნალისტი ქალბატონი დიდ პატივში იყო მაღალი თანამდებობის პირთან და თანამდებობის პირის ხშირად საჩოთირო დავალებების თავდადებით შესრულების გამო არც მატერიალური და სხვაგვარი პატივი აკლდა. მაგრამ სიტუაცია შეიცვალა და ამ ქალბატონის მიმართ მაღალი რანგის ჩინოსანმა თავისი დამოკიდებულება შეცვალა. განებივრებულ და ფუფუნებას მიჩვეულ ჟურნალისტს ეს არ მოეწონა და თავისი ყოფილი შეფის, ალბათ, დაშინების მიზნით მან გამოაქვეყნა ერთი საკმაოდ პიკანტური შინაარსის წერილი. მაღალი თანამდებობის პირმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და აიძულა ჟურნალისტი საერთოდ წასულიყო საქართველოდან. ამის შემდეგ დაიწყო სხვა ქვეყანაში გახიზნული ჟურნალისტის მიერ თავის ყოფილ შეფზე მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნება.

თუ დავუშვებთ, რომ ამ ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული მასალები თავისი შინაარსით ყალბი იყო, მაშინ ჟურნალისტის უპატიოსნობა აშკარაა და ჩვენს წინაშე პროფესიის ბოროტად გამოყენების ფაქტია. თუ დავუშვებთ, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ფაქტები სიმართლეს შეეფერება, ასეთი საქციელი მაინც ჩრდილს აყენებს ჟურნალისტს, რადგანაც წამოიჭრება ორი კითხვა, რომლებზედაც ჟურნალისტის პასუხი არ შეიძლება ჩაითვალოს პატიოსნებად: 1) თუ მისი შეფი ისეთი ამორალური პიროვნებაა, როგორც წერილებში იყო წარმოდგენილი, რატომ ემსახურებოდა მას ასე თავგამოდებით ზნეობისა და სამართლიანობის მქადაგებელი ქალბატონი? 2) რატომ შეუტია თავის ყოფილ შეფს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მისი წყალობა და ამასთან დაკავშირებული სიკეთეები დაკარგა?

აქ ჩვენ მივადექით ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს — ინფორმაციის დამუშავების ობიექტურ და სუბიექტურ მოტივებს.

როდესაც ვლაპარაკობთ მიღებული ინფორმაციის სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებზე, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჟურნალისტი ცოცხალი ადამიანია, აქვს საკუთარი დამოკიდებულება მოვლენებისადმი და ამ დამოკიდებულების გამჟღავნების უფლება. ოღონდაც ჟურნალისტი მოვალეა კარგად მოძებნოს ამ უფლების გამოყენების დრო და ადგილი. რა თქმა უნდა, ჟურნალისტს შეუძლია გამოვიდეს ტელევიზიაში, პრესაში და რადიოში და თავისი პოზიციებიდან გაანალიზოს რაღაც მოვლენა. ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავე-

თანხმოთ მის აზრებს და ეს იქნება აზრისა და სიტყვის თავისუფლების ერთ-ერთი რიგითი მაგალითი. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ ჟურნალისტი სხვის აზრებს ამცნობს საზოგადოებას, სხვა პირის აზრებს და შეხედულებებს, მას უკვე აღარ აქვს მიკერძოების უფლება.

ვთქვათ, ჟურნალისტმა აიღო ინტერვიუ ორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება დაძაბულია და შეიძლება მტრულიც. ლაპარაკის დროს პარტიათა წარმომადგენლებმა შეიძლება ერთმანეთი დაახასიათონ ნეგატიურად, უარყოფითად, შეიძლება იხმარონ მკვეთრი გამოთქმებიც, და იქნებ შეუმოწმებელი ბრალდებებიც. ეს მათი ეთიკის საქმეა. მაგრამ თუ ჟურნალისტი, რაღაცა მოსაზრებით, მოინდომებს დაპირისპირებულთა აზრების გადმოცემას ინფორმაციის საშუალებებით, მას უკვე აღარ აქვს უფლება რომელიმე მხარეს მოექცეს მეტი სიმპათიით ან ანტიპათიით, ერთის პოზიცია გააშუქოს უფრო მეტად, ვიდრე მეორესი. ეს უკვე მიკერძოებაა, რომელიც ბღალავს სიტყვის თავისუფლების პრინციპს.

ძალიან ხშირად რადიოსა და ტელევიზიაში პოზიციების გამოსახატავად გამოიყენება არა იმდენად სიტყვა, რამდენადაც ინტონაცია. ეს ძველი და ნაცადი ხერხია. კამათის ანალიზის დროს ერთი პოზიცია შეიძლება გადმოსცე პატივისცემით, მეორე კი ირონიულად, გაქირდვით, დაცინვით. ჟურნალისტი, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, ასეთ რამეს არ უნდა კადრულობდეს. ეს უკვე მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაა.

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ტელევიზიის ერთ გადაცემაში მოწვეულმა სტუმარმა უარყოფითად მოიხსენია ერთი ცნობილი პიროვნების რაღაც მოქმედება. გადაცემის წამყვანმა, ახალგაზრდა ჟურნალისტმა გოგონამ არ გაითვალისწინა არც თავისი მოვალეობა, არც მოსაუბრის ხანდაზმულობა, შეაწყვეტინა ლაპარაკი და უთხრა, რომ რასაც სტუმარი ბრძანებს, ეს არ შეეფერება სიმართლეს და იქვე ხმამაღლა მოუხადა ბოდიში იმ პირს, რომლის საქციელზედაც ლაპარაკობდა სტუმარი. ტელეგადაცემაში ხარვეზებს რა გამოლევს, მაგრამ ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ ჟურნალისტს ან პასუხისმგებლობის გრძნობა აკლდა ან საუბრის ჩატარების ელემენტარული კულტურა. სტუდიის სტუმარი ცნობილი პიროვნება იყო და მან მშვენივრად იცოდა, რას ლაპარაკობდა და ვისზე ლაპარაკობდა და საჭიროების შემთხვევაში, ცხადია, პასუხსაც აგებდა თავის ნათქვამზე. მაშ, რატომ მისცა ახალგაზრდა ჟურნალისტმა თავისთავს ასეთი გამოხტომის უფლება? პასუხი ჩანდა იმ ტონში რომლითაც ჟურნალისტი ელაპარაკებოდა სტუმარს. სტუდიის სტუმარი არ იყო იმ ბანაკიდან, რომელსაც ეკუთვნოდა ეს სტუდია და ჟურნალისტი.

ცხადია, ამ ერთჯერადი უტაქტობით ქვეყანა არც დანგრეულა და არც აშენებულა. ასეთი მაგალითები, თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ყოველდღე ხდება, მხოლოდ მეტნაკლები სიმძაფრით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ ჟურნალისტურ პრინციპულობაზე, ურომლისოდაც შეუძლებელია ემსახურო ჭეშმარიტების დად-

გენას. ის, რომ ამგვარი მაგალითი იშვიათი არ არის, ამართლებს თვითონ საქციელს?! პირიქით, უფრო ამძიმებს მდგომარეობას და ართულებს პრობლემას.

ნებისმიერი ინფორმაცია, თუნდაც სრულიად უტყუარი და ცალსახა მნიშვნელობის, შეიძლება ისე იყოს დამუშავებული და წარმოდგენილი, რომ დასკვნა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდეს. ერთი საინტერესო ფაქტი: ამ ორიოდე წლის წინ, საფრანგეთში ბურჟეს აეროპორტში ტარდებოდა მორიგი ავიასალონი (გამოფენა-გაყიდვა). ერთ-ერთმა რუსულმა თვითმფრინავმა საჩვენებელი აფრენის დროს ავარია განიცადა. პრესა ალაპარაკდა. ყველა თავისებურად ადგენდა ავარიის მიზეზს. ძირითადად იმეორებდნენ ორ ვერსიას. ამერიკული და ფრანგული პრესა მეტწილად მხარს უჭერდა იმ ვერსიას, რომ ავარია მოხდა თვითმფრინავის კონსტრუქციის არასრულყოფის გამო. ეს ვერსია გამიზნული იყო არა მხოლოდ თვითმფრინავის დაღუპვის ასახსნელად, არამედ იგი ურტყამდა საერთოდ რუსული ავიამრეწველობის პრესტიჟს, რადგანაც ფაქტობრივად ეს იყო კონკურენტთან ბრძოლა. მეორე ვერსია, რომელიც რუსულმა პრესამ წამოაყენა, ეს იყო დივერსია, ანუ კონკურენტების მიერ თვითმფრინავის დაზიანება ჯერ კიდევ მიწაზე ყოფნის დროს.

ეს იყო მცდელობა, სახელი გაეტეხათ კონკურენტებისათვის, რომლებმაც ასეთი რამე იკადრეს, და გადაერჩინათ რუსეთის მრეწველობის პრესტიჟი, რათა არ დაეკარგათ ადგილი მსოფლიო ბაზარზე. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ დაადასტურა, რომ თვითმფრინავში

მოხდა აფეთქება. აფეთქების ახსნაც ორნაირად შეიძლება. ერთი — მართლაც მანქანის კონსტრუქციული ხინჯით და მეორე — დაგეგმილი დივერსიით. ამერიკის პრესას აფეთქების ფაქტის აღიარება არ აძლევდა ხელს, რადგანაც ეს ვერსია სადღაც დივერსიასაც გულისხმობდა. ამიტომ ძალიან მალე შეწყდა აფეთქებაზე ლაპარაკი. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ორივე ვერსია განმსჭვალული იყო სუბიექტური მოსაზრებებით და ფაქტის გაშუქება ემსახურებოდა არა ჭეშმარიტების დადგენას, არამედ რაღაც პოზიციების განმტკიცებას ან შერყევას.

ინფორმაციის მიკერძოებული დამუშავება გამოცდილი ჟურნალისტის ხელში ისე ხდება, რომ ტენდენციურობას შეამჩნევს მხოლოდ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანი. ესეც პროფესიონალიზმია, ოღონდაც ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ გამოყენებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინფორმაციის აბსოლუტურად ობიექტური დამუშავება და წარდგენა, ალბათ, იმდენად იდეალური ამბავია, რომ პრაქტიკაში მისი მიღწევა თითქმის შეუძლებელია. და იმიტომ კი არა, რომ ყველა ჟურნალისტის პატიოსნება უნდა დავაყენოთ ეჭვქვეშ. ინფორმაციის ტენდენციურ წარმოდგენაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ ჟურნალისტის მიერ აღებული კურსი მცდარი იყოს და ჟურნალისტს გულუბრყვილოდ სჯეროდეს ამ კურსის სისწორისა. მხოლოდ იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჟურნალისტის შინაგანი განწყობილება ინფორმაციის მიმართ ვერ ჩაითვლება იმ ზიანის კომპენსაციად, რაც მოაქვს ტენდენციურობას.

ინფორმაციის დამუშავებისას მოტივაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი ანუ შუალედური და ამ მოტივაციის ახსნას ახალი დამატებითი ინფორმაცია სჭირდებოდეს.

ინფორმაციის დამუშავების ერთ-ერთი ფორმაა — მისი სრული ან ნაწილობრივი მიჩქმალვა. ანუ ისეთი მიდგომა, როდესაც ჟურნალისტი ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, მაგრამ ზოგიერთ ისეთ დეტალს გამოტოვებს, რასაც ინფორმაციის გაგებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. აი, ასეთი შედარებით ახალი მაგალითი: შვედეთში ჩატარდა პარლამენტის ახალი არჩევნები. არჩევნების დღის ბოლოს საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა განაცხადა, რომ გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვთ კომუნისტებს. არჩევნების ჩატარებიდან მე-3 დღეს იმავე არხმა გადმოსცა არჩევნების შედეგები და თქვა, რომელმა პარტიამ დაკარგა ხმები, მაგრამ არაფერი უთქვამს, რომელმა პარტიამ გაიმარჯვა. ამ გადაცემის ავტორებს ვერ ვუსაყვედურებთ, რომ მათ მაყურებელს არ მიაწოდეს ინფორმაცია ჩატარებულ არჩევნებზე, მაგრამ შეგნებულად გამოტოვეს ერთი დეტალი, რომლის მიმართაც გადაცემის ავტორები აშკარად უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. ეს არის იმის ართქმა, თუ რომელმა პარტიამ გაიმარჯვა. შეიძლება, საერთოდ, მიიჩქმალოს რაიმე ინფორმაცია. ესეც დამუშავების თავისებური ფორმაა. მაგალითად, რამდენი წელია საზოგადოებას ჰპირდებიან, რომ ბოლოსდაბოლოს სააშკარაოზე გამოიტანდნენ იმ დიდი ღალატის ამბებს, რაც აფხაზე-

თის ბრძოლაში დატრიალდა, მაგრამ, როგორც ვიცით, ჯერ ამის მსგავსი არაფერი თქმულა.

ნათქვამიდან შეიძლება გაკეთდეს მოკლე დასკვნა: საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის ზემოქმედების კოეფიციენტი დიდად არის განპირობებული მისი დამუშავების ხასიათზე და ხარისხზე, რადგანაც საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი ყოველი ინფორმაცია როგორლაც არის დამუშავებული ადამიანის მიერ, რომელსაც გააჩნია თავისი სიმპათიები და ანტიპათიები, საკუთარი მიდგომა ფაქტისადმი, რომელზედაც იგი მსჯელობს. აქ ჩვენ უკვე გადავდივართ წმინდა პროფესიონალიზმის დონიდან ზნეობის სამყაროში, სადაც ძირითად როლს უნდა თამაშობდეს პატიოსნების მოტივი, თუმცა თვითონ ეს ცნებაც ერთგვარად დაზუსტებას მოითხოვს.

ინფორმაციის გავრცელების მიზნები და გზები

ეფექტურობის თვალსაზრისითაც განსხვავდება ინფორმაცია. ზოგი ცნობა ყუმბარასავით გასკდება, ზოგი გამიზნულია დინჯად, ჩუმად შეპარებისათვის, რომ ფართო საზოგადოებამ ვერ გაიგოს, მაგრამ დაინტერესებულ პირს შეეძლოს მერე იმისი თქმა, რომ მე ინფორმაცია გავავრცელეო.

ინფორმაციის გავრცელებასაც მრავალი სახეობა აქვს. ეს არის რაღაც ამბის გავრცელება, გაქვეყნება წინასწარი განზრახვით, ან შემთხვევით, სტიქიურად. რაც უფრო მნიშვნელოვანია ინფორმაცია, მით უფრო მეტია მისი გაგების მსურველიც და მით უფრო საიმედოდ ინახება იგი. არსებობს კიდევ ინფორმაციის გავრცელების ასეთი ხერხი — ინფორმაციის გაჟონვა. ინფორმაციის გაჟონვა შეიძლება მოხდეს შემთხვევით, ე.ი. ინფორმაციის მფლობელის დაუდევრობის, უყურადღებობის გამო და განგებ, რათა საზოგადოების ან მისი ერთი ნაწილის ყურადღება წარიმართოს ვიღაცისთვის სასურველი გზით. ეს ხერხი განსაკუთრებით მიღებულია და ფართოდ იხმარება დიპლომატიასა და პოლიტიკაში, ასევე სამხედრო კონფლიქტების დროს.

ინფორმაციის გავრცელების თავისებური ფორმაა ჭორი. თავისთავად ჭორი ისეთი რამ არის, რასაც სა-

ფუძვლად ტყუილი უდევს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჭორი ასეა განმარტებული: "ჭორი — მონაგონი, ტყუილი ამბავი, მითქმა-მოთქმა (ჩვეულებრივ ვისიმე ყოფაქცევის შესახებ)".[1]

რეალურად ჭორს არავითარი ღირებულება არა აქვს, რადგანაც ის სიმართლეს არ ასახავს, მაგრამ სუბიექტურად იგი დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჭორით შეიძლება დიდი ზიანი მივაყენოთ იმას, ვის საწინააღმდეგოდაც არის იგი მიმართული. კარგად შეთხზული ჭორით შეიძლება გზას ააცდინო სიმართლის მძებნელნი და ბოლოს, ოსტატურად მოგონილმა და გავრცელებულმა ჭორმა შეიძლება საზოგადოებაში დიდი ძვრებიც კი გამოიწვიოს. ამიტომ ჭორი ითვლება ინფორაციის ისეთ ნაწილად, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. ჭორის ზემოქმედების ძალა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა არ იცის საიდან მოდის იგი. ამიტომ მისი შემოწმება და უარყოფა ფაქტიურად შეუძლებელია. ჭორის სიცოცხლისუნარიანობას აძლიერებს ისიც, რომ იგი, ჭორი, არა მარტო ვიღაცის ინტერესებს ემსახურება, არამედ ვიღაცის განცდებსაც ესალბუნება. ასეთი პირები ჩვეულებრივ აიტაცებენ ამ ჭორს და დიდის მონდომებით ავრცელებენ. ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ ჭორი საერთაშორისო პრაქტიკაში მსჯელობის საგნად იქცა და შეფასებულია, როგორც სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, რისთვისაც სასჯელიც კი არის გათვალისწინებული. ფრანგებს ანდაზაც კი ჰქონიათ "ჭორის მოკ-

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.VIII.

ვლა შეუძლებელია, უნდა აცადო, რომ ის თვითონ მოკვდესო".

ჭორი შეიძლება იქცეს სოციალურ მოვლენად, რაც ხშირად ხდება წინასაარჩევნო კამპანიებში, თანამდებობათა გადანაწილებაში და ა.შ. სწორედ ამ თვალსაზრისით იყო განხილული ჭორი საქართველოს ტელევიზიის 1998 წლის 20 აგვისტოს "ალიონში" წარმოდგენილ გადაცემაში. გადაცემის მონაწილენი სერიოზულად მსჯელობდნენ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა ჭორი და ცილისწამება. გადაცემაში გამოიკვეთა შემდეგი აზრი: ჭორი არის ცრუ ინფორმაციის გავრცელება ყოველგვარი წინასწარ ჩაფიქრებული ბოროტი მიზნების გარეშე. ეს არ ნიშნავს, რომ ჭორის გამავრცელებელი არ აგებს პასუხს, მაგრამ ჭორიკანას მდგომარეობას ამსუბუქებს ის, რომ მან არ იცის, რომ ცრუ ინფორმაციას ავრცელებს და მას თვითონ სჯერა, რომ მისი ნათქვამი სინამდვილეა. სრულიად საწინააღმდეგო რამ არის ცილისწამება — ეს არის შეგნებულად, ბოროტი ზრახვებით გავრცელებული ცრუ ინფორმაცია.[1]

ჭორსაც და ცილისწამებასაც საზოგადოება უნდა ებრძოდეს, მაგრამ რადგანაც ეს ორი მოვლენა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულია, ამიტომ ბრძოლის ხერხებიც სხვადასხვა უნდა იყოს. ჭორთან ბრძოლა ძალიან ძნელია, რადგანაც ხშირად უკუშედეგს გვაძლევს. რაც უფრო უარვყოფთ ჭორს, მით უფრო მეტად ვამახვილებთ საზოგადოების ყურადღებას მის მიმართ და

---

[1] საქართველოს ტელეეიზიის 1998 წლის 20 აგვისტოს გადაცემა "ალიონი".

ამით ხელს ვუწყობთ მის გავრცელებას. რადგანაც ჭორი ეს არის ცრუ ინფორმაცია, ადრე თუ გვიან სიყალბე გამომჟღავნდება და ჭორიც ჩაკვდება. მართალია, მან შეიძლება ზოგიერთებისათვის არასასურველი შედეგები დატოვოს, მაგრამ მაინც შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის.

გაცილებით უფრო ძნელია ცილისწამებასთან ბრძოლა, რადგანაც ცილისწამება და მისი გავრცელების ხერხები გაცილებით უკეთესად არის მოფიქრებული, ხოლო მისი შედეგები, არც თუ იშვიათად, შეიძლება ტრაგიკულიც იყოს. ცილისწამებასთან ბრძოლას ისიც ართულებს, რომ ხშირ შემთხვევაში დაზარალებულს არ შეუძლია მიაგნოს ცილისწამების გავრცელების წყაროს. კანონის სპეციალური მუხლები ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჭორისა და ცილისწამების გავრცელებისათვის, მაგრამ ამ პასუხისმგებლობის რეალიზაცია ძალიან რთულდება იმის გამო, რომ არც მსხვერპლმა და არც სამართალდამცავმა ორგანოებმა არ იციან ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი.

თუ ინფორმაცია სინამდვილეს ასახავს და ის არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, მაშინ ჟურნალისტის მიმართ არ შეიძლება პრეტენზიის წაყენება, რაც უნდა მტკივნეულად მოხვდეს ეს ინფორმაცია ვიღაცას. მაგრამ, ხშირად, თანამდებობის პირები, იყენებენ რა თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას, თავს არიდებენ საუბარს და ცდილობენ ჟურნალისტისგან გაიგონ, ვისგან მიიღო მან ეს ინფორმაცია. ჟურნალისტი, ცხადია, არ აპირებს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის წყაროს დასა-

ხელებას. იწყება კამათი, რომელიც ნელ-ნელა სცილდება ინფორმაციის გარკვევაზე ლაპარაკს, რაც გამოცდილ ბიუროკრატს საშუალებას აძლევს, რალაც მაინც გაიგოს ჟურნალისტის ნათქვამიდან და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამ მხრივ, ფრიად საინტერესო მასალა არის გამოქვეყნებული "ახალი თაობის" 1998 წლის 11 სექტემბრის ნომერში. გაზეთმა "კავკასიონმა" ერთ-ერთ თავის ნომერში გამოაქვეყნა სოზარ სუბელიანის მასალა, სადაც ნათქვამი იყო, რომ კოდორის ხეობაში ვითარება უმართავია და სათანადო ადმინისტრაციული ორგანოები მას ყურადღებას არ აქცევენ. გაზეთის ამ განცხადებამ გააღიზიანა აფხაზეთის შ.ს.ს.-ს ხელმძღვანელობა და გაზეთს სასამართლოში უჩივლა პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისათვის. ამ საჩივარში, თითქოს, გასაკვირი არაფერი უნდა იყოს. თუ გაზეთმა მართლა ვიღაცას მიაყენა შეურაცხყოფა, მან ამაზე პასუხი უნდა აგოს. მაგრამ საქმე ცოტა სხვანაირად აჟღერდა. შ.ს.ს.-ს თანამდებობის პირები მოითხოვენ გაზეთისაგან დაასახელოს ინფორმაციის წყარო,[1] თუმცა, თუ ელემენტარულ ლოგიკას დავუჯერებთ, მათ ჯერ უნდა დაამტკიცონ, რომ გამოქვეყნებული მასალა მცდარია, და შემდეგ მოითხოვონ ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში მონაწილე პირების ვინაობა. მოსარჩელე აღშფოთებულია, რომ იგი კორუმპირებულთა წრეში ჩარიცხა გაზეთმა და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად დიდ თანხასაც (10.000 ლარი) მოითხოვს. აქ ჩვენ თავს ნებას მივცემთ პატარა გადახვევა გავაკეთოთ: <u>განა მორალური</u>

---

[1] იხ. გაზეთი "ახალი თაობა", 1998წ. 11 სექტემბერი.

ზარალი შეიძლება ფულით ანაზღაურდეს? მაშინ კაცობრიობა აღარ მოიგონებდა დუელს და საჯისფაქციის სხვა ფორმებს. მორალური ზარალის ანაზღაურება ფულის რაღაცა თანხით — ეს ხომ ნამდვილი ვაჭრუკანობაა და აქ ზნეობა და მორალი არაფერ შუაშია. ფულის გადახდევინება ფაქტობრივად არის ჯარიმა, მატერიალური სასჯელი. ეს თითქმის იგივეა, რომ ავტოინსპექტორმა მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლს მისი, წესრიგის დამცველის, მორალური შეურაცხყოფის ბრალდება წაუყენოს და მძღოლისაგან აღებული ჯარიმა სასჯელად კი არ ჩათვალოს, არამედ მორალური ზარალის ანაზღაურებად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მორალური კატეგორიების წამოშველება ამ შემთხვევაში მორალის გადარჩენას კი არ ითვალისწინებს, არამედ მოწინააღმდეგის ისეთ დასჯას, რომ მომავლისათვის მას ყოველგვარი ხალისი დაეკარგოს ვინმე გააკრიტიკოს.

სრულიად მართებულად მიგვაჩნია გაზეთის წარმომადგენლის შეკითხვა მოსარჩელის მიმართ: თუ რატომ არ უჩივის მოსარჩელე პარლამენტს, სადაც ყოველდღე ადმინისტრაციული ორგანოების კორუმპირებულობაზეა ლაპარაკი. როგორ, სოზარ სუბელიანის სიტყვები მათთვის მორალური შეურაცხყოფაა, ხოლო ირინა სარიშვილი-ჭანტურიას უფრო მძაფრად გამოთქმული ბრალდებები — ლოცვა-კურთხევა?! ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში მკაფიოდ გამოჩნდა ე. წ. "დაბალი ღობის" ფსიქოლოგია: გაზეთში გაკრიტიკებული პირები ვერაფერ პასუხს აძლევენ პარლამენტში გამოთქმულ შენიშვნებს, რადგანაც ისინი ამ პოზიციაში უსუსურები არიან. აი, გაზეთთან ბრძოლაში კი

როგორც თვითონ მიაჩნიათ, საკმარისი ძალა შესწევთ, რომ ინფორმაციის წყაროს გაგებით და, რა თქმა უნდა, შემდგომი დასჯით, კორესპონდენტისა და გაზეთის წელში გატეხით ისინი განამტკიცებენ თავიანთ პოზიციებს.

ჩვენ არ ვიცავთ გაზეთ "კავკასიონის" უცოდველობას, ჩვენ არ ვიცით, შეიძლება გაზეთმა მართლაც გადააჭარბა და ამისათვის მან პასუხი უნდა აგოს. ჩვენ აბსურდულად და ამიტომ სრულიად მიუღებლად გვეჩვენება მოსარჩელის მიერ ამორჩეული ბრძოლის ხერხები — მომეცი ინფორმაციის წყარო და გადამიხადე დიდი თანხა. აქ, ჩვენი რწმენით, მორალურ კატეგორიებს უკვე ადგილი აღარ დავუტოვეთ.

სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტი ერთადერთი არ არის. როგორც საგაზეთო და სატელევიზიო ინფორმაციიდან ვიცით, ამგვარი ჯარიმა მოითხოვა ერთმა პარტიამ მეორისაგან და კიდევ ვიღაცის დასამშვიდებლად დაუმატა, თუ ამ ფულად ჯარიმას მივიღებთ, ჩვენ მას გადავრიცხავთ, რუსთაველის თეატრის აღსადგენადო. ამაზე იტყვიან ფაქტია, თუმცა დაუჯერებელიაო.

კიდევ ვაცხადებთ, ჩვენ აქ მოვლენის ან კონკრეტული ფაქტის შეფასებას კი არ ვახდენთ, არამედ გვაინტერესებს ის თეორიული და მორალური პოზიციები, საიდანაც ხშირად "ძლიერნი ამა ქვეყნისანი" უტევენ თავისუფალ სიტყვას, თანაც საჭიროების შემთხვევაში ამაყად აცხადებენ, რომ ისინი დგანან ახალგაზრდა, დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე. იქნებ დადგა დრო, რომ საკანონმდებლო აქტებში, მკაფიოდ გაიმიჯნოს მორალური ზარალის ცნება და მოიხა-

ზოს ასეთი ზარალის ანზღაურების საშუალებები. ჩვენ გვჯერა, რომ ფულის ვერავითარი თანხა ვერ ამტკიცებს პიროვნების სიმართლეს ან მტყუანობას. აქ სხვა კრიტერიუმები და კატეგორიები უნდა მოქმედებდეს. ამ მხრივ დამაჯერებლად მიგვაჩნია ზემოთხსენებულ გაზეთში ("ახალი თაობა") გამოქვეყნებული გაზეთ "კავკასიონის" დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის ნათქვამი: "თუ ყველა სამინისტროს გააჩნია პატივი და ღირსება, მალე საქართველოში არამც თუ თავისუფალი პრესა და ტელევიზია აღარ იარსებებს, არამედ პარლამენტის ვერც ერთი სხდომა ვერ გაიმართება".[1]

რა თქმა უნდა, ნებისმიერ სამინისტროს, ისევე, როგორც პიროვნებას, უნდა გააჩნდეს პატივი და ღირსება, რომელთა შელახვის უფლება არავის არა აქვს, მაგრამ რომელიმე ხელმრუდე ჩინოვნიკის გამოაშკარავება სულაც არ არის სამინისტროს ლანძღვა, ისევე, როგორც რომლიმე ყბედი ჟურნალისტის ალაგმვა არავინ არ უნდა გაიგოს, როგორც თავისუფალი პრესის შევიწროება. ალბათ, აქ ღირს გავიხსენოთ სასამართლოებში გავრცელებული ფორმულა: "ვთქვათ სიმართლე, სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა."

ცნობილია უბრალო ფსიქოლოგიური გაანგარიშება: როდესაც ადამიანი თანხმდება ისეთ თანამდებობაზე მუშაობას, რომელიც ეხება პოლიტიკას, ეკონომიკას, იდეოლოგიას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, მან უნდა იცოდეს, რომ მასზე ბევრი რამ ითქმება კარგიც და ცუ-

---

[1] იხ. გაზეთი "ახალი თაობა", 1998წ. 11 სექტემბერი.

დიც, თან კარგი — ნაკლები, ვიდრე ცუდი და შეურაცხმყოფელი. თანამდებობის პირი ფსიქოლოგიურად შეგუებული უნდა იყოს. მაგრამ ისმის კითხვა, როგორ უნდა დაისაჯოს ჟურნალისტი, რომელმაც იცრუა. დღეს გავრცელებული აზრია — ვუჩივლოთ სასამართლოში და მოვითხოვოთ შეურაცხყოფის მატერიალური ან მორალური კომპენსაცია. ჩვენს პირობებში მატერიალურ კომპენსაციაზე ლაპარაკი გამორიცხულია, — ჟურნალისტს რა აქვს, რომ წაართვა? დარჩა სასჯელის ერთი სახე — "ჟურნალისტის საქვეყნოდ გამოჭენება" და მის მიერ ბოდიშის მოხდა. მაგრამ, არსებობს სხვა აზრიც: ჟურნალისტს სასამართლოში კი არ უნდა ვუჩივლოთ, არამედ საჯაროდ გამოვიდეთ და იმავე პრესის საშუალებით საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ჟურნალისტმა იცრუა. ეს მისთვის გაცილებით მეტი სასჯელი იქნება, ვიდრე სასამართლოს წინაშე ბოდიშის მოხდა.

სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციაზე მუშაობის ზნეობრივი ასპექტები

ზნეობა და იურიდიული კანონი (მათი ურთიერთმიმართება და ურთიერთკავშირი)

სიტყვის თავისუფლება შეიძლება იყოს ზნეობრივი და უზნეო, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საწყის ეტაპზე ზნეობრივი ჩანაფიქრი მერე იქცეს უზნეობად. ამიტომ სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი ზნეობრივი კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე ან აბსურდია, ან კარგად შენიღბული ცინიზმი.

ცნობილია, რომ პიროვნების თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ამ პიროვნების საზოგადოებასთან მიმართების განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმა. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რომ პიროვნება არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, თუ ის თავის თავს საზოგადოების წევრად თვლის. ეს მიმართება დიდი ხანია გარკვეულია. საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ჰარმონია მყარდება მაშინ, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ურთიერთდათმობისა და ურთიერთანგარიშგაწევის თაობაზე. ასეთი შეთანხმება არ შეიძლება იყოს ძალისმიერი რომელიმე

მხრიდან, რადგანაც იგი აღარ იქნება შეთანხმება, იგი იქცევა იძულებად, რომელიც ურთიერთმტრობისა და უნდობლობის უშრეტი წყაროა.

ისმის კითხვა: რა არის სიტყვის თავისუფლების საფუძველი: იურიდიული კანონი, რომელიც ადამიანს აძლევს სიტყვის თქმის უფლებას, თუ ზნეობრივი ნორმა, რომელიც ადამიანს არა მარტო უფლებას აძლევს, არამედ რაღაც ფორმებში ზღუდავს კიდეც?

გავიხსენოთ, რა არის ზნეობა და აქედან გამომდინარე ზნეობრივი. პროფესორი გ. ინწკირველი ნაშრომში "სახელმწიფოსა და სამართლის თეორია", ზნეობის შემდეგნაირ განმარტებას აყალიბებს: "ზნეობა, ანუ მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ფორმაა, ასევე როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია, ზნეობა გამოხატულია სათანადო ნორმებში, ქცევის წესებში, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებაში. ზნეობის ნორმებში მოცემულია საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანთა წარმოდგენები წესიერებასა და უწესობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, საქებარსა თუ დასაგმობზე, სინდისსა და პატიოსნებაზე და ა.შ. ამგვარი საზომით ადამიანთა ქცევის შეფასებას ზნეობის ნორმების მხრივ ადგილი აქვს როგორც პიროვნებათა შორის ურთიერთობაში, ისე მათ დამოკიდებულებაში ოჯახისადმი, საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსადმი. ზნეობას, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ რეგულატორს, მთელი რიგი საერთო ნიშნები, მსგავსება ახასიათებს სამართალთან და ამავე დროს,

არსებითად, მკვეთრად განსხვავდება მისგან".[1] როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ზნეობრივი ნორმების პარალელურად საზოგადოებაში მოქმედებს სამართლებრივ-იურიდიული ნორმები, რომლებიც ასევე არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას როგორც პიროვნებათა შორის, ასევე პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. განსხვავება მათ შორის კი ის არის, რომ სამართლებრივი ნორმების ინიციატორი და განმახორციელებელი არის სახელმწიფო, ხოლო ზნეობრივი ნორმების წყარო — საზოგადოებაში გაბატონებული ადათ-წესები და შეხედულებებია. ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოში სამართლებრივი ნორმები საზოგადოების ყველა ფენისათვის ერთნაირია, (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს), ხოლო ზნეობრივი ნორმები განსხვავებულია და მათი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ეს ზნეობა საზოგადოების რა ფენას ემსახურება. ეს ყოველ ნაბიჯზე კარგად ჩანს ჩვენს საზოგადოებაშიც, თუნდაც სამეტყველო ეთიკაში, ანუ ურთიერთსაუბრის ფორმებში. ვთქვათ, ინტელიგენციაში, მუშათა ფენაში, ახალგაზრდობაში, დამნაშავეთა სამყაროში და ა. შ.

თუ წარსულს გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ სამართლებრივი ნორმები გაჩნდა საზოგადოებრივი ნორმების უკმარისობის საფუძველზე. საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების კვალობაზე გახშირდა ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები, რასაც ოდესღაც არავითარი სასჯელი არ მოსდევდა და ამიტომ ზნეობადაკარგული პიროვნებისათვის ხელსაყრელი იყო. და რომ სა-

---

[1] გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 51-52.

ზოგადოების მართვა შესაძლებელი ყოფილიყო, საზოგადოების მმართველმა წრეებმა დაიწყეს იურიდიული კანონების შექმნა, რომელთა საშუალებითაც უნდა აეძულებინათ მორალური კანონის დამრღვევნი დამორჩილებოდნენ საზოგადოების მოთხოვნებს. ზნეობრივი და სამართლებრივი კანონების თანაფარდობა დროთა განმავლობაში, საუკუნეთა მანძილზე, ნელ-ნელა იცვლებოდა სამართლებრივი კანონების სასარგებლოდ და საზოგადოება მივიდა იქამდე, რომ მას, საზოგადოებას, დღეს მართავენ სამართლებრივი კანონები, ხოლო ზნეობრივი ნორმები ფიგურირებენ როგორც ერთგვარი დამხმარე ძალა. ჩვენ ეს, ცხადია, არ მოგვწონს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს მდგომარეობა ამცირებს ადამიანს, აქცევს მას კანონის მონად მაშინ, როდესაც ჩვენ მიჩვეულები ვართ დიდი ხოტბით მოვიხსენიოთ ადამიანის პიროვნება და ზნეობრიობა გამოვაცხადოთ მის უპირველეს დადებით თვისებად.

მაგრამ ფაქტი ფაქტია: დღეს ადამიანის მოქმედებას მართავს ორი ურთიერთშემხები ფაქტორი — იურიდიული კანონი და ზნეობრივი ნორმა. იურიდიული კანონი, რაც უნდა რთული იყოს იგი, მაინც მკაფიო და გამჭვირვალეა. პიროვნებას ეკრძალება ესა და ეს მოქმედება, ამიტომ ამ მოქმედების ჩადენა ცხადდება დანაშაულად, სათანადო მომდევნო შედეგებით.

გაცილებით რთულია ზნეობრივი ნორმების შეთანხმება ადამიანის მოქმედებასთან, რადგანაც ერთი და იგივე მოქმედება ვილაცისათვის უზნეოა, ვილაცისათვის ზნეობრივი და უდავო. ობიექტური საზომი აქ ძნელი მოსაძებნია.

აი, მაგალითად, ჩატარდა არასანქცირებული მიტინგი. ეს რომელიღაც სამართლებრივი კანონის დარღვევაა, ამიტომ ვიღაცის რაღაცა რანგის დანაშაულია და დარღვეული კანონის წარმომადგენლებს მოვლენის ასეთ ინტერპრეტაციაში ეჭვი არ ეპარებათ. ახლა ამ ფაქტს შევხედოთ მეორე მხრიდან: ჩვენ ოფიციალურად გვაქვს ნათქვამი, რომ საქართველოს მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლება, რაც დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციაში (თავი 2, მუხ. 19). ისმის კითხვა: მაშ, რატომ ჩაითვალა არასანქცირებული მიტინგი უკანონოდ, თანაც თუ კანონის წარმომადგენლებმა არც იცოდნენ, რა უნდა თქმულიყო ამ მიტინგზე? როგორც ვხედავთ, ერთმანეთს დაეჯახა ერთი და იგივე მოვლენის ორი სხვადასხვანაირი გაგება.

გავყვეთ ამ აზრს. ვთქვათ, მიტინგი ნებადართულია და იქ გაისმა ანტისამთავრობო მოწოდებები. ეს მოწოდებები შეიძლება ჩაითვალოს ძალადობის წაქეზებად და მაშასადამე, დანაშაულად. მაგრამ მოწოდება ხომ სიტყვაა? გამოდის, რომ მოქალაქეს აქვს თავისუფლება არა ყოველნაირი სიტყვისა. თუ სიტყვის რეგლამენტაცია წინასწარ ხდება, ეგ რაღა თავისუფლებაა და თუ თავისუფლებაა, რატომ უნდა ჩაითვალოს სიტყვა დანაშაულად? აი, აქ გამოდის სწორედ წინა პლანზე მოვლენის ზნეობრივი მხარე, რასაც ვერ წყვეტს სამართლებრივი კანონი. ის უნდა გადაწყვიტოს ზნეობრივმა ნორმამ, მხოლოდ ერთი წინასწარი პირობაა აუცილებელი. ზნეობა ერთნაირი შინაარსით უნდა ესმოდეს ორივე მოკამათე მხარეს. თუ ზნეობის გაგებაში შეთანხმება არ არის, იქ კამათს და მტკიცებას აზრი არა აქვს. კვლავ გავიხსენოთ ზნეობის განმარტება. გე-

ლა ბანძელაძე თავის წიგნში "ეთიკა", ზნეობას განმარტავს, როგორც "იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც გამოხატავენ პიროვნებათა შეგნებულ ნებისმიერ ზრუნვას ერთმანეთისა და საზოგადოებისათვის.[1] თავისთავად ცხადია, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ზნეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საზოგადოება ზნეობის გარეშე. საზოგადოების ცხოვრების ვერცერთი ფორმა ვერ შეცვლის და ვერ დაიჭერს ზნეობის ადგილს. იქ, სადაც არ არის ადამიანთა შეგნებული, ნებისმიერი თავისუფალი მოქმედება, არ არის საზოგადოებრივი ცხოვრება და არც ადამიანობა. ადამიანური ცხოვრებისა და თვით ადამიანობის სპეციფიკა ზნეობაში მდგომარეობს. ხოლო ზნეობრიობის სპეციფიკა შეგნებული, თავისუფალი მოქმედების უნარია. ზნეობრივი წესები და პრინციპები გამოხატავენ ადამიანის შეგნებული, თავისუფალი მოქმედების სხვადასხვა ფორმებს, მხარეებს, ასპექტებს. ყოველივე ზემოთ თქმულის შუქზე გვინდა ერთგვარი ანალიზი გავუკეთოთ ჩვენი დღეების ზოგიერთ ფაქტს.

დავიწყოთ ფრიად გახმაურებული კლარა შუკვანის "საქმით". ამ საქმის ფაქტობრივი მხარე ასეთია: 1997 წლის 23 აგვისტოს, სასტუმრო "ივერიასთან" გამართულ მიტინგზე, მოქალაქე კლარა შუკვანს ხელში ეჭირა პრეზიდენტის ღირსების შეურაცხმყოფელი პლაკატი. ამის გამო სამართალდამცავმა ორგანოებმა ქ-ნი კლარა შუკვანი პასუხისგებაში მისცეს პრეზიდენტის პიროვნების შეურაც-

---

[1] გ. ბანძელაძე. ეთიკა, თბ., 1980, გვ. 7.

ხყოფისათვის. როგორც გაზეთებიდან ვიცით, პასუხისგებაში მიცემულმა პიროვნებამ გამოძიების პროცესში საბოლოოდ დაიკავა ის პოზიცია, რომ მას ვიღაცამ შეაჩერა ეს ლოზუნგი და თვითონაც არ იცის ზედ რა ეწერა. ამით მან ფაქტიურად აღიარა, რომ ლოზუნგის შინაარსი მართლაც შეურაცხმყოფელია, მაგრამ არ არის დამნაშავე, იმის გამო, რომ მან არ იცოდა ლოზუნგში გამოთქმული აზრის შესახებ. სასამართლომ ქ-ნ კლარა შუკვანს პირობითი სასჯელი გამოუტანა, რაც ასევე დანაშაულის არსებობის დამადასტურებელია. ჩვენ ამჯერად არ გვაინტერესებს გამოძიებისა და სასამართლოს პერიპეტიები. ჩვენთვის აქ მთავარია თვითონ ფაქტის შეფასება, რამდენად ზნეობრივია ქვეყნის პირველი პირის შესახებ იმ სიტყვების თქმა, რომლებიც იმ ლოზუნგში ეწერა (ამ სიტყვებს ჩვენ აღარ ვიმეორებთ, რადგანაც საზოგადოებამ კარგად იცის).

დემოკრატიულ ქვეყნებში, ცხადია ნებისმიერი პირის გაკრიტიკების უფლება უნდა იყოს, მაგრამ ვინ იტყვის, სად გადის ზღვარი კრიტიკასა და უშვერ ლანძღვას შორის. ჩვენ ვერ ვიტყვით, ქ-მა კლარა შუკვანმა იცოდა თუ არა თავისი ლოზუნგის შინაარსი, მაგრამ ეს ლოზუნგი, თანაც საჯაროდ გამოტანილი, თანაც მანდილოსნის მიერ, რომ არის უხამსობა და არა მარტო პიროვნების, არამედ საზოგადოების შეურაცხყოფაც, ამაზე, ალბათ, არავინ არ უნდა იდავოს. ნუთუ ამ ლოზუნგის ავტორებს და საჯაროდ გამომტანებს სერიოზულად მიაჩნიათ, რომ მისი გახმაურებით რაიმე ზიანი მიაყენეს პრეზიდენტის პიროვნებას ან ავტორიტეტს? არ უნდა იყოს ასე. ვულგარული მეტყველება არასოდეს არ ყოფილა არგუმენტი პოლიტი-

კურ დავაში. ეს იცოდა ჯერ კიდევ პრუსიის მეფემ ფრიდრიხ II-მ, რომელიც ამბობდა: "უხეშობა და უვიცობა ძლიერი არგუმენტია, რომლითაც პიროვნება საკუთარ თავს ახასიათებს".

გავიხსენოთ მეორე ფაქტი: პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, ერთ-ერთმა პარლამენტარმა მამაკაცმა, თავის ოპონენტ პარლამენტარ მანდილოსანთან კამათში "არგუმენტად გამოიყენა" (ქალისათვის და არა პოლიტიკური ოპონენტისათვის!) შეურაცხმყოფელი გამოთქმა. ნათქვამი იმდენად უხერხულად გაისმა, რომ მეორე პარლამენტარმა თავის კოლეგას შეახსენა რაინდული მორალი და მოითხოვა მისგან ბოდიშის მოხდა მანდილოსნის წინაშე. "რაინდმა" ბოდიში არ მოიხადა და გამარჯვებულის იერით გადახედა დარბაზს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არავისაგან წმინდანობას არ მოვითხოვთ, მაგრამ ვაუკაცი კაცი, რომელიც არ მოერიდა საჯაროდ ქალის უშვერად გალანძღვას, რალას არ იკადრებს მაშინ, როცა ის მარტოა დარჩენილი თავის სინდისსა და ზნეობასთან. და ვაი, იმ ადამიანებს, ვისი ბედიც ასეთი ხელმძღვანელის ხელში აღმოჩნდება. რამდენადაც გვახსოვს, ეთიკისა და ზნეობის კომისიასაც უნდა განეხილა ეს საკითხი. ჩვენ არ ვიცით, კომისიამ განიხილა ეს საკითხი და რაიმე გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქუჩური მეტყველების სტილი არ ამკობს მოლაპარაკეს და არც საქმის გაკეთებას უწყობს ხელს.

აი, კამათის ერთი არასანიმუშო ნიმუში. 1998 წლის 19-21 სექტემბრის გაზეთ "ახალი თაობის" ნომერში ფრიად არასიმპათიური პოლემიკა გაიმართა ე.წ. "ცისფერობის" პრობლემის ირგვლივ. ორმა პოლიტიკურმა პარ-

ტიამ გონივრული და სუფთა მაგალითებით ვერ დაუმტკიცა ერთმანეთს და ვერც მკითხველ ხალხს თავიანთი უპირატესობა. და მაშინ ერთმა მხარემ დიდი ეფექტის მოხდენის იმედით, მეორე მხარეს უკიჟინა, რომ თქვენს რიგებში ცისფერებიც მოღვაწეობენო.[1]

მედიცინაში არის ასეთი ვიწრო მიმართულება — პედრალოგია, რომელიც შეისწავლის მოვლენას, რომლის კვლავ გამეორებაც, ვფიქრობთ, არ არის საჭირო, და კამათში დიდი ხალისით ჩაერთვნენ "პედრალურ მეცნიერებაში" ეტყობა კარგად გარკვეული პირები, და მთელი ეს სიბინძურე გადმოღვარეს გაზეთის ფურცლებზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს, მოკამათეთაგან რომელი მხარე არის მართალი. ჩვენ ვსვამთ კითხვას: რა დააშავა ქართულმა სიტყვამ, ქართულმა გაზეთმა და საერთოდ ქართულმა ენამ, განსაკუთრებით კი ქართველმა მკითხველმა, რომ მას, მკითხველს, უბედავენ და უმასპინძლდებიან ასეთი სიბინძურით? ვეთანხმებით ერთ-ერთ მოკამათეს, რომ ქართული მენტალიტეტისათვის, ქართული ტრადიციული მორალისათვის "ცისფერობა" არამც თუ მიუღებელია, არამედ უაღრესად სამარცხვინო საქმეა. ამ ტიპის მამაკაცები ყოველთვის გარიყულნი იყვნენ, იმალებოდნენ და არც თუ უმიზეზოდ, ეშინოდათ საზოგადოების და ძალიან ხშირად ისინი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ. ეს შეხედულება დღესაც მტკიცეა ნებისმიერ ნორმალურ საზოგადოებაში.

თავის დროზე საბჭოთა კავშირში კანონიც კი არსებობდა, რომლის მიხედვითაც ამ აუგად მოსახსენებელი აქ-

---

[1] იხ. გაზეთი "ახალი თაობა", 1998წ. 19-21 სექტემბერი.

ტის მონაწილენი ისჯებოდნენ მაშინაც კი, თუ აქტი ხდებოდა ნებაყოფლობის საფუძველზე. დღეს, ჩვენს "გადემოკრატებულ კანონმდებლობაში" ნებაყოფლობით შესრულებულ მამათმავლობის აქტზე პასუხს არავის არ სთხოვენ. მართალს ამბობს გაზეთ "ახალი თაობის" ფურცლებზე გამართული კამათის ერთ-ერთი მონაწილე, რომ ამ სამარცხვინო მოვლენის გავრცელებას ჩვენში საგრძნობლად შეუწყო ხელი "დასავლური კულტურის" კინოპროდუქციამ და ნაწილობრივ ლიტერატურამაც, სადაც მეტად მიმზიდველ ფორმებში არის აღწერილი მსგავსი ადამიანების ცხოვრება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთი პროდუქციის შემქმნელებს ჭკუას ვერ ვასწავლით, მათ თავისი, საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული მიზნები აქვთ, მაგრამ ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ ამ საჩოთირო თემაზე ასე ხმამაღლა, ასეთი ნატურალისტური მინიშნებებით ლაპარაკი უპირველეს ყოვლისა შეურაცხყოფას აყენებს მკითხველის ზნეობას. შეიძლება ვიღაცა წაგვედაოს გავრცელებული პასუხით: ვისი რა საქმეა, ადამიანს უფლება აქვს თავისი პირადი ცხოვრება მოაწყოს ისე, როგორც მას სურს. თუ ევროპამ აღიარა, რომ ასეთ მოვლენას უფლება აქვს ოფიციალურად არსებობდეს, ხოლო ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივად პატივისცემას იმსახურებენ, ჩვენ, ქართველები, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ევროპასა და ამერიკასო. მაგრამ ხომ არ გვავიწყდება მთავარზე-მთავარი: ზნედაცემულობის ეს გამოვლინება ვრცელდება მამაკაცობის იმ ასაკში, როდესაც უნდა შეიქმნას ოჯახი და გაჩნდეს ახალი თაობა — მემკვიდრეები. თუ იმავე დასავლეთის პრესას დავუჯერებთ,

"ცისფერთა", ანუ როგორც დასავლეთში უწოდებენ "გეები"-ს 90%-ს, დაკარგული აქვს შთამომავლობის ყოლის უნარი. აი, საიდან ურტყამს საქართველოს ეს "ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი".

დავუბრუნდეთ ისევ გაზეთში ატეხილ ხმაურს. დავუშვათ, რომელიღაც პოლიტიკოსი "ცისფერია", ხოლო მისი კრიტიკოსი რაღაც "სხვა ფერია." განა მოსახლეობას, ქვეყანას ეს მოღვაწეები ამ ნიშნით აინტერესებს? სახელმწიფოს ისინი აინტერესებს, როგორც მოღვაწეები და ისმის ერთადერთი კითხვა: რა გაუკეთეს ან რა გაუფუჭეს ქვეყანას მათ? სამწუხაროდ, ჯერჯერობით, მათი მოღვაწეობა — ერთისაც და მეორისაც მხოლოდ უარყოფითი ნიშნებით ხასიათდება. ერთმანეთის ლანძღვა კი გამოყენებულია მხოლოდ პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთელი ამ სიბინძურის გამოტანა ფართო მკითხველის წინაშე ზნეობრივად და ესთეტიკურად სრულიად გაუმართლებელია და მკითხველისთვისაც და გაზეთისთვისაც საკმაოდ საჩოთირო საქმეა. ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც წმინდა მამაკაცურ თვისებას მოკლებული პირები დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ, ხოლო ამ თვისების გამძაფრებული ფორმის მქონეთაგან მხოლოდ ორი პირი დარჩა ისტორიაში და ორივენი ასევე უარყოფითი შეფასებით (ასეთნი არიან კაზანოვა და რასპუტინი).

ამ მოვლენის ირგვლივ პრესაში ასეთი ხმაურის ატეხით, ჩვენი ვარაუდით, ვიღაცა ცდილობს გაჭირვებული და გაწვალებული მკითხველის ყურადღება ჩამოაცილოს არსებითი მნიშვნელობის საკითხებს და დააკავოს, გაარ-

თოს სხვის "ჭუჭყიან თეთრეულში ქექვით". ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არც პრესის თავისუფლების მაჩვენებელია, არც სიმართლისათვის ბრძოლის და, რაც მთავარია, არც ბოროტზე კეთილის გამარჯვებისათვის. ეს არის ბინძური ხერხებით ბინძური კინკლაობის ერთ-ერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც ერთნაირად ლახავს პიროვნების ღირსებას, სიტყვის თავისუფლების პრინციპს და არღვევს პასუხისმგებლობის ნორმებს. თუ სუფთა საქმისათვის იბრძვი, არ შეიძლება ბინძური ხერხების გამოყენება — ეს სათაკილო საქმეა და შედეგიც არასასურველი იქნება.

პოლიტიკურ ოპონენტებთან კამათი ხშირად მიმდინარეობს არა იმდენად საქმის ანალიზის დონეზე, არამედ უფრო იმ განწყობით, რომ მოწინააღმდეგეს საჯაროდ უთხრას უხამსი, პიროვნებისათვის უკადრისი სიტყვები.

ძველი დროის ფილოსოფოსი სენეკა ამბობდა, რომ უხეში, უხამსი სიტყვით შეიძლება დაამტკიცო მხოლოდ შენი უზრდელობა და არა შენი განსწავლულობაო. დღევანდელ სიტყვის ჭურუმთა შორის ბევრს ალბათ სიტყვა "სენეკა"-ც კი არა აქვს გაგონილი.

მსოფლიოში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ადამიანის უფლებათა დაცვაზე, მათ შორის სიტყვისა და აზრის თავისუფლებაზე. მაგრამ რაღაც უფლება ხომ ყველა პიროვნებას აქვს და ამ უფლებასთან დაკავშირებული გარკვეული პასუხისმგებლობაც. კარგია, როდესაც მკვლელობის ან ყაჩაღობის გამო მსჯავრდებულის უფლებებს იცავენ (ისიც ადამიანია!), მაგრამ რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაში აღმოჩნდნენ ბარიერის მეორე მხარეს?! შესაძლოა, ისინი სცდებიან, მაგრამ მათ ასე

სწამთ, შეიძლება. უფრო უარესიც ხდება, მაგრამ როგორც დიდი პოეტი ბრძანებდა, "რადგანაც კაცნი გვქვიან..." ღვთით ბოძებულ საპატიო ტიტულს მართლა კაცურად უნდა გავუფრთხილდეთ. არ დაგვავიწყდეს, რომ ზნეობა ადამიანის სულისა და სინდისის უკანასკნელი თავშესაფარია და ვინც ამ თავშესაფარს საკუთარი ხელით ანგრევს, ის უპირველეს ყოვლისა საკუთარ სულს, პიროვნებას ანგრევს. ამ პროცესში ოპონენტის გალანძღვით გულის მოფხანა ვერაფერი კომპენსაციაა. ეს კარგად იცოდა გლეხის ქალმა ოთარაანთ ქვრივმაც, რომელიც ამბობდა "ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნებაო".[1]

სიტყვამ დიდი ხანია შეიძინა ზნეობრივი (ან უზნეო) საქონლის ფასი. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, პიროვნების ღირსებისადმი პატივისცემაზე, არ უნდა გავიგოთ ეს ისე, თითქოს მარტო პოლიტიკურ ბრძოლაში არის ამ ნორმის დაცვა საჭირო. სამწუხაროდ, ჩვენი ყოველდღიური ყოფითი მეტყველება ხშირად მიდის უზნეობამდე, რაც უაღრესად მტკივნეულად და უარყოფითად აღიქმება საზოგადოების მიერ. მაგალითად, ქორწილში მთვრალმა პიროვნებამ დაიწყო ხმამაღალი უწმაწური ლაპარაკი. კონკრეტულად ის არავის არ ლანძღავს, მაგრამ მისი ბილწი ენა მაინც შეურაცხყოფად აღიქმება ყველას მიერ. თითოეული შსმენელი თვლის, რომ მასაც აყენებენ შეურაცხყოფას, ამცირებენ მის ღირსებას. ამ ბოლო ხანებში ასეთ მოვლენებზე ბევრმა გაამახვილა ყურადღება.

---

[1] ილია ჭავჭავაძე. "ოთარაანთ ქვრივი".

განსაკუთრებით ამაზრზენად ჟღერს, როდესაც რომელიმე ახალგაზრდა, თავისი ნათქვამის სიმართლის დასადასტურებლად, ხმამაღლა აცხადებს, ჩემი დედა... თუ ეს ასე არ იყოსო. საკუთარი დედის ხსენება ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში ასეთი უპრეცედენტო სიტყვაშეწყობით, — ეს არის ნახტომი უკან, წინა პრეისტორიულ პერიოდში. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ამას ყურიც მივაჩვიეთ და გულიც. აღშფოთებას ასეთი სიბინძურის მოსმენის გამო მხოლოდ ჩურჩულით თუ გამოვთქვამთ და ვცდილობთ, მალე გავცილდეთ ამ უსიამოვნო ადგილს. შორიდან საყვედური იოლია. ისიც უნდა გვახსოვდეს, თუ რატომ იკავებენ თავს ადამიანები აქტიური მოქმედებისაგან: ათეული წლების მანძილზე მოქალაქე სრულიად დაუცველად გრძნობს თავს აქტიური და აგრესიული საზოგადოებრივი ზნეობის დამღრვევთაგან, რომლებიც ყოველგვარ სიტყვიერ შენიშვნაზე მზად არიან პასუხი გასცენ მუშტით ან სხვა რამით. უფრო მეტიც, ჩვენს დღეებში ახალი "დოქტრინაც" კი შეიქმნა: ჩვენთან დემოკრატია დამყარდა, ცენზურა მოისპო და უცენზურო სიტყვებიც აღარ არსებობსო. უცენზურო სიტყვების ცნებამაც დაკარგა ძალა და, მაშასადამე, საფუძველი გამოეცალა იმ ზნეობრივ მოთხოვნას, რომ გარკვეული სიტყვების ხმარება საზოგადოებაში ადამიანების უპატივცემლობად უნდა ჩაითვალოს.

სტატიები

სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების თავისუფლების შემადგენელი ნაწილი

თანამედროვე პირობებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ვითარდება, როგორც მსოფლიოს თანამეგობრობის დამოუკიდებელი სუბიექტი, უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის იურიდიული სტრუქტურისა და ფუნქციონირების როგორც მეცნიერულმა კვლევამ, ისე სადღეისო საკითხების პრაქტიკულად გადაჭრამ. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა საზოგადოებაში სიტყვისა და აზრის თავისუფლება. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მოკლე, ლაკონიურ ფორმულაში ჩადებულია რამდენიმე რთული და ერთგვარად წინააღმდეგობრივი პრობლემა, რომელიც არც დღეს წარმოქმნილა და არც დღეს გადაიჭრება. ეს პრობლემა არა მხოლოდ აქტუალურია, არამედ მტკივნეულიც არის, რადგან ათეული წლების მანძილზე სიჩუმეს მიჩვეული საქართველო ალაპარაკდა. ალაპარაკდა ყველა — ვისაც რაიმე აქვს სათქმელი და ვისაც უბრალოდ ლაპარაკი იტაცებს, ვინც იბრძოდა და იბრძვის სოციალური პროგრესისათვის და ვინც იბრძვის ვიწრო ეგოისტური პრობლემების მოსაგვარებლად.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება ძალიან ძველი პრობლემაა და იგი უკავშირდება საერთოდ პიროვნების თავისუფლების პრობლემას. ამიტომ პიროვნების თავი-

სუფლების ცნება ყოველთვის წინ უძღვოდა სიტყვის თავისუფლების ცნებას, რომელიც, როგორც თეორიულმა და პრაქტიკულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

თავისთავად თავისუფლება ვიღაცისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. ამიტომ თავისუფლების ცნება ისტორიული, ე.ი. ცვალებადი, განვითარებადი და სოციალური კატეგორიაა და მისი ფუნქციონირება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაშია შესაძლებელი. ადვილი გასაგებია, რომ ერთი ინდივიდუმი საზოგადოების გარეშე შეუძლებელია და უაზრობაა — ერთადერთი, იზოლირებული პიროვნებისათვის, როცა მის ირგვლივ არავინ არ არის, შეუძლებელია თავისუფლებაც და არათავისუფლებაც. ასე რომ თავისუფლების ცნების არსებობა დამოკიდებულია საზოგადოების არსებობაზე. თანაც ისეთი საზოგადოების, რომელიც დაყოფილია ურთიერთდაპირისპირებულ ფენებად, დაჯგუფებებად და პიროვნებებად. ამას ადასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორია.

სიტყვის თავისუფლება რეჟიმის დემოკრატიულობის საზომია: თუ რეჟიმი მართლაც დემოკრატიულია, სიტყვის თავისუფლებაც რეალურია, მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მაგრამ, თუ რეჟიმი არსებითად ტოტალურია, სიტყვის თავისუფლება მისი კოსმეტიკური შელამაზების ერთ-ერთი კომპონენტია და მოწოდებულია ამტკიცოს იმის არსებობა, რაც არ არსებობს.[1] ტოტალიტარულ რეჟიმებში ასეთ არარსებულ

---

[1] იხ.Конституция Российской Федерации. Научно-практический коментарий. М., გვ. 233.

თავისუფლებას აცხადებდნენ ზოგან ერის, ზოგან კლასების ინტერესების გამოხატვად და თავისუფლების დათრგუნვას ამართლებდნენ საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესებით. სინამდვილეში ასეთი "თავისუფლება" ემსახურებოდა და ემსახურება საზოგადოების მმართველი ძალების, კლასის, პოლიტიკური ელიტის ბატონობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

თავისუფლების ცნება საერთოდ და, კერძოდ, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ცნება, ჩვენს გარდამავალ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრის მიერ არასწორად იქნა გაგებული. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ თავისუფლებას აიგივებენ სრულ თვითნებობასა და განუკითხაობასთან. "მე თავისუფალი ვარ, მაშასადამე, უფლება მაქვს გავაკეთო, რაც პირადად მომწონს". უნდა კი მტკიცება რომ ეს "ფილოსოფია" სრულიად ყალბია — მცდარი კი არა, ყალბი. თვითონ ეს უძველესი ქართული ტერმინი — თავისუფლება-ალბათ უნდა გავიგოთ ასე: რის უფლებას მისცემს ადამიანი თავის თავს, ანუ რამდენად ეყოფა პიროვნებას შეგნება და ნებისყოფა, რომ დაუმორჩილოს თავისი საქციელი ისეთ პრინციპებს, რომლებიც სხვისი ინტერების დაცვასაც გულისხმობს.

სწორედ ეს დებულება არის გადმოცემული ყველასათვის კარგად ცნობილ სიტყვებში, რომელიც იმდენად აქტუალურია, იმდენად საჭირბოროტო, რომ დღესაც ბევრი იმოწმებს განსაზღვრული მოსაზრების გასამართლებლად. ეს სიტყვებია: "ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლება იწყება".

ჩავუკვირდეთ ნათქვამს: თუ თავისუფლება მთავრდება, მაშასადამე, ის სრული არ არის, იგი შეიზღუდა რაღაც მიზეზის გამო. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის: ერთ საზოგადოებაში ცხოვრებისას ადამიანები რაღაცას უთმობენ ერთმანეთს. დემოკრატია და თავისუფლება არასოდეს არ ნიშნავდა აულაგმავ თვითნებობას. თუმცა ზოგიერთები ცდილობენ საკუთარი თავისუფლება გამოიყენონ და განახორციელონ აბსოლუტური სისრულით, სხვისი თავისუფლება კი სრულიად განდევნონ თავისი მოქმედებისა და ინტერესების არეალიდან.

ცნობილია, რომ პიროვნების თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ამ პიროვნების საზოგადოებასთან მიმართების განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმა. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რომ პიროვნება არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, თუ ის თავის თავს საზოგადოების წევრად თვლის. ეს მიმართება დიდი ხანია გარკვეულია. საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ჰარმონია მყარდება მაშინ, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ურთიერთდათმობისა და ურთიერთანგარიშგაწევის თაობაზე. ასეთი შეთანხმება არ შეიძლება იყოს ძალისმიერი რომელიმე მხრიდან, რადგანაც იგი აღარ იქნება შეთანხმება, იგი იქცევა იძულებად, რომელიც, ურთიერთმტრობისა და უნდობლობის უშრეტი წყაროა.

ისმის კითხვა: რა არის სიტყვის თავისუფლება?

"სიტყვის თავისუფლება — ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი პირადი, და მოქალაქის პოლიტიკური უფლებაა, რომელიც წარმოადგენს უფრო ზოგადი უფლების — "მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების" შემადგენელ

ნაწილს. სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების შესაძლებლობას საჯაროდ (ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით) გამოხატოს თავისი აზრი. კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ დემოკრატიულ ქვეყნებში შეიმუშავა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სისტემა მისი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, სახელმწიფოთა უმრავლესობაში იკრძალება სიტყვის თავისუფლების გამოყენება კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მოწოდებებისათვის, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური შუღლის გასაღვივებლად, სხვა პირების ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის და ა.შ.[1]

"სიტყვის, აზრის... თავისუფლება" საზოგადოებისათვის აღმოჩნდა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მან ასახვა ჰპოვა მსოფლიოს თითქმის ყველა კონსტიტუციაში.

საქართველოს დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ამ პრობლემას ეძღვნება მე-2 თავის მე-19 მუხლი მთლიანად, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს "სიტყვის, აზრის, თავისუფლება" და რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა იმის გამო, რომ მას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი რაღაც მოვლენაზე, ან მოისურვოს ამ აზრის საჯაროდ გამოთქმა. მთლიანად ეს მუხლი ასე ჟღერს:

---

[1] იხ. ცნობილაძე პ. კონსტიტუციური სამართალი (ცნობარი). გამომც. მერიდიანი. თბ., 1998.

"მუხლი 19.

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ".

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლბათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს"[1]

მაგრამ, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს უფლება მოვალეობათა გარეშე. ამიტომ, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ყვალას, რომ ერთი პიროვნების თავისუფლება არ უნდა ზღუდავდეს და ლახავდეს მეორე პიროვნების უფლებებს. სწორედ ამ სფეროში ხდება მრავალი გაუგებრობა და თავს იჩენს ბევრი ძნელად გადასალახავი ვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ აზრისა და სიტყვის თავისუფლების პრობლემა, სხვადასხვანაირი სიმწვავით დგას სხვადასხვა ქვეყნებში, და რაც უფრო შეზღუდულია პიროვნების შესაძლებლობები გამოთქვას საკუთარი აზრი, მით უფრო მწვავდება ასეთი სურვილი და სათანადოდ წინააღმდეგობაც. ე.წ. ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში შემუშავდა საზოგადოების ყოფის ისეთი ფორმებიც, რომლებიც პიროვნებას აძლევენ საშუალებას თქვას ის, რის თქმაც უნდა — რაიმე სერიოზული ან რაღაც

---

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს, მუხლი 19.

სულელური. მაგალითად, ინგლისის დედაქალაქ ლონ-დონში, არის ცნობილი ჰაიდ-პარკი. ამ პარკში სასეირ-ნოდ მისულ ადამიანებს მრავალნაირი გასართობი ელით, მათ შორის არის ისეთი რამეც, რაც ზოგს იზიდავს, ზოგს ართობს, ზოგი კი აღშფოთებამდე მიჰყავს. ეს არის მრავალრიცხოვანი, ინდივიდუალური ტრიბუნები, ან უბრალოდ, ამაღლებული ადგილები, საიდანაც ყველას შეუძლია იქადაგოს, ილაპარაკოს, ვიღაც აქოს, ვიღაც აკრიტიკოს, მიუხედავად მისი რანგისა და თანამდებობი-სა. გამონაკლისს წარმოადგენენ ღმერთი და მონარქი. მათ მიმართ რაიმე კრიტიკული აზრის გამოთქმა უბრა-ლოდ აკრძალულია და ამას ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს იქ მოსეირნე პოლისმენები. ამ მრავალრიცხოვან და ჭრელ გამოსვლებში შეიძლება ზოგჯერ რაღაც ჭკვი-ანური და სერიოზულიც ჟღერდეს, მაგრამ ჰაიდ-პარკის ორატორობა იმდენად არასერიოზულ მოვლენად ითვლე-ბა, რომ არავინ მათ ყურადღებას არ აქცევს. ამავე დროს ნუ ვიფიქრებთ, რომ ჰაიდ-პარკის ეფექტი მხო-ლოდ ლაპარაკის მოყვარულთა გულის მოფხანაა. ეს არის "ორთქლის გამოშვების" დიდი ხნის წინათ კარგად დამუშავებული ფორმა. რაღაც იდეით შეპყრობილი ადა-მიანი ყოველთვის ცდილობს ეს იდეა ვიღაცას გაუზია-როს. თანაც თუ იდეა რაღაცის ან ვიღაცის მიმართ პროტესტს შეიცავს, მისი გამოთქმის სურვილი უფრო უძლიერდება პიროვნებას, ხოლო თუ რაღაც ფორმით მან ეს მოახერხა, ანუ ხმამაღლა გამოთქვა მის თავში მომწიფებული აზრი, იგი მშვიდდება, რაღაც კმაყოფილე-ბას გრძნობს, შეიძლება ვთქვათ, ერთხანს ტკბება კიდეც

თავისი "მიღწევით". აი, რაშია "ჰაიდ — პარკის ეფექ-ტის" საიდუმლოება.

ე.წ. ძველი დემოკრატიის ქვეყნებში გაბრაზებული ადამიანის დამშვიდების ასეთი ფორმები საკმაოდ გავ-რცელებული რამ არის. მაგალითად, ამერიკის შეერთე-ბულ შტატებში, თეთრი სახლის შორიახლოს, რაღაც განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ყველას აქვს უფლება იდ-გეს ან იჯდეს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული პლაკატით ხელში, ან გამოაცხადოს შიმშილობა, რომ-ელიც შეიძლება იყოს ერთდღიანი ან უფრო ხანგრძლივი, მშრალი ან სველი (ანუ ისეთი შიმშილობა, როდესაც ადამიანი საჭმელს არა სჭამს, მაგრამ სხვადასხვა წვე-ნებზე და წყალზე უარს არ ამბობს). "ამგვარი პროტეს-ტები", როგორც წესი, მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ მთავრდება: მოსწყინდება ადამიანს იქ ჯდომა, შესცივდე-ბა ან დაიღლება და მიდის სახლში. სამაგიეროდ, ის თავს იმშვიდებს იმით, რომ მას, როგორც შტატების მო-ქალაქეს აქვს რაღაც უფლება და ამ უფლების გამოყენე-ბის შესაძლებლობაც.

იტალიის რესპუბლიკის დღეს მოქმედი კონსტიტუ-ციის პირველი ნაწილის 21-ე მუხლი მთლიანად ამ პრობლემას ეხება, სადაც გამორიცხავს ცენზურის არსე-ბობას, აღიარებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს სრულიად ცალსახოვნად კრძალავს საზოგადოებისათვის სიტყვით ან პრესით ზიანის მიყენე-ბას. ძალიან საინტერესოა ამ მუხლის ბოლო აბზაცი, სადაც ნათქვამია, რომ „იკრძალება ბეჭდვითი ნაწარმოე-

ბები, სანახაობები და ყოველგვარი სახის ღონისძიება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კეთილ წესებს".[1]

ფრანგული დემოკრატია დღევანდელ დემოკრატიათაგან ერთ-ერთი უძველესია, და სათავეს იღებს 1789 წელს ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონიდან, რომელსაც ჰქვია „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია". ამ მოცულობით პატარა დოკუმენტმა უზარმაზარი როლი შეასრულა არა მარტო საფრანგეთის, არმედ მთელი მსოფლიოს განვითარებაში. დეკლარაციის მე-19 და მე-11 პუნქტები აღიარებენ, რომ:

10) „არავინ არ უნდა განიცადოს შეზღუდვა თავისი აზრის გამოხატვისას, სარწმუნეობრივისაც კი, თუ ეს გამოხატვა არ არღვევს კანონით დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს".

11) „აზრისა და სიტყვის თავისუფლება არის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლება, ამიტომ ყოველ მოქალაქეს გააჩნია გამოთქმის და ბეჭდვის თავისუფლება. ამ უფლებათა ბოროტად გამოყენება დაუშვებელია".[2]

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის მიწურულს, როდესაც მიმდინარეობდა გააფრთებული ბრძოლა მონარქიასა და რესპუბლიკას შორის, ფრანგები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ თავისუფალ სიტყვას და პრესას არა მარტო სიკეთის, არამედ ბოროტების მოტანაც შეუძლია. ამიტომ საგანგებოდ არის ნათქვამი, რომ ამ უფლების ბოროტად გამოყენება ისჯება კანონით.

---

[1] См. Конституции государств Европейского Союза. Конституция Итальянской Республики. М., 1997.

[2] იქვე.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვისა და პრესის თავისუფლების სიკეთე შეიძლება იქცეს დიდ ბოროტებად, თუ იგი არ არის მოქცეული კანონის ფარგლებში, ან კიდევ არ სრულდება კანონით დადგენილი შეზღუდვები.

ჟურნ. „სამართალი“, 1999, №3

სიტყვის თავისუფლება და ზნეობა

„სიტყვის თავისუფლება“ დიდი ხანია ტრიალებს იურისპრუდენციაში, ფსიქოლოგიასა და ეთიკაში. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სიტყვის თავისუფლების ცნება ძალიან სიღრმისეულია და თითქმის უტოლდება პიროვნების თავისუფლების ცნებას, რადგანაც სიტყვის თავისუფლება, ფაქტობრივად, მოიცავს აზრის თავისუფლებას, მისი რეალიზაციის შესაძლებლობას და წარმოადგენს პიროვნების პოზიციის სიმტკიცის საფუძველს საზოგადოებაში.

სიტყვის, აზრის თავისუფლება საზოგადოებისათვის აღმოჩნდა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მან ასახვა ჰპოვა მსოფლიოს თითქმის ყველა კონსტიტუციაში. საქართველოს დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ამ პრობლემას ეძღვნება მე-2 თავის მე-19 მუხლი მთლიანად, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის... თავისუფლება და რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა იმის გამო, რომ მას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი რაღაც მოვლენაზე, ან მოისურვოს ამ აზრის საჯაროდ გამოთქმა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფლება არ არსებობს მოვალეობათა გარეშე. ამიტომ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ყველას, რომ ერთი პიროვნების თავისუფლე-

ბა არ უნდა ზღუდავდეს და ლახავდეს მეორე პიროვნების უფლებებს. სწორედ ამ სფეროში ხდება მრავალი გაუგებრობა და თავს იჩენს ბევრი ძნელად გადასალახი ვითარება.

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი, თავის წიგნში „ენა", ამბობს, რომ სიტყვა არის აზრის მოსახმარი ფორმა. ეს ნიშნავს, რომ აზრი თავისთავად არაფერია, თუ ის არ გაცხადდა სიტყვაში და მერე არ იქცა საქმედ. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშში, სიტყვის თავისუფლება არის თავისუფალი მოქმედების საწყისი ეტაპი. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რა დიდი ძალა აქვს დროზე და ენერგიულად ნათქვამ სიტყვას. შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვის მკვლევარები სიტყვას უწოდებენ ადამიანის ძალის სარდალს. ამიტომ ყველას კარგად ესმის, რომ როდესაც ადამიანი იბრძვის სიტყვის თავისუფლებისათვის, იგი, ფაქტობრივად, მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას. ეს კარგად იყო ცნობილი ძველად და სრულიად გასაგებია დღესაც. ამიტომ იქცა მიტინგის პრობლემა, ე.ი. სიტყვის თქმის პრობლემა ასე მძაფრ და მტკივნეულ საკითხად. ერთნი მოითხოვენ მიტინგის ჩატარებას, ანუ სიტყვის თავისუფლად თქმას, მეორენი ცდილობენ ეს არ დაუშვან, რადგან ორივე მხარეს მშვენივრად ესმის, რომ სიტყვას მერე უნდა მოჰყვეს მოქმედება. დღეს გავრცელებული გამოთქმები „სანქციონირებული" და „არასანქციონირებული" მიტინგი მარტო ნებადართულს და ნებადაურთველს კი არ ნიშნავს, არამედ მართვადს ან უმართავს იმ ძა-

ლების მიერ, რომელსაც უფლება აქვს აკრძალოს ან დაუშვას მიტინგის ჩატარება.

სიტყვის თავისუფლება, როგორ სოციალური შინაარსის ლოზუნგი, შემუშავდა ბურჟუაზიული რევოლუციების აღზევების ეპოქაში და გამოხატავდა იმათ მოთხოვნებს, ვინც დათრგუნული იყო საზოგადოებაში გაბატონებული ზედა ფენის მიერ. ეს დღესაც ასეა. გაბატონებულ, მმართველ ძალას არ სჭირდება სიტყვის თავისუფლების მოთხოვნა. იგი, როგორც საზოგადოების წარმმართველი ძალა, ისედაც ფლობს არა მარტო სიტყვის, არამედ ნებისმიერი მოქმედების უფლებასაც. ამიტომ, სიტყვის თავისუფლებას მოითხოვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ გაბატონებული ძალა მათ ჩაგრავს, არ აძლევს გასაქანს, მოქმედების საშუალებას. ვოლტერს მიაწერენ ასეთ აფორიზმს: „რევოლუცია იწყება ხმამაღლა ნათქვამი სიტყვითო". ამ ხატოვან გამოთქმაში საკმაოდ დიდი ჭეშმარიტებაა ჩადებული, რადგანაც ხმამაღლა ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება დასაბამი მისცეს ძალისმიერ მოქმედებას და ხალხთა დიდი მასები წარმართოს დიდი ნგრევისაკენ ან დიდი შენებისაკენ. სიტყვის თავისუფლება შეიძლება იქცეს დიდ სიკეთედ და დიდ ბოროტებად — გააჩნია ეს „ხმამაღლა ნათქვამი სიტყვა" რა მოქმედებისკენ მოუწოდებს სხვებს.

იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ დაეუფლება სიტყვის თავისუფლებას, ვინ რისთვის გამოიყენებს მას — საკუთარი, პირადი, ანგარებით მიზნების მისაღწევად, თუ რაღაც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის გასაკეთებლად.

ამ თვალსაზრისით, თავისუფალი სიტყვა და მაშასადამე, სიტყვის თავისუფლება, შეიძლება იყოს ზნეობრივი და უზნეო. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ საწყის ეტაპზე ზნეობრივი ჩანაფიქრი, მერე იქცეს უზნეობად. ამიტომ სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი ზნეობრივი კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე ან აბსურდია, ან კარგად შენიღბული ცინიზმი.

ცნობილია, რომ პიროვნების თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ამ პიროვნების საზოგადოებასთან მიმართების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფორმა. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რომ პიროვნება არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, თუკი მას თავისი თავი საზოგადოების წევრად მიაჩნია. ეს მიმართება დიდი ხანია გარკვეულია. საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ჰარმონია მყარდება მაშინ, როდესაც მიღწეულია შეთანხმება ურთიერთდათმობისა და ურთიერთანგარიშგაწევის თაობაზე. ასეთი შეთანხმება არ შეიძლება იყოს ძალისმიერი რომელიმე მხრიდან, რადგანაც იგი აღარ იქნება შეთანხმება, იგი იქცევა იძულებად, რომელიც ურთიერთმტრობისა და უნდობლობის უშრეტი წყაროა.

აქ ისმის კითხვა: რა არის სიტყვის თავისუფლების საფუძველი. იურიდიული კანონი, რომელიც ადამიანს აძლევს სიტყვის თქმის უფლებას, თუ ზნეობრივი ნორმა, რომელიც ადამიანს არა მარტო უფლებას აძლევს, არამედ, რაღაც ფორმებში ზღუდავს კიდეც.

გავიხსენოთ, რა არის ზნეობა და აქედან გამომდინარე ზნეობრივი. პროფესორი გ. ინწკირველი „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში", ზნეობის შემდეგნა-

ირ განმარტებას აყალიბებს. „ზნეობა ანუ მორალი საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, ისევე როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია. ზნეობა გამოხატულია სათანადო ნორმებში, ქცევის წესებში, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებაში. ზნეობის ნორმებში მოცემულია საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანთა წარმოდგენები წესიერებასა და უწესობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, საქებარსა თუ დასაგმობზე, სინდისსა და პატიოსნებაზე და ა.შ. ამგვარი საზომით ადამიანთა ქცევის შეფასებას ზნეობის ნორმების მხრივ ადგილი აქვს როგორც პიროვნებათა შორის ურთიერთობაში, ისე მათ დამოკიდებულიბაში ოჯახისადმი, საზოგადოეისადმი, სახელმწიფოსადმი. ზნეობას, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ რეგულატორს, მთელი რიგი საერთო ნიშნები, მსგავსება ახასიათებს სამართალთან და, ამავე დროს, არსებითად, მკვეთრად განსხვავდება მისგან“[1].

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ზნეობრივი ნორმების პარალელურად საზოგადოებაში მოქმედებს სამართლებრივ-იურიდიული ნორმები, რომლებიც ასევე არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას როგორც პიროვნებათა შორის, ასევე პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. განსხვავება მათ შორის კი ის არის, რომ სამართლებრივი ნორმების ინიციატორი და განმახორციელებელი არის სახელმწიფო, ხოლო ზნეობრივი ნორმების

---

[1] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 51-52.

წყარო — საზოგადოებაში გაბატონებული ადათ-წესები და შეხედულებებია. ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოში სამართლებრივი ნორმები საზოგადოების ყველა ფენისთვის ერთნაირია (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს). ხოლო ზნეობრივი ნორმები განსხვავებულია და მათი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ეს ზნეობა საზოგადოების რა ფენას ემსახურება. ეს ყოველ ნაბიჯზე კარგად ჩანს ჩვენს საზოგადოებაშიც, თუნდაც სამეტ-ყველო ეთიკეტში, ანუ ურთიერთსაუბრის ფორმებში. ვთქვათ, ინტელიგენციაში, მუშათა ფენაში, ახალგაზრდობაში, დამნაშავეთა სამყაროში და ა.შ.

თუ წარსულს გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ სამართლებრივი ნორმები გაჩნდა ზნეობრივი ნორმების უკმარისობის საფუძველზე. საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების კვალობაზე გახშირდა ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები, რასაც ოდესღაც არავითარი სასჯელი არ მოსდევდა და ამიტომ ზნეობადაკარგული პიროვნებისათვის ხელსაყრელი იყო. საზოგადოების მართვა შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მმართველმა წრეებმა დაიწყეს იურიდიული კანონების შექმნა, რომელთა საშუალებითაც უნდა აეძულებინათ მორალური კანონის დამრღვევნი დამორჩილებოდნენ საზოგადოების მოთხოვნებს. ზნეობრივი და სამართლებრივი კანონების თანაფარდობა დროთა განმავლობაში, საუკუნეების მანძილზე ნელ-ნელა იცვლებოდა სამართლებრივი კანონების სასარგებლოდ და საზოგადოება მივიდა იქამდე, რომ მას, საზოგადოებას, დღეს მართავენ სამართლებრივი კანონები, ხოლო ზნეობრივი კანონები ფიგურირებენ როგორც

ერთგვარი დამხმარე ძალა. ჩვენ ეს, ცხადია, არ მოგვწონს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს მდგომარეობა ამცირებს ადამიანს, აქცევს მას კანონის მონად. მაშინ, როდესაც ჩვენ მიჩვეულები ვართ დიდი ხოტბით მოვიხსენიოთ ადამიანის პიროვნება და ზნეობრიობა გამოვაცხადოთ მის უპირველეს დადებით თვისებად.

მაგრამ ფაქტი ფაქტია: დღეს ადამიანის მოქმედებას მართავს ორი ურთიერთშემხები ფაქტორი — იურიდიული კანონი და ზნეობრივი ნორმა.

იურიდიული კანონი, რაც უნდა რთული იყოს იგი, მაინც მკაფიო და გამჭვირვალეა. პიროვნებას ეკრძალება ესა და ეს მოქმედება. ამიტომ ამ მოქმედების ჩადენა ცხადდება დანაშაულად, სათანადო მომდევნო შედეგებით.

გაცილებით რთულია ზნეობრივი კანონის შეთანხმება ადამიანის მოქმედებასთან, რადგანაც ერთი და იგივე მოქმედება ვიღაცისთვის უზნეოა, ვიღაცისთვის ზნეობრივი, და უდავო ობიექტური საზომი აქ ძნელი მოსაძებნია. მაგალითად, ჩატარდა არასანქცირებული მიტინგი. ეს რომელიღაც სამართლებრივი კანონის დარღვევაა, ამიტომ ვიღაცის რაღაც დანაშაულია და დარღვეული კანონის წარმომადგენლებს მოვლენის ასეთ ინტერპრეტაციაში ეჭვი არ ეპარებათ. ახლა ამ ფაქტს შევხედოთ მეორე მხრიდან. ჩვენ ოფიციალურად გვაქვს ნათქვამი, რომ საქართველოს მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლება, რაც დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციაში (თავი მეორე, მუხლი მე-19). ისმის კითხვა: მაშ, რატომ ჩაითვალა არასანქცირებული მიტინგი უკანონოდ, თანაც თუ კანონის წარმომადგენლებმა

არც იცოდნენ, რა უნდა თქმულიყო ამ მიტინგზე. როგორც ვხედავთ, ერთმანეთს დაეჯახა ერთი და იგივე მოვლენის ორი სხვადასხვანაირი გაგება.

გავყვეთ ამ აზრს. ვთქვათ, მიტინგი ნებადართულია და იქ გაისმა ანტისამთავრობო მოწოდებები. ეს მოწოდებები შეიძლება ჩაითვალოს ძალადობის წაქეზებად და, მაშასადამე, დანაშაულად. მაგრამ მოწოდება ხომ სიტყვაა. გამოდის, რომ მოქალაქეს აქვს თავისუფლება არა ყოველნაირი სიტყვის. თუ სიტყვის რეგლამენტაცია წინასწარ ხდება, ეგ რაღა თავისუფლებაა და თუ თავისუფლებაა, რატომ უნდა ჩაითვალოს სიტყვა დანაშაულად. აი, აქ გამოდის სწორედ წინა პლანზე მოვლენის ზნეობრივი მხარე. რასაც ვერ წყვეტს სამართლებრივი კანონი, ის უნდა გადაწყვიტოს ზნეობრივმა კანონმა, ოღონდაც ერთი წინასწარი პირობაა აუცილებელი. ზნეობა ერთნაირი შინაარსით უნდა ესმოდეს ორივე მოკამათე მხარეს. თუ ზნეობის გაგებაში შეთანხმება არ არის, იქ კამათს და მტკიცებას აზრი არა აქვს. კვლავ გავიხსენოთ ზნეობის განმარტება. გელა ბანძელაძე თავის წიგნში „ეთიკა“, ზნეობას განმარტავს, როგორც „იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც გამოხატავენ პიროვნებათა შეგნებულ ნებისმიერ ზრუნვას ერთმანეთისა და საზოგადოებისათვის“.[1] თავისთავად ცხადია, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ზნეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საზოგადოება ზნეობის გარეშე. საზოგადოებრივი ცნობიერების ვერცერთი ფორმა ვერ შეცვლის და ვერ დაიჭერს ზნეობის

---

[1] გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1980, გვ. 70.

ადგილს. იქ, სადაც არ არის ადამიანთა შეგნებული, ნებისმიერი, თავისუფალი მოქმედება, იქ არ არის არც საზოგადოებრივი ცხოვრება და არც ადამიანობა. ადამიანური ცხოვრებისა და თვით ადამიანობის სპეციფიკა ზნეობრიობაში მდგომარეობს. ხოლო ზნეობრიობის სპეციფიკა შეგნებული, თავისუფალი მოქმედების უნარია. ზნეობრივი წესები და პრინციპები გამოხატავენ ადამიანის შეგნებული, თავისუფალი მოქმედების სხვადასხვა ფორმას, მხარეს, ასპექტს. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე გვინდა ერთგვარი ანალიზი გავუკეთოთ ჩვენი დღეების ზოგიერთ ფაქტს.

დავიწყოთ ფრიად გახმაურებული კლარა შუკვანის „საქმით". ამ საქმის ფაქტობრივი მხარე ასეთია: 1997 წლის 23 აგვისტოს სასტუმრო „ივერიასთან" გამართულ მიტინგზე კლარა შუკვანს ხელში ეჭირა პრეზიდენტის ღირსების შეურაცხმყოფელი პლაკატი. ამის გამო სამართალდამცველმა ორგანოებმა ქ-ნი კლარა შუკვანი პასუხისგებაში მისცეს პრეზიდენტის პიროვნების შეურაცხყოფისათვის. როგორც გაზეთიდან ვიცით, პასუხისგებაში მოცემულმა პიროვნებამ გამოძიების პროცესში საბოლოოდ დაიკავა ის პოზიცია, რომ მას ვილაცამ შეაჩეჩა ეს პლაკატი და თვითონაც არ იცოდა რა ეწერა ზედ. ამით მან, ფაქტობრივად, აღიარა, რომ ლოზუნგის შინაარსი მართლაც შეურაცხმყოფელია, მაგრამ არ არის დამნაშავე, იმის გამო, რომ მან არ იცოდა პლაკატში გამოთქმული აზრის შესახებ. სასამართლომ კლარა შუკვანს პირობითი სასჯელი გამოუტანა, რაც ასევე დანაშაულის არსებობის დამადასტურებელია. ჩვენ ამჯერად არ

გვაინტერესებს გამოძიებისა და სასამართლოს პერიპეტიები, ჩვენთვის აქ მთავარია თვითონ ფაქტის შეფასება, რამდენად ზნეობრივია ქვეყნის პირველი პირის შესახებ იმ სიტყვების თქმა, რომლებიც იმ ლოზუნგში ეწერა.

დემოკრატიულ ქვეყნებში, ცხადია, ნებისმიერი პირის გაკრიტიკების უფლება უნდა იყოს, მაგრამ ვინ იტყვის, თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და უშვერ ლანძღვას შორის. ჩვენ ვერ ვიტყვით, ქ-მა კლარა შუკვანმა იცოდა თუ არ იცოდა თავისი ლოზუნგის შინაარსი, მაგრამ ეს ლოზუნგი, თანაც საჯაროდ გამოტანილი, თანაც მანდილოსნის მიერ, უხამსობა რომ არის და არა მარტო პიროვნების, არამედ საზოგადოების შეურაცხყოფაც, ამაზე ალბათ არავინ არ უნდა იდავოს. ნუთუ ამ ლოზუნგის ავტორებს და საჯაროდ გამომტანებს სერიოზულად მიაჩნიათ, რომ მისი გახმაურებით რაიმე ზიანი მიაყენეს პრეზიდერტის პიროვნებას ან ავტორიტეტს? არ უნდა იყოს ასე. ვულგარული მეტყველება არასდროს არ ყოფილა არგუმენტი პოლიტიკურ დავაში.

გავიხსენოთ მეორე ფაქტი: პარლამენტის სხდომაზე ერთმა პარლამენტარმა მამაკაცმა, თავის ოპონენტ პარლამენტარ მანდილოსანთან კამათში „არგუმენტად გამოიყენა" (ქალისათვის და არა პოლიტიკური ოპონენტისათვის!) შეურაცხმყოფელი გამოთქმა. ნათქვამი იმდენად უხერხულად გაისმა, რომ მეორე პარლამენტარმა თავის კოლეგას შეახსენა რაინდული მორალი და მოითხოვა მისგან ბოდიშის მოხდა მანდილოსნის წინაშე. „რაინდმა" ბოდიში არ მოიხადა და გამარჯვებულის იერით გადახედა დარბაზს. რამდენადაც გვახსოვს, ეთიკისა და ზნეო-

ბის კომისიასაც კი უნდა განეხილა ეს საკითხი. ჩვენ არ ვიცით, კომისიამ განიხილა ეს საკითხი და რაიმე გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქუჩური მეტყველების სტილი არ ამკობს მოლაპარაკეს და არც საქმის გაკეთებას უწყობს ხელს.

ჟურნალისტიკაში არის ასეთი ტერმინი პაპარაცი. პაპარაცი იყო იტალიელი ჟურნალისტი (კინო-ფილმის პერსონაჟი), რომელიც არაფერს თაკილობდა, რომ მოეპოვებინა, როგორც იტყვიან, „მძაფრი სუნის მქონე" ფაქტები, და მისი გვარი იქცა სიბინძურის, უკადრისი საქციელის გამომხატველ ზოგად სახელად.

სამწუხაროდ, და საზოგადოებრივი საქმისათვის დიდად საზიანოდ, დღევანდელ ქართულ პრესაში სულ უფრო ძლიერდება „პაპარაცული" ტენდენცია.

პოლიტიკურ ოპონენტებთან კამათი ხშირად მიმდინარეობს არა იმდენად საქმის ანალიზის დონეზე, არამედ უფრო იმ განწყობით, რომ მოწინააღმდეგეს საჯაროდ უთხრას უხამსი, პიროვნებისათვის უკადრისი სიტყვები.

რა თქმა უნდა, ჯერ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ერთი ან ორი წერილით ასეთი ფაქტები მოისპობა, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ასეთ სერიოზულ ეჭვს: ვაჟკაცი კაცი, რომელიც არ მოერიდება საჯაროდ ქალის უშვერად გალანძღვას, რაღას არ იკადრებს მაშინ, როცა ის მარტოა დარჩენილი თავის სინდისსა და ზნეობასთან. და ვაი იმ ადამიანებს, ვისი ბედიც ასეთი „ხელმძღვანელის" ხელში აღმოჩნდება.

სამწუხაროდ, პაპარაციზმი მარტო საქართველოში არ გვხვდება. მეტ-ნაკლებად ეს სენი ყველგან არის გავ-

რცელებული. ეს რომ ასე არ იყოს, გაეროს არ დასჭირდებოდა სპეციალური დოკუმენტის მიღება, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სიტყვისა და აზრის უფლებებით სარგებლობა ყოველ ადამიანს განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, რათა არ შეილახოს სხვა პირთა უფლებები და რეპუტაცია, არ დაირღვეს საზოგადოებრივი წესრიგი და ზნეობა.[1]

ძველი დროის ფილოსოფოსი სენეკა ამბობდა, რომ უხეში სიტყვით შეიძლება დაამტკიცო მხოლოდ შენი უზრდელობა და არა შენი განსწავლულობაო. დღევანდელ სიტყვის ქურუმთა შორის ბევრს ალბათ სიტყვა სენეკაც კი არ აქვს გაგონილი, მაგრამ ქართული ხალხური შეგონება ხომ მაინც უნდა გვახსოვდეს:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
ვერ არგებს გვარიშვილობა!“

ამ ხალხურ სიბრძნეში სიტყვა გვარიშვილობა, საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლება შევცვალოთ სიტყვებით: ჟურნალისტობა, პოლიტიკოსობა და ამით შეგონების არსი უფრო სადღეისო და აქტუალური გახდება.

როგორც უკვე ვთქვით, დღეს მსოფლიოში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ადამიანის უფლებათა დაცვაზე, მათ შორის სიტყვისა და აზრის თავისუფლებაზე. მაგრამ რაღაც უფლება ხომ ყველა პიროვნებასა აქვს, და ამ უფ-

---

[1] იხ. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, გვ. 109, მუხლი 19, 1995.

ლებასთან დაკავშირებული რაღაცა პასუხისმგებლობა. კარგია, როდესაც მკვლელობის ან ყაჩაღობის გამო მსჯავრდებულის უფლებებს იცავენ (ისიც ადამიანია!), მაგრამ რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაში აღმოჩნდნენ ბარიერის მეორე მხარეს! შეიძლება, ისინი სცდებიან, მაგრამ მათ შეიძლება ასე სწამთ. უარესიც ხდება, მაგრამ როგორც დიდი პოეტი ბრძანებდა, „რადგანაც კაცნი გვქვიან", ღვთით ბოძებულ საპატიო ტიტულს მართლა კაცურად უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან ზნეობა ადამიანის სულისა და სინდისის უკანასკნელი თავშესაფარია, და ვინც ამ თავშესაფარს საკუთარი ხელით ანგრევს, ის, უწინარესად, საკუთარ სულს, პიროვნებას ანგრევს. ამ პროცესში ოპონენტის გალანძღვით გულის მოფხანა ვერაფერი კომპენსაციაა. ეს კარგად იცოდა გლეხის ქალმა ოთარაანთ ქვრივმაც, რომელიც ამბობდა: „ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნებაო".

მართლაც, ღირს კი „გულის გაქეციანება", განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენი მოქმედება ქვეყნისა და ხალხის ბედს ეხება.

ჟურნ. „სამართალი", 1998, №5-6

სიტყვის თავისუფლების შუქჩრდილები

თავისუფლება! მრავალი საუკუნის მანძილზე ეს სიტყვა აჯადოებდა ადამიანებს — მეფეებით დაწყებული და ღატაკი მათხოვრებით დამთავრებული. თავისუფლებისათვის ბრძოლას ეწირებოდნენ ათასები. მის მისაღწევად გაუგონარ მსხვერპლს იღებდა ხალხი. თავისუფლების ცნება იყო უმთავრესი სიმბოლო ადამიანის ღირსების, კეთილდღეობის გამოსახატავად. მას უმღერდნენ ფილოსოფოსები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები. იგი იყო მშვენიერების, სამართლიანობის და ზნეობის უმაღლესი საზომი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ თავისუფლების ვიზუალურ სიმბოლოდ მშვენიერი ქალის სახე ჩამოყალიბდა. ასე იყო ძველ საბერძნეთში, რომში, საფრანგეთში. ასეა დღესაც, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სიმბოლოდ აღიარებულია ცნობილი ქალის ქანდაკება, რომელსაც ერთ ხელში კანონების კრებული უჭირავს, მეორეში კი — მაღლა აწეული, ანთებული ჩირაღდანი, რომელიც სინათლის სიმბოლოდ აღიქმება.

თითქმის ყველა ენაში მოიძებნება სიტყვები, რომლებიც ხშირად იხმარება და თითქოს ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ჯერ არც ერთ მოაზროვნეს არ მოუცია ამგვარი სიტყვების სრული და უდავო განმარტება. ასეთ

სიტყვათა ჯგუფს განეკუთვნება თავისუფლებაც. მართლაც, ყველას პირზე გვაკერია თავისუფლება, ყველა მივილტვით მისკენ, მაგრამ რა არის ეს თავისუფლება? ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილია ამ ტერმინის რამდენიმე მნიშვნელობა: მათგან პირველ ადგილზეა დასახელებული სიტყვის ფილოსოფიური შინაარსი. „თავისუფლება (თავისუფლებისა), რომელიმე პირის, საზოგადოებრივი კლასის (ფენის), სახელმწიფოს ისეთი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მის დაუბრკოლებელ საქმიანობას (საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში)"[1]. ამ განმარტებიდან მკაფიოდ ჩანს, როგორი მოქმედება შეიძლება იყოს თავისუფლების გამომჟღავნება. მაგრამ ამ მოქმედების შინაგან ხასიათზე არაფერია ნათქვამი ანუ არ არის პასუხი შემდეგ კითხვაზე: რატომ მიაჩნია პიროვნებას თავისი რომელიმე მოქმედება თავისუფლებად და რა კავშირი უნდა იყოს პიროვნების მოქმედებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის. ამ შეკითხვაზე პასუხის ძებნაში შეიქმნა მრავალი განმარტება. მათგან ერთ-ერთი ასეთია: თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა. ეს ნიშნავს, რომ თუ პიროვნება შეგნებულად აკეთებს საზოგადოებისათვის რაღაც სასარგებლო საქმეს, მისი მოქმედება თავისუფალია. არის კიდევ სხვა განმარტება. თავისუფლება არის ნაწილის ინტერესების დამორჩილება (შეხამება) მთელის ინტერესებთან. ადვილი მისახვედრია, რომ „ნაწილში" იგულისხმება პიროვ-

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., ტ. IV. 1955 წ., გვ. 251.

ნება, „მთელში“ იგულისხმება საზოგადოება. ერთ-ერთი განსაზღვრება პიროვნების თავისუფლებას უკავშირებს ღვთიურ ნებას, რაც გულისხმობს, რომ ადამიანს თავისუფლება ენიჭება ღვთის ძალით და ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანს ეძლევა მოქმედების არჩევის უფლება. ოღონდაც, უნდა აირჩიოს მოქმედების ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე ახლოს არის განგების ნებასთან. თავისუფლების ცნებაში არჩევის ელემენტის შემოტანა მაინც ნიშნავს რაღაც შეზღუდვას. ამრიგად, თავისუფლების არსის ყველა განსაზღვრაში იგულისხმება მოქმედების შეზღუდვა, რაღაც ზღვარი, რომელსაც პიროვნებამ არ უნდა გადააბიჯოს, თუ არ სურს შეიჭრას სხვისი უფლებების სფეროში და ამით არ შეზღუდოს სხვა, ასევე თავისუფალი პიროვნება. გამოდის, რომ თავისუფლება არის პიროვნების მიერ საკუთარი ნების თავისუფალი გამჟღავნება, ოღონდაც განსაზღვრული კანონებით დადგენილ ფარგლებში. საკმარისია, ადამიანმა დაარღვიოს ეს ფარგლები და იგი წარმოგვიდგება, როგორც სხვისი თავისუფლების შეურაცხმყოფელი ანუ თავისუფლების მტერი. ეს წინააღმდეგობა არსებობს ათასი წლების მანძილზე და მისი მიზეზი თვითონ ადამიანის ბუნებაა. მას, ადამიანს, არ შეუძლია იცხოვროს და ნორმალურად იარსებოს საზოგადოებისგან განცალკევებით, მაგრამ მას ასევე უძნელდება ჰარმონიული თააარსებობა თავის მსგავს სხვა ადამიანებთან და ამ წინააღმდეგობის გადასალახავად ადამიანმა მოიგონა მხოლოდ ერთი რამ — კანონი, მისი შემზღუდავი ფუნქციებით. ეს იდეა სწორედ ფუძემდებლური იმ მრავალ საერთაშორისო კანონებში,

დეკლარაციებში, დადგენილებებში, რომლებიც არეგულირებს პიროვნების თავისუფლების პრობლემებს ზოგადად, კერძოდ კი, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, სადაც ამ კანონების მიხედვით:

"1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება... ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ხელმძღვანელობდეს საკუთარი აზრით.

2. ყოველ ადამიან აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი: ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია და იდეა ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოთქმის მხატვრული ფორმების მეშვეობით, ან სხვა საშუალებით, საკუთარი არჩევანით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა ყოველ ადამიანს განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, მაგრამ რომლებიც კანონით დადგენილი და დაცული უნდა იყოს: ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივსაცემად; ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად".[1]

---

[1] „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი". „გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში". მუხლი 18-19. 1995 წ., გვ. 109.

როგორც ვხედავთ, ამ უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, რომელიც წარმოდგენილია, როგორც პიროვნების, საერთოდ, თავისუფლების განუყოფელი ნაწილი.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სიტყვისა და აზრის თავისუფლებაში კონკრეტულად იყრის თავს ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც ახასიათებს თავისუფლების ცნებას. დავსვათ კითხვა: რა არის სიტყვის თავისუფლება?

„სიტყვის თავისუფლება" — ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი, პირადი და მოქალაქის პოლიტიკური უფლებაა, რომელიც წარმოადგენს უფრო ზოგადი უფლების — „მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების" — შემადგენელ ნაწილს. „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების შესაძლებლობას, საჯაროდ (ზეპირად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით) გამოხატოს თავისი აზრი. კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ დემოკრატიულ ქვეყნებში შეიმუშავა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სისტემა მისი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, სახელმწიფოთა უმრავლესობაში იკრძალება სიტყვის თავისუფლების გამოყენება კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების ძალისხმიერი დამხობის მოწოდებისათვის, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური შუღლის გასაღვივებლად, სხვა პირების ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის და ა.შ."[1]

---

[1] იხ. პ. ცნობილაძე კონსტიტუციური სამართალი (ცნობარი) თბ., 1998.

„სიტყვის თავისუფლება“ დიდი ხანია ტრიალებს რამდენიმე მეცნიერებაში. ეს არის: იურისპრუდენცია, ფსიქოლოგია და ეთიკა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სიტყვის თავისუფლების ცნება მეტად სიღრმისეულია და, თითქმის, უტოლდება პიროვნების თავისუფლების ცნებას, რადგან სიტყვის თავისუფლება, ფაქტობრივად მოიცავს აზრის თავისუფლებას, მისი რეალიზაციის შესაძლებლობას და პიროვნების პოზიციის სიმტკიცის საფუძველს საზოგადოებაში.

„სიტყვის, აზრის... თავისუფლება“ საზოგადოებისათვის აღმოჩნდა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მან ასახვა ჰპოვა მსოფლიოს თითქმის ყველა კონსტიტუციაში.

საქართველოს დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ამ პრობლემას ეძღვნება მე-2 თავის მე-19 მუხლი მთლიანად, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს აქვს „სიტყვის, აზრის, თავისუფლება“ და დაუშვებელია ადამიანის დევნა იმის გამო, რომ მას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი რაღაც მოვლენაზე, ან მოისურვოს ამ აზრის საჯაროდ გამოთქმა. მთლიანად ეს მუხლი ასე ჟღერს:

მუხლი 19.

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.[1]

მაგრამ, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არსებობს უფლება მოვალეობათა გარეშე. ამიტომ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ყველას, რომ ერთი პიროვნების თავისუფლება არ უნდა ზღუდავდეს და ლახავდეს მეორე პიროვნების უფლებებს. სწორედ ამ სფეროში ხდება მრავალი გაუგებრობა და თავს იჩენს ბევრი ძნელად გადასალახავი ვითარება.

სიტყვის თავისუფლება, როგორც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი დიდი მონაპოვარი, თავისთავად, გულისხმობს ისეთ სიტყვას, ანუ აზრს, რომელიც, ჯერ ერთი, დამუხტულია სიმართლით, ჭეშმარიტებით და მეორე, ემსახურება სამართლიანობას. ასეთი „სიტყვის, აზრის“ გავრცელების უფლება, ანუ ინფორმირების თავისუფლება უნდა ემსახურებოდეს, აგრეთვე, სიმართლისა და სამართლიანობის პრინციპებს. ეს დებულება იმდენად მომხიბვლელია, რომ ხშირად კომენტარიც კი ზედმეტად ითვლება, მაგრამ, ზოგჯერ, გვავიწყდება, რომ თვით სიმართლე არ არის ყოველთვის სამართლიანი და ყოველთვის არ ემსახურება სიკეთეს. იშვიათი როდია, როდესაც სიმართლის თქმა იქცევა ხოლმე ადამიანების უბედურების წყაროდ. ასეთმა სიმართლემ შეიძლება იმსხვერპლოს სრულიად უდანაშაულო ადამიანები. მაგრამ

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს. მუხლი 19.

„ბოროტი“ სიმართლეც კი მაინც სიმართლედ რჩება და არ არის გამორიცხული, რომ, რომელიღაც სფეროში ის სასიკეთოც აღმოჩნდეს. ასეთი სიტუაცია კარგად არის ცნობილი ჟურნალისტიკაშიც და იურისპრუდენციაშიც და მას აღნიშნავენ სპეციალური ტერმინით — დიფამაციით. „დიფამაცია“ ლათინურიდან მოდის და ნიშნავს პიროვნებაზე ისეთი ცნობების გავრცელებას (ნამდვილისა თუ მოგონილის), რომელიც მას სახელს უტეხს[1], შეურაცხყოფას აყენებს მორალურად და, შეიძლება, მატერიალურადაც აზარალებს პიროვნებას. როგორც წესი, ასეთი ხასიათის ინფორმაცია ან სრული ჭეშმარიტებაა, ან ძალიან ახლოს არის მასთან, მაგრამ მისი გამოქვეყნება ძალიან მტკივნეულად აღიქმება და მისგან მიყენებული ზარალი შეიძლება გაცილებით ძვირად დაუჯდეს საზოგადოებას, ვიდრე მის მიერ მოტანილი სიკეთე.

ცნობილი ჟურნალისტი, დევიდ უებსტერი, მოსწრებულად ამბობს, რომ, რაც უნდა ძვირფასი იყოს თავისუფლება, ის მაინც ძალიან ძვირად უჯდება კაცობრიობას, რადგანაც სიტყვის თავისუფლება გულისხმობს არა მარტო სიმართლისათვის და სამართლიანობისათვის ბრძოლას, არამედ ჭორის, სიყალბის, წამქეზებლური, მტრული და, ზოგჯერ, სეპარატისტული იდეების გავრცელების შესაძლებლობასაც. რას უფრო მეტს იძლევა თავისუფალი პრესა და თავისუფალი სიტყვა, ეს დამოკიდებულია იმ საზოგადოების ზნეობაზე, სადაც იბეჭდე-

---

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1989

ბა გაზეთი, მუშაობს ესა თუ ის ტელე-რადიო გადაცემა და მოქმედებს ესა თუ ის ჟურნალისტი.[1]

ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი, ბერტან რასელი, თავის წიგნში „ენა", ამბობს, რომ სიტყვა არის აზრის მოსახმარი ფორმა. ეს ნიშნავს, რომ აზრი თავისთავად არაფერია, თუ ის არ გაცხადდა სიტყვაში და მერე არ იქცა საქმედ. მასასადამე, საბოლოო ანგარიშში, სიტყვის თავისუფლება არის თავისუფალი მოქმედების საწყისი ეტაპი. კაცობრიობამ დიდი ხანია იცის, რა დიდი ძალა აქვს დროზე და ენერგიულად ნათქვამ სიტყვას. შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვის მკვლევარები სიტყვას უწოდებენ ადამიანის ძალის სარდალს.[2] ამიტომ ადამიანი იბრძვის სიტყვის თავისუფლებისათვის, იგი, ფაქტობრივად, მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას. ეს კარგად იყო ცნობილი ძველად და სრულიად გასაგებია დღესაც. ამიტომ იქცა მიტინგის პრობლემა, ესე იგი სიტყვის თქმის პრობლემა ასე მძაფრ და მტკივნეულ საკითხად. მაგალითად, ერთნი მოითხოვენ მიტინგის ჩატარებას ანუ სიტყვის თავისუფლად თქმას, მეორენი ცდილობენ, ეს არ დაუშვან, რადგანაც ორივე მხარეს მშვენივრად ესმის, რომ სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს — მოქმედება. დღეს გავრცელებული გამოთქმები: „სანქციონირებული" და „არასანქციონირებული" მიტინგი მარტო ნებადართულს და ნებადაურთველს კი არ ნიშნავს, არა-

---

[1] Дэвид Узбстер, "Создание свободных и независимых средств массовой информации", стр. 34-42. жур. США "Экономика, политика, идеология". 1994.

[2] А. Бялик, Сила политического слова, Изд. "Художественная литература". М., 1960, გვ. 46.

მედ მართვადს და უმართავს იმ ძალების მიერ, რომელთაც უფლება აქვთ აკრძალონ ან დაუშვან მიტინგის ჩატარება.

სიტყვის თავისუფლება, როგორც სოციალური შინაარსის ლოზუნგი, შემუშავდა ბურჟუაზიული რევოლუციის აღზევების ეპოქაში და გამოხატავდა იმათ მოთხოვნებს, ვინც დათრგუნული იყო საზოგადოებაში გაბატონებული ზედა ფენის მიერ. დღესაც ასეა. გაბატონებულ, მმართველ ძალას არ სჭირდება სიტყვის თავისუფლების მოთხოვნა. იგი, როგორც საზოგადოების წარმმართველი ძალა, ისედაც ფლობდა არა მარტო სიტყვის, არამედ ნებისმიერი მოქმედების უფლებასაც. ამიტომ სიტყვის თავისუფლებას მოითხოვენ მხოლოდ ისინი, ვისაც მიაჩნიათ, რომ გაბატონებული ძალა მათ ჩაგრავს და არ აძლევს გასაქანს, მოქმედების საშუალებას. ვოლტერს მიაწერენ ასეთ აფორიზმს: „რევოლუცია იწყება ხმამაღლა ნათქვამი სიტყვით“.[1] ამ ხატოვან გამოთქმაში საკმაოდ დიდი ჭეშმარიტებაა ჩადებული, რადგან ხმამაღლა ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება დასაბამი მისცეს ძალისმიერ მოქმედებას და ხალხთა დიდი მასები წარმართოს დიდი ნგრევის ან დიდი შენებისაკენ.

სიტყვის თავისუფლება შეიძლება იქცეს დიდ სიკეთედ და დიდ ბოროტებად — გააჩნია „ხმამაღლა ნათქვამი სიტყვა“ რა მოქმედებისაკენ მოუწოდებს სხვებს. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ დაეუფლება სიტყვის თავისუფლებას, ვინ რისთვის გამოიყენებს მას.

---

[1] Мари Франсуа Вольтер (Серия "Жизнь замечательных людей"), М., 1949, გვ. 123.

უკანასკნელ წლებში საქართველოში დატრიალებულმა ამბებმა ბევრი რამ გამოააშკარავა. ჩვენ ძალიან მალე ავიტაცეთ და ავითვისეთ სიტყვის თავისუფლების ცნება, მალე ვისწავლეთ ამ თავისუფლების სრულად და გადაჭარბებით გამოყენებაც, მაგრამ ჩვენთვის უცხო დარჩა საქმის მეორე მხარე: „ის, რომ თავისუფლება მარტო ერთეულებს კი არ სჭირდებათ, არამედ ყველას და ამიტომ თავისუფლების მსურველმა პიროვნებამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ სხვასაც აქვს თავისუფლება და არ უნდა დაგვავიწყდეს ყველასათვის კარგად ცნობილი სიტყვები: „ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლება იწყება“.

ჩავუფიქრდეთ ნათქვამს: თუ თავისუფლება მთავრდება, მაშასადამე, ის სრული არ არის, იგი შეიზღუდა რაღაც მიზეზის გამო. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის. საზოგადოებაში ცხოვრებისას ადამიანები რაღაცას უთმობენ ერთმანეთს. დემოკრატია და თავისუფლება არასოდეს არ ნიშნავდა აულაგმავ თვითნებობას. თუმცა ზოგიერთები ცდილობენ, საკუთარი თავისუფლება გამოიყენონ და განახორციელონ აბსოლუტური სისრულით, სხვისი თავისუფლება კი სრულიად განდევნონ თავისი მოქმედების და ინტერესების არეალიდან. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ინტერესთა ასეთი დაჯახება სულ უფრო კონცენტრირდება სწორედ ინფორმაციული ურთიერთობების სფეროებში. აქედან სულ ერთი ნაბიჯიღაა იმ მდგომარეობამდე, რომელსაც ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას უწოდებენ და ამ ფაქტში საშინელია ისიც, რომ ჯერჯერობით ჩვენს საზოგადოებაში სიტყვის თავი-

სუფლების ბოროტად გამოყენებისათვის თითქმის არავინ დასჯილა. ყოველი წამოჭრილი დავა იძირება გაუთავებელ კამათში, უმნიშვნელო წვრილმანების ქექვაში ან მოკამათე მხარეების ისეთ შეთანხმებაში, რომელიც თავის მხრივ უზნეობად უნდა ჩაითვალოს (ყველაფრის ფულამდე დაყვანით).

ამ ორი წლის წინათ ერთ-ერთმა გაზეთმა საქვეყნოდ ამხილა ერთი პიროვნება, რომელსაც, თითქოს, მცირეწლოვანი ბავშვები ჰუმანიტარული თვალსაზრისით დაჰყავდა ექსკურსიაზე. ამით მოიპოვა ბავშვებისა და მათი მშობლების ნდობა და საქმე თავდებოდა იმით, რომ ხელსაყრელ პირობებში ბავშვებს, ფაქტობრივად, ჰყიდდა. მხილებული პირისათვის ეს დარტყმა აღმოჩნდა იმდენად მოულოდნელი და მტკივნეული, რომ მას გულმა ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა. საქმე კი არავის გამოუძიებია, მართლა ჰყიდდა იგი მინდობილ ბავშვებს, თუ ეს იყო ცილისწამება. ხმაური მიწყნარდა, საქმე ჩაიფარცხა, ადამიანი მოკვდა და დღესაც არავინ იცის, რა გააკეთა ამ გაზეთმა, მართლა დიდი დანაშაული ამხილა, თუ უდანაშაულო ადამიანი შეიწირა. ვფიქრობთ, რომ ასეთ „თავისუფლებას“ საზოგადოებისათვის ბოროტება უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე.

ერთი ამგვარი საქმე ამჟამადაც ტრიალებს პრესაში. ერთმა ცნობილმა გაზეთმა 1999 წლის იანვარში დაბეჭდა მასალა იმის თაობაზე, რომ პარლამენტის ერთი წევრი პარლამენტის სატელეფონო ხაზით პარლამენტის ხარჯზე აწარმოებდა თავის კერძო საუბრებს ამერიკაში მცხოვრებ ნათესავთან და ამ გზით მან სახელმწი-

ფოს მოჰპარა მრავალი ათასი ლარი. „მხილებულმა“ პირმა ეს ამბავი ჩათვალა ცილისწამებად და იჩივლა. თვითონ ფაქტი ისეთია, რომლის შემოწმებაც ტექნიკურად იოლი საქმეა, თანაც დაზარალებულს მოაქვს მასალა, რომელიც აბათილებს ბრალდებას. მონდომებული და პრინციპული სპეციალისტის ხელში ამ საქმის მართალმტყუანი სულ მალე შეიძლებოდა გამოვლენილიყო, მაგრამ ამის გარკვევა, სამწუხაროდ, ჭიანურდებოდა. საქმის ასე გაჭიანურებას მკითხველი აღიქვამს, როგორც შეგნებულ დეზინფორმაციას და ამღვრეულ წყალში ვიღაცის მიერ თევზის დაჭერის მცდელობას, რაც სახელს უტეხს თვით თავისუფალი სიტყვის იდეას, მის ქმედითობას და სარგებლიანობას. სამწუხაროდ, ჩვენს პირობებში, საქმის ხმაურით დაწყება და მერე ჩუმად ჩაფარცხვა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

დაახლოებით ასი წლის წინ საფრანგეთში სამშობლოსადმი ღალატის მძიმე ბრალდებით დასაჯეს ოფიცერი, გვარად დრეიფუსი. პრესა ორ ნაწილად გაიყო. ერთნი ამართლებდნენ დრეიფუსს, მეორენი ამტყუნებდნენ და ორივე პოზიცია ემოციებით უფრო ხელმძღვანელობდა, ვიდრე ფაქტებითა და ანალიზით. კამათში ჩაერია დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი. მან გამოაქვეყნა აღშფოთებული წერილი „დუმილი აღარ შეიძლია“, სადაც სპეციალობით არაიურისტმა, არაჩვეულებრივი სიცხადით დაამტკიცა დრეიფუსის უდანაშაულობა. რაღაც ამის მსგავსი ხშირად ჩვენთანაც ხდება, მხოლოდ ტოლსტოი არა ჩანს, რომ საქმე სამართლიანობის პრინციპის დაცვით განიხილოს.

ჩვენ დღეს ვამაყობთ თავისუფალი პრესით, სიტყვის თავისუფლებით და ჯერ არავის დაუთვლია, რა უფრო მეტი მოიტანა ამ თავისუფლებამ – სიკეთე თუ სიავე, ან როდის ვისწავლით თავისუფალ სიტყვაში მიკერძოებულისა და მიუკერძოებლის განსხვავებას.

ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999, №3

პაპარაციზმის სოციალური და ფსიქოლოგიური საყრდენები

თავისუფლების ცნება საერთოდ, და კერძოდ, სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ცნება, ჩვენს გარდამავალ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრმა არასწორად გაიგო. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ თავისუფლებას აიგივებენ სრულ თვითნებობასა და განუკითხაობასთან. „მე თავისუფალი ვარ, მაშასადამე, უფლება მაქვს გავაკეთო, რაც პირადად მომეპრიანება". უნდა კი მტკიცება, რომ ეს „ფილოსოფია" სრულიად ყალბია, მცდარი კი არა, ყალბი. თვითონ ეს უძველესი ქართული ტერმინი — თავისუფლება, ალბათ უნდა გავიგოთ ასე: რის უფლებას მისცემს ადამიანი თავის თავს ანუ რამდენად ეყოფა პიროვნებას შეგნება და ნებისყოფა, რომ დაუმორჩილოს თავისი საქციელი ისეთ პრინციპებს, სადაც სხვისი ინტერესებიც არ იქნება იგნორირებული. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების ცნება მოიცავს უფლებებისა და თავისუფლებების მთელ ჯგუფს: სიტყვის თავისუფლებას (აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას), ბეჭდვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების უფლებას, ნებისმიერი კანონიერი საშუალებით ინფორ-

მაციის გავრცელების თავისუფლებას.[1] ამ მხრივ, ინფორმაციაზე მომუშავე ხალხი, ანუ ჟურნალისტები, მოვალენი არიან, მუდამ ახსოვდეთ არა მარტო მათთვის მონიჭებული უფლებები, არამედ ამ უფლებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობაც.

ნუ ვიფიქრებთ, რომ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული გართულებები მარტო საქართველოში ხდება. ეს მოვლენა დამახასიათებელია მთელი ე.წ. ცივილიზებული სამყაროსათვისაც.

ინფორმაციის მოპოვების სირთულე პირდაპირ არის დამოკიდებული ინფორმაციის საზოგადოებრივ ან პიროვნულ მნიშვნელობაზე, რაც უფრო ფარულია ინფორმაცია, მით უფრო ძნელია მისი ხელში ჩაგდება. ეს სიძნელე ძალიან ხშირად დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ზოგჯერ სიცოცხლის რისკთანაც კი. როგორც ამბობენ, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის ორი წლის მანძილზე 70-მდე ჟურნალისტი დაიღუპა. ეს საკმაოდ დიდი ციფრია.

რისკთან არის დაკავშირებული ე.წ. ინტიმური ინფორმაციის მოპოვება, ანუ ისეთი ცნობების ხელში ჩაგდება, რომლებიც შეეხება ცალკეული გამოჩენილი პირების პირად ცხოვრებას. განსაკუთრებით პირადი ცხოვრების ისეთ ფაქტებს, რომლის გახმაურებაც არაფრით არ სურს პიროვნებას. ასეთი ინფორმაციის შემგროვებელმა მშვენივრად იცის საზოგადოების ერთი ნაწილის დაუოკებელი სურვილი შეიჭყიტოს სხვის პირად ცხოვრებაში,

---

[1] პაატა ცნობილაძე, „კონსტიტუციური სამართალი" (ცნობარი), თბ., 1998.

ცხვირი ჩაყოს ისეთ საქმეში, რაც მას სრულიად არ ეხება და ამ თავისი ავადმყოფური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკმაოდ დიდი ფულის გადახდასაც არ ერიდება. ე.წ. ცხელ-ცხელ ფაქტებზე აღებული ფული იმდენად დიდი და მომნუსხავია, რომ ბევრი ჟურნალისტი ივიწყებს მორალს, პატიოსნებას, ადამიანობას და ყველაფერს კადრულობს, რომ ამგვარი ფაქტები მოიძიოს. ამ მოვლენას ჟურნალისტიკაში სპეციალური ტერმინიც კი აქვს — პაპარაციზმი. პაპარაცი იყო იტალიელი ჟურნალისტი (მართალია, კინოფილმის პერსონაჟი), რომელიც არაფერს თაკილობდა, რომ მოეპოვებინა, როგორც იტყვიან, „მძაფრი სუნის მქონე" ფაქტები და მისი სახელი იქცა სიბინძურის, უკადრისი საქციელის გამომხატველ ზოგად სახელად.

სამწუხაროდ და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დიდად საზიანოდ, დღევანდელ პრესაში სულ უფრო ძლიერდება ამგვარი „პაპარაცული" ტენდენციები. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული დაჯგუფებები, დაპირისპირება და კლანური სულისკვეთება.

პაპარაციზმი, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, საკმაოდ რთული ხასიათისაა და მისი ხელაღებით დაწუნება ან მოწონება გაუმართლებელი ცალმხრივობა იქნებოდა. უფრო მეტიც, ისეთი ხმებიც გაისმის, რომლებიც პაპარაციზმს ამართლებენ კიდეც და „საზოგადოებრივი ჭუჭყის გამწმენდ სანიტარსაც" კი უწოდებენ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოდ მოგვეჩვენა 1998 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიით გადმოცე-

მული იურიდიული ხასიათის დისკუსია, რომელშიც თავისებურად იყო წარმოდგენილი პაპარაციზმის ბუნება. დისკუსიის მონაწილეები, ერთი მხრივ, ალიარებდნენ, რომ პაპარაცისტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ჟურნალისტები იბრძვიან არა სამართლიანობისა და ზნეობის განმტკიცებისთვის საზოგადოებაში, არამედ ნებისმიერი გზით ფულის მოსახვეჭად, ან მოწინააღმდეგისათვის აკრძალული ილეთით დარტყმის მისაყენებლად, მეორე მხრივ, დისკუსიის მონაწილეები საკითხს მიუდგნენ სხვა კუთხით. პაპარაცი ჟურნალისტები, როგორც წესი, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ხალხია. აქვთ კარგად განვითარებული სოციალური ყნოსვა, არ ერიდებიან რისკს, არიან ენერგიულები და მიზანდასახულები. ამავე დროს ისინი, როგორც წესი, ირჩევენ არა უბრალოდ გამორჩეულ პირებს, არამედ ისეთებს, რომლებმაც სიმდიდრე და სახელი მოიპოვეს საეჭვო ხერხებით და ყოველმხრივ ცდილობენ, რომ საზოგადოებისათვის არ გახდეს ცნობილი, თუ როგორ გამდიდრდნენ ან რა ზნეობრივი სულისკვეთებით ცხოვრობენ. პაპარაცი უტრიალებს თავის მსხვერპლს, ჩუმ-ჩუმად აგროვებს ინფორმაციას მის შესახებ და მსხვერპლისთვის სრულიად მოულოდნელ მომენტში მიაყენებს დარტყმას. ღია ბრძოლა ჩვეულებრივად იწყება არა მასალების გამოქვეყნებით, არამედ მასალების გამოქვეყნების მუქარით, თუ ეს მიზანში ამოღებული პიროვნება არ გაიღებს რაღაცა თანხას, ან არ წავა რაღაც კომპრომისზე. ეი. იწყება ნამდვილი პრიმიტიული შანტაჟი, რომელშიც პაპარაცი არაფერს კარგავს, მოხვეჭის შანსი კი აქვს. მსხვერპლის საქციელი ემყარება შენიღბული ადამიანის ფსიქოლოგიას, დაუძლეველ შიშს,

რათა საზოგადოებამ არ დაინახოს მისი ნამდვილი სახე. ასეთი ორთაბრძოლა, როგორც წესი, მთავრდება ჟურნალისტის გამარჯვებით — თუ მან მოთხოვნილი თანხა ვერ მიიღო, საკომპრომეტაციო მასალების გამოქვეყნებით, გაჯიუტებული „კლიენტის" მიწასთან გასწორებით. ამ შემთხვევაში, მართალია, ჟურნალისტი მატერიალურ მოგებას ვერ ნახულობს, სამაგიეროდ, საზოგადოების თვალში ბოროტ ძალებთან მებრძოლის სახელს იხვეჭს. ამავე დროს, ერთგვარად აფრთხილებს ყველა იმას, ვისაც რაღაც ცოდვა მიუძღვის, მაგრამ უარს ამბობს ამ ცოდვის დაფარვის სამაგიეროდ რაღაც თანხის გაღებაზე. აქ ისმის კითხვა — რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის იმას, რაც გააკეთა ჟურნალისტმა? პასუხი ცალსახა არ არის. პაპარაციზმისადმი ლმობიერად განწყობილ მოაზროვნეებს მიაჩნიათ, რომ, მართალია, აღწერილი ბრძოლა წამოიწყო ვილაცამ უპატიოსნო, ბინძური მიზნებით, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მან მძიმე დარტყმა მიაყენა საზოგადოებრივად საშიშ და ყალბი მორალის მატარებელ ძალებს და რომ საბოლოო შედეგი მაინც საზოგადოებისათვის სასარგებლოა.

არის ისეთი აზრიც, რომ ორი სიბოროტის შეჯახება (ამ შემთხვევაში პაპარაცი ჟურნალისტებისა და შენილბული პიროვნების) და ერთი მათგანის დამარცხება არ არის სიკეთის გამარჯვება, რადგანაც გამარჯვებული მხარე თვითონაც ბოროტებაა და კვლავ სადღაც იჩენს თავს.

ეს ფაქტი შეიძლება შევადაროთ ასეთ სიტუაციას: სამართალდამცავი ძალები დასდევენ ორ ავაზაკს, მაგრამ ვიდრე ისინი ავაზაკებს მისწვდებიან, ერთმა ავაზაკმა

მოსპო მეორე. როგორ უნდა შეფასდეს გამარჯვებული ავაზაკის მოქმედება — როგორც საზოგადოებრივად საზარგებლო და მისაღები, თუ როგორც ერთი ბოროტების გამარჯვება მეორეზე, თავისზე უფრო სუსტ ბოროტებაზე? იმათთვის, ვინც ამ ავაზაკებს დასდევდა, მომხდარი ამბავი მხოლოდ საქმის შემსუბუქებაა და ალბათ, არ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების შესახებ.

პაპარაცისტულ ტენდენციებზე ამდენი ლაპარაკი დაგვჭირდა იმის გამო, რომ ჩვენს სინამდვილეში, მასობრივი ინფორმაციის სისტემაში არც თუ იშვიათად ვაწყდებით პაპარაციზმის ელემენტების გამოვლინებას, თუმცა არა ე.წ. სუფთა სახით. მაგალითად, ყოველთვის გვხვდება ისეთი სტატიები, ტელე-რადიო გადაცემები, რომლებშიც აშკარად გამოსჭვივის მტრობა არა იმდენად ბოროტი საქმის მიმართ, არამედ იმ პიროვნების მიმართ, ვისაც მიეწერება ბოროტი საქციელი. ამ მოვლენის სიცოცხლისუნარიანობა დამყარებულია იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კანონმდებლობაში სათანადო დონეზე არა გვაქვს იურიდიულად და ზნეობრივად მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონები იმის შესახებ, თუ რა არის პიროვნების შეურაცხყოფა, ადამიანის ღირსების ხელყოფა, მისი უფლებების დარღვევა და ა.შ.

ჩვენი მტკიცების სისწორის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტები, როდესაც სასამართლოს უჭირს, გარკვევით დაადგინოს პიროვნების ამა თუ იმ საქციელში არის თუ არა სხვისი ღირსების ხელყოფის ფაქტი.

ასე რომ, პაპარაციზმის პრობლემა სოციალურად, მორალურად და ზნეობრივად აქტუალური პრობლემაა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი ტენდენციების დასუსტება ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ არ შეიმჩნევა.

ჟურნ. „სამართალი“, 1999, №3

ინფორმაცია და დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალება

ინფორმაცია და მისი გავრცელება, ანუ ინფორმირება, თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი აზრის წარმართვის უძველესი და უმთავრესი საშუალებაა. ეს დებულება საყოველთაოდ აღიარებული და დადასტურებულია ისეთ ავტორიტეტულ წყაროებში, როგორიცაა წიგნი „ამერიკული დემოკრატია", სადაც ნათქვამია: „ამერიკელთა უმრავლესობა (ათიდან ცხრა) თვლის, რომ საინფორმაციო საშუალებები დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე".[1]

ინფორმაციისა და ინფორმირების როლი იმდენად დიდია საზოგადოების ცხოვრებაში და იმდენად მნიშვნელოვანია მათი ურთიერთმიმართება, რომ ამ პრობლემას ეხება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით".[2] მე-

---

[1] „ამერიკული დემოკრატია", თბილისი, 1995; გვ. 139.

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წ. 24 აგვისტოს, მუხლი 24, პუნქტი პირველი.

ორე პუნქტი ხაზს უსვამს ინფორმაციის საშუალებების შეზღუდვისა და ცენზურის დაუშვებლობას“, „2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია“.[1] მაგრამ მე-4 პუნქტი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას იმ პირობებზე, რომელთა თანახმადაც ინფორმირება შეიძლება შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესებით. ამავე პუნქტის მეორე ნახევარში გამოთქმული აზრი სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის შესახებ, ფაქტობრივად არის დეზინფორმაციის დაგმობა და კანონგარეშე გამოცხადება. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.[2]

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა დეზინფორმატორებისა და ბოროტი ჭორებისაგან ჩვენთან ხშირად ვერ ხერხდება. იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც ჭორის გამავ-

---

[1] იქვე, მუხლი 24, პუნქტი 2.

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წ. 24 აგვისტოს, მუხლი 24, პუნქტი 4.

რცელებელს კი არ სთხოვენ პასუხს ცილისწამებისათვის, არამედ დაზარალებულს უხდება თავის დაცვა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვა „ინფორმაციას“ ხსნის შემდეგნაირად: „ინფორმაცია (ლათ. INFORMO-დან — ვაცნობებ. რუს. ენის მეშვეობით) — ცნობა, შეტყობინება ვინმესთვის რაიმე მომხდარი ამბის, ვისმე მოღვაწეობის და სხვ. შესახებ“.[1]

დაახლოებით იგივე განმარტებას იმეორებს უცხო სიტყვათა ლექსიკონი: „ინფორმაცია (ლათ. INFORMATIO) შეტყობინება, ცნობა ვისიმე მოღვაწეობის, რაიმე მდგომარეობის, მომხდარი ამბის და სხვ. შესახებ“.[2]

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტერმინი „ინფორმაცია“, რომელიც საყოველთაოდ არის დამკვიდრებული თითქმის ყველა ენაში, სათავეს იღებს ლათინურიდან, რომელიც ნიშნავს ცნობას, შეტყობინებას. ტერმინის ეს მნიშვნელობა, არსებითად, დღემდეა შემონახული და მართლაც ნიშნავს რაიმე ამბის ცნობას, შეტყობინებას. ოღონდაც, უნდა დავაზუსტოთ, რომ დღეს ამ ტერმინს ერთგვარად გაორებული მნიშვნელობა აქვს. პირველი — ცნობა რაღაცის შესახებ და მეორე — ამ ცნობის გავრცელების პროცესი. ამ მეორე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა ისეთ გამოთქმაში, როგორიც არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამ მნიშვნელობით უფრო ზუსტი იქნებოდა ტერმინი ინ-

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. 4. გვ. 766.

[2] უცხო სიტყვათა ლექსიკონი. შემდგ. მიხ. ჭაბაშვილი, თბ., 1964; გვ. 175.

ფორმირება, მაგრამ დამკვიდრებული შესიტყვებაც კარგად ასრულებს თავის მოვალეობას.

ქართული (და არა მარტო ქართული) ტერმინების ნაცვლად ლათინურის გავრცელება განაპირობა ორმა ფაქტორმა: პირველი — ეს ტერმინი ინტერნაციონალურია და იდენტური ცნებაა თითქმის ყველა ენაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენობრივი კონტექტების დროს და მეორე — ტერმინი „ინფორმაციის" ხმარება გამორიცხავს აზრის დამახინჯებას ან შეზღუდვას, რადგან ეს ტერმინი ძალიან ფართო მოცულობისაა და მოიცავს შეტყობინების, ცნობის მიღების ან გავრცელების ყველა ნიუანსს.

ამავდროულად მიდის ინფორმაციის ცნების გაღრმავებისა და გაფართოების პროცესი. თუ თავდაპირველად ინფორმაციაში იგულისხმებოდა ცნობები, რომლებიც გადაიცემოდა ადამიანების მიერ ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებებით, მე-20 საუკუნის ბოლოსათვის ინფორმაცია განიხილება, როგორც „უნივერსალური სუბსტანცია", რომლითაც გამსჭვალულია ადამიანთა საქმიანობის ყველა სფერო და ემსახურება ცოდნისა და აზრის გატარებას ცხოვრებაში.

ინფორმაციად შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი ცნობა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციად ითვლება ისეთი ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირს მისი მიტანა საზოგადოების ყურამდე. ინფორმაცია შეიძლება იყოს დიდი და მცირე მნიშვნელობის, სასიხა-

რულო და სამწუხარო, საზოგადოებრივი და პირადული ხასიათის, უდავო და საეჭვო, კეთილი სურვილებით დატვირთული და ბოროტებით დამუხტული. ინფორმაციის ყოველ სახეობას ჰყავს თავისი დამკვეთი, მომძიებელი, გამავრცელებელი და მომხმარებელი.

ინფორმაციას კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. დიდი სიმართლეა ძველ აფორიზმში „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის განაგებს ცხოვრებას". ნებისმიერი ინფორმაციის ფასი და ღირებულება გამოიხატება იმით, თუ რამდენად გამოსადეგია ეს ინფორმაცია მომავალში.

ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს რაღაც საიდუმლოება, რომელსაც საგულდაგულოდ მალავს ვიღაცისაგან. ის „ვიღაცა" შეიძლება იყოს უცხო პირი და შეიძლება იყოს თავისიანიც. დღევანდელი ტერმინოლოგიით ამას ჰქვია სახელმწიფო საიდუმლოება, რომლის შენახვისათვისაც პასუხს აგებენ განსაზღვრული პირები, ხოლო გამჟღავნებისათვის ვიღაცა უნდა დაისაჯოს. მაგალითად, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი კატეგორიულად მოითხოვდა მთავრობისაგან, ტრიბუნიდან თქმულიყო, რა ძალები და რა შეიარაღება გააჩნდა ქართულ მხარეს. ზოგი პარლამენტარი თავის გამოჩენას იმით ცდილობდა, რომ საჯაროდ ყვებოდა ყველაფერს, რაც იცოდა საბრძოლო მოქმედებების შესახებ. ასეთმა „დემოკრატებმა" დათვური სამსახური გაუწიეს თავის სამშობლოს: ისინი რეგულარულად და უსაფრთხოდ ამარა-

გებდნენ მოწინააღმდეგეს ისეთი ინფორმაციით, რისთვისაც დაინტერესებული მხარე მილიონებს გაიღებდა, მაგრამ, რატომღაც, ამისათვის არავინ დასჯილა.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ინფორმირების გაუკულმართებულ ფორმას, რომელსაც დეზინფორმაციას უწოდებენ. დეზინფორმაცია იგივე ინფორმაციაა, ოღონდ შეგნებულად გაყალბებული. დეზინფორმაციის შემქმნელისა და გამავრცელებლის მიზანია, ვიღაცას მიაწოდოს ყალბი, მცდარი ინფორმაცია და ამით აიძულოს იგი იმოქმედოს საკუთარი ინტერესების საზიანოდ. დეზინფორმაციის დამახასიათებელი თვისებაა მისი გაორებული ბუნება. გარეგნულად იგი წააგავს საიმედო და სასარგებლო ცნობას და უზრუნველყოფილია ისეთი ატრიბუტებით, რომლებიც მის ჭეშმარიტებას ადასტურებენ, სინამდვილეში კი აგებულია ყალბ მონაცემებზე და საბოლოო მიზანიც არის ადრესატის შეცდომაში შეყვანა. თვითონ ტერმინი „დეზინფორმაცია", ნაწარმოებია ინფორმაციისაგან ფრანგული ზმნისწინის dés-მეშვეობით, რომლის მნიშვნელობაც შეიძლება გამოიხატოს ქართული – გან ზმნისწინით. ამ ტერმინის მთლიანი მნიშვნელობა კი არის „ინფორმაციის მოშლა, წართმევა, ჩამოცილება".

დეზინფორმაცია ენციკლოპედიურ ლექსიკონში ასეა განმარტებული: „შეგნებულად გაყალბებული ინფორმაცია, ხერხი, საშუალება, რომელიც ფართოდ გამოიყენება პრესაში, რადიოში და ბურჟუაზიული პროპაგანდის სხვა ორგანოებში, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვა-

ნის მიზნით"[1]. ამ განმარტებაში სიტყვა „ბურჟუაზიული" თვითონ არის დეზინფორმაციის ელემენტის შემცველი, რადგან, საჭირო შემთხვევაში, არც საბჭოთა პროპაგანდა თაკილობდა დეზინფორმაციის გამოყენებას.

დეზინფორმაცია აგებულია იმ მოსაზრებაზე, რომ საზოგადოება ან პირთა ჯგუფი არ შეურიგდება ინფორმაციულ ვაკუუმს, ამიტომ დეზინფორმაცია ცდილობს შეავსოს ვაკუუმი და ამით მოჩვენებითად დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი რაიმე საკითხისადმი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ, რაც უფრო მეტია ინფორმაციული ვაკუუმი, მით უფრო იოლია დეზინფორმაციის გავრცელება. ეს აისახება რაიმე მოვლენისადმი ადამიანის ბუნებრივი ინტერესით. თუ ინტერესი არ დაკმაყოფილდა ნამდვილი ინფორმაციით, მის ადგილს ყალბი ინფორმაცია ანუ დეზინფორმაცია იკავებს.

დეზინფორმაცია, როგორც მოწინააღმდეგის მოტყუების ხერხი, ცნობილია უძველესი დროიდანვე და დღესაც აქტიურად გამოიყენება. მაგ., უინსტონ ჩერჩილს თავის ცნობილ წიგნში „მოგონებები მეორე მსოფლიო ომის შესახებ", მოჰყავს ინგლისური დაზვერვისათვის მეტად დამახასიათებელი და დახვეწილი დეზინფორმაციის მაგალითი: ინგლისის დაზვერვამ დაადგინა, რომ სტამბულში ინგლისის ელჩის პირადი მსახური ფაშისტური გერმანიის დაზვერვამ გადაიბირა. ეს ის დრო იყო, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა მზადება მეორე ფრონტის გასახსნელად. ინგლისელებმა გერმანელ მზვერავს არამც თუ ხელი არ ახლეს, არამედ არც აგრძნო-

---

[1] Энциклопедический словарь, М., 1953 г. т. 1. გვ. 520.

ბინეს რაიმე. ხოლო ელჩმა, სათანადო მითითებების საფუძველზე, საშუალება მისცა თავის მსახურს ლონდონიდან მიღებული ინსტრუქციებისა და მითითებების ასლების გადაღებისა. ეს, ჩვეულებრივ, ხდებოდა ელჩის აბაზანაში ყოფნის დროს, რაც გრძელდებოდა 45-60 წუთი. მსახურმა კარგად იცოდა, ელჩს სად ჰქონდა შენახული სეიფის გასაღები და ამ დროის განმავლობაში მრავალი ფოტო-ფირის გადაღებას ახერხებდა. მოპოვებული ცნობები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ გერმანელებმა თავის აგენტს ცნობილი რომაელი ორატორის ციცერონის სახელი შეარქვეს. ამავე დროს ეჭვიც გაუჩნდათ ინგლისური კონტრდაზვერვის ასეთ დაუდევრობაზე და დაიწყეს „ციცერონის" მიერ მოწოდებული ცნობების გადამოწმება სხვა არხებით. ცნობების სიზუსტე ყოველთვის დასტურდებოდა. ამან გერმანიის დაზვერვა ერთგვარად დაამშვიდა. ინგლისის დაზვერვამ ეს იგრძნო და დაიწყო „ციცერონის" მომარაგება ყალბი ინფორმაციით, ანუ გაიშალა დეზინფორმაციული მუშაობა. იმ ორი თვის განმავლობაში, როდესაც „ციცერონი" თავის დამქირავებლებს ამარაგებდა ცნობებით ინგლის-ამერიკის ჯარების დანიასა და ბელგიაში მომავალი გადმოსხმის შესახებ, რაც გერმანელებს პირველ ხანებში სჯეროდათ, ინგლისმა და ამერიკამ შეძლეს სამხრეთ იტალიაში ჯარების წარმატებით გადასხმა. როგორც ჩერჩილი შენიშნავს, „ციცერონი" უგზოუკვლოდ გაქრა. ეტყობა, გერმანიის დაზვერვამ თავის აგენტს არ აპატია ასეთი შეცდომა.[1]

---

[1] У. Черчилль. "Воспоминания о второй мировой войне". М., 1957.

დეზინფორმაცია უნდა განვასხვავოთ შეცდომისაგან. შეიძლება ადამიანმა მიიღოს რაღაც მცდარი ინფორმაცია მეორე პირისაგან იმის გამო, რომ ინფორმატორს თვითონ სჯერა, რომ მისი ინფორმაცია სწორია. ეს არის ინფორმატორის შეცდომა, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, მაგრამ აქ შეგნებული დანაშაული არ არის, ე.ი. არ არის დეზინფორმაცია. დეზინფორმაცია შეგნებულად, გააზრებულად მოფიქრებული და შესრულებული სიყალბეა. ამიტომ, დეზინფორმაცია იგივე ინფორმაციაა, მაგრამ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით გავრცელებული. დეზინფორმაციას ოფიციალურად ყველა ებრძვის და დანაშაულებრივ ქმედებად აცხადებს, მაგრამ ცხოვრებაში მას ხშირად იყენებენ ავი ზრახვების დასაფარავად ან აბეზარი ცნობისმოყვარეობის მოსაგერიებლად. შეიძლებოდა დეზინფორმაციაზე არ გველაპარაკა, მაგრამ არ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ, რადგან იგი შედის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების ბოროტად გამოყენების წრეში. დეზინფორმაციის ზემოქმედების ძალა მის სიმართლეში კი არ არის, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიის გათვალისწინებაში — ოსტატურად შეთხზულ ყალბ ცნობას ბევრი დაიჯერებს, ირწმუნებს და ამით შეიქმნება რომელიღაც პიროვნებაზე არასწორი საზოგადოებრივი წარმოდგენა. მოგვიანებით რომ გამჟღავნდეს კიდეც ასეთი ინფორმაციის სიყალბე, მან თავისი კვალი უკვე მაინც დატოვა. ასეთ შემთხვევაში დეზინფორმაცია გაიზრდება და კვალიფიცირდება როგორც ცილისწამება.

ცილისწამება დეზინფორმაციის ერთ-ერთი სახეობაა და მეტწილად მიმართულია კონკრეტული პირების წინააღმდეგ. საერთოდ კი დეზინფორმაციის მოქმედების ძირითადი სამიზნე არის საზოგადოებრივი აზრი.

დეზინფორმაციის სუსტი მხარეა მისი უდღეურობა — ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დეზინფორმაციას, თითქმის, ყოველთვის მოსდევს სიმართლის გამოჩენა და ამით ტყუილის გაბათილება. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ძალიან ხანმოკლე დეზინფორმაციაც კი რაღაც კვალს ტოვებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (გაზეთი, რადიო, ტელევიზია) ხშირია შემთხვევა ე.წ. „უარყოფისა", როდესაც, ვთქვათ, გაზეთი აცხადებს, რომ მის მიერ ადრე გამოქვეყნებული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება. თითქოს დაზარალებულის პრესტიჟი აღდგენილია, თითქოს საზოგადოებამ სიმართლე გაიგო, მაგრამ: 1. — ადრე გამოქვეყნებული ცნობის უარყოფა ყველამ ვერ წაიკითხა. ამიტომ, ყალბი ცნობის ზემოქმედება გრძელდება. 2. კაცმა რომ წაიკითხოს კიდეც გამოქვეყნებული ცნობის მცდარობის შესახებ, თუ მას ეს ე.წ. მცდარი ცნობა რატომღაც ხელს აძლევს, ის ამ ცნობას მაინც იმახსოვრებს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს კიდეც — თუ დასჭირდა, წასძახებს თავის მოწინააღმდეგეს, რომ შენ ის კაცი ხარ, ვისზეც, აი, ასეთ რამეს წერენო.

ცხოვრებისეული პრაქტიკა (პრესა, სასამართლო, ჩვეულებრივი ურთიერთობა) ცხადყოფს, რომ დეზინფორმაცია საზოგადოებისათვის გაცილებით უფრო საში-

ში მოვლენაა, ვიდრე იგი შეფასებულია თუნდაც იურიდიულ დონეზე.

დღეს მოქმედ კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ მე-4 მუხლი მთლიანად ეძღვნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას. ამ მუხლში საკმაოდ მკაფიოდ არის მითითებული ის ქმედებანი, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება. „მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსებების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულს ან საიდუმლოდ არის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“.[1]

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ოფიციალურ საბუთებში დადასტურებული რეგლამენტაცია, საკმაოდ ლოგიკური, დამაჯერებელი და სრულია. და თუ ამ კანონების რაიმე ნაკლზე ვილაპარაკებთ, ეს იქნება ამ კანონების ქრონიკული შეუსრულებლობა. ალბათ, სადავო არ არის, რომ, თუ კანონი შესრულდება ყოველ კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში, მაშინ უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები საგრძნობლად შემცირდება.

---

[1] საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. მუხლი 4.

სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოროტ ინფორმაციას, დეზინფორმაციას და ჭორს ჩვენს საზოგადოებაში მომხმარებელიც საკმაოდ ჰყავს. ეს მომხმარებელი ხშირად პირდაპირ მოითხოვს გაზეთებისაგან, რომ ესა თუ ის ცნობა, მიუხედავად მისი სიყალბისა, აუცილებლად იქნეს გავრცელებული. მიზანი გასაგებია. ვიღაცას უნდა დარტყმა მიაყენოს მეორე პიროვნებას, მერე განზე გამდგარმა უყუროს სეირს, რა ნერვებისა და წვალების ხარჯზე შეძლებს შეურაცხყოფელი ადამიანი თავის გამართლებას.

ნამდვილი ინფორმაციისა და დეზინფორმაციის ერთმანეთისაგან განსხვავება არც ისე ძნელია, როგორც ხატავენ ისინი, ვინც ბიზნესს დეზინფორმაციის გავრცელებით აკეთებს. სრულიადაც არ გვეჩვენება შემთხვევითად, რომ საქართველოს კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი საგანგებოდ აფრთხილებს ჟურნალისტს, რომ მან „უარი უნდა თქვას რედაქტორის ისეთი დავალების შესრულებაზე, რომელიც არღვევს კანონს“.[1] ეტყობა, ასეთი დავალებებიც არსებობს ხოლმე, რაც საზოგადოებისათვის, ზნეობისათვის ფრიად საზიანო მოვლენაა.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში, საინფორმაციო საშუალებებითაც და ზეპირადაც ყოველდღე ვრცელდება სხვადასხვა სახის დეზინფორმაცია კონკრეტულ პირებზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზეც.

---

[1] საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. მუხლი 4.

კერძოდ, პარტიებზე და სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ამას ისე მიეჩვია, რომ თითქმის რეაქციაც კი აღარ მოსდევს. იმეორებენ ნათქვამს, გადასცემენ ერთმანეთს და „პირს იტკბარუნებენ", ვიდრე მორიგი დეზინფორმაცია არ გამოჩნდება.

ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრი, გებელსი, საჯაროდ აცხადებდა: „საზოგადოებას ტყუილის მოსმენა უფრო სიამოვნებს, ვიდრე სიმართლის, მაგრამ ტყუილი უნდა იყოს ისეთი მასშტაბების და ისე უნდა ითქვას, რომ მსმენელმა იგი მიიღოს შემდეგი რწმენით — ასეთი ტყუილის თქმა როგორ შეიძლებაო, — მაშასადამე მართალიაო".[1] გებელსის ამ ცინიკურ განცხადებაში სიმართლეც არის. ხშირად საზოგადოებას მომხიბლავი ტყუილი უფრო სჯერა, ვიდრე არასიმპათიური სიმართლე. ეს ფაქტორი ძალაშია ჩვენს საზოგადოებაშიც. რად ღირს თუნდაც აჭარის ირგვლივ ატეხილი ხმაური. რამდენი რამ ითქვა, რამდენი რამ დაიწერა, რამდენი ცნობა მიაწოდეს მსმენელს და მკითხველს, მაგრამ ნამდვილი ინფორმაცია დღემდე უცნობია. თუმცა მისი დადგენა სულაც არ უნდა იყოს ძნელი, რადგან მოქმედი პირები ჩვენი თანამედროვეები არიან და აქტიურად მონაწილეობენ კამათში. ეტყობა, ნამდვილი ინფორმაციის გამოქვეყნების დრო ჯერ არ დამდგარა.

დეზინფორმაცია საშიში და საშინელი საზოგადოებრივი სენია და მას მუქარით, შეგონებით ვერავინ მოსპობს, რადგან მას ჰყავდა, ჰყავს და კვლავაც ეყოლება

---

[1] У. Черчилль. "Воспоминания о второй мировой войне". М., 1957.

მომხმარებელი. მაშასადამე, ყოველთვის იქნება დამკვეთი და შემსრულებელი. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება არის ნამდვილი, ჭეშმარიტი ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უტყუარი ხერხი მიუღებელია ბევრისათვის, რადგანაც ასეთი ხალხისთვის ჭეშმარიტება მომაკვდინებელია, ხოლო დეზინფორმაცია მათი არსებობის საიმედო ჯავშანია.

სწორედ ამაშია დეზინფორმაციის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა.

ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ 1998, №2

სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის იდეები საქართველოს კონსტიტუციაში

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ხშირად განაპირობებენ მეცნიერების რომელიმე დარგის მკვეთრ აქტუალიზაციას. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევა ისეთი იდეა ან თეორია, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება ცხოვრებისეულ პრობლემებს. სწორედ ასეთი სურათი გვაქვს დღეს სუვერენიტეტის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მიდგომაში. თუმცა რამდენიმე წლის წინ თვით ტერმინი სუვერენიტეტიც კი მოსახლეობის ფართო მასებისათვის საკმაოდ პასიური იყო და ერთგვარად უინტერესოც. მაგრამ მოხდა ისეთი ძვრები და ცვლილებანი, რამაც გამოიწვია საზოგადოების ყველა ფენაში მასების გლობალური პოლიტიზირება, და კვლავ აქტუალური გახდა სუვერენიტეტის პრობლემები.

დღეისათვის სუვერენიტეტის მეცნიერულად სწორი გაცნობიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის, რადგანაც ხვალ და ზეგ სწორედ დღევანდელმა ახალგაზრდობამ უნდა იტვირთოს ქვეყნის ბედის მართვა, განვითარების ისეთი გზის მოძებნა, რომელიც ყველა პატიოსანი შრომით მცხოვრებ მოქალაქეს შეუქ-

მნის ადამიანური არსებობის თუნდაც ელემენტარულ პირობებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სუვერენიტეტის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავება დღეს განსაკუთრებულად აქტუალურად ჟღერს.

ტერმინი „სუვერენიტეტი" იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. ამათგან ჩვენთვის საინტერესოა ამ სიტყვის ორი ძირითადი მნიშვნელობა — ხალხის სუვერენიტეტი და სახელმწიფოს სუვერენიტეტი. განვმარტოთ ეს ორი ცნება მოკლედ:

სახელმწიფოს სუვერენიტეტის თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის ფრანგ მოაზროვნეს ჟან ბოდენს. იგი ასაბუთებდა, რომ სუვერენიტეტი სახელწიფოს არსებითი და აუცილებელი თვისებაა, რომ სუვერენიტეტი გულისხმობს ხელისუფლების ერთიანობას და განუყოფელობას.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი იურიდიულ ლიტერატურაში განისაზღვრება შემდეგნაირად: „სახელმწოფოს სუვერენიტეტი გულისხმობს მის შესაძლებლობას სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას თავის საქმიანობაში სხვა სახელმწიფოებისა და სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვა ძალების ჩარევა"[1], ე.ი. სუვერინიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს უზენაესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამ განსაზღვრების მიხედვით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნებაში შეიძლება გაიმიჯნოს ორი მხარე, ერთის მხრივ, სუვე-

---

[1] გ. ზ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1993, გვ. 33.

რენიტეტი ქვეყნის შიგნით და მეორე მხრივ, სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი ქვეყნის შიგნით გულისხმობს „სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სრულუფლებიანად, მოცემულ ქვეყანაში არსებული სხვა ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა საკითხი"[1], რაც კი ეხება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ცხოვრებას, კანონთა სისტემის შექმნას და მათ განხორციელებას.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა და არ დაუშვას თავის საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევა.

საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი დებულების პირველ მუხლში ნათქვამია: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო".

„მუხლი 2. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად".

საინტერესოა, რომ ეს მუხლი ხაზს უსვამს მთლიანი სახელმწიფოს შიგნით არსებული ადმინისტრაციული ერთეულების მიერ სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევის დაუშვებლობას. ამ მოთხოვნაში ღრმა აზრია ჩა-

---

[1] გ. ზ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1993, გვ. 33.

დებული და იგი მომავლის გარანტიაა, რადგანაც, სამწუხაროდ, იყო და ჯერაც არის მცდელობა დაირღვევს ქვეყნის მთლიანობა და ერთიანობა.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ხელშეუხებლობას აკანონებს კონსტიტუციის 98-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა". ეს ერთგვარი პასუხია იმ პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებიც დრო და დრო წამოიძახებენ ხოლმე, თითქოს საქართველოს არ ჰქონდეს უფლება აღკვეთოს სხვადასხვა ჯურის სეპარატისტთა ბოროტი განზრახვები. სახელმწიფოს თავდაცვის უნარი რომ ჰქონდეს, უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალები. ეს დაკანონებულია 98-ე მუხლის მე-2 პუნქტით: „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ასევე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები".

ქმედითუნარიანი სამხედრო ძალების შექმნა უზარმაზარ თანხებსა და მოქალაქეთა თანადგომას მოითხოვს.

როდესაც ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით სახელმწიფო შექმნილია რაღაც მასზე უფრო დიდი ძალის მიერ და ემსახურება ამ ძალას. ეს უზენაესი ძალა არის ხალხი, რომელიც ცხოვრობს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ხალხის სუვერენიტეტი, როგორც ლიტერატურაშია განმარტებული, „ქვეყნის მთელი მოსახლეობის შესაძლებლობასა და უფლებას, თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ცხოვრებისა და ქვეყნის ბედის საკითხები, მის-

თვის სასურველი მიმართულება მისცეს მის მიერვე შექმნილ სახელმწიფო ხელისოფლების საქმიანობას".[1]

როდესაც სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის თანაფარდობაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა დადგენა იმისა, თუ რა ნიშნების მიხედვით ემთხვევა ერთმანეთს ეს ორი ცნება და რით გამსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, რა ურთიერთობაშია სახელმწიფო თავის ხალხთან? როგორ საზოგადოებას განაგებს იგი — მონოეროვანს თუ პოლიეროვანს და რა ურთიერთობაში არიან ერთ სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა ხალხები? ვის ინტერესებს გამოხატავს სახელმწიფო — განსაზღვრული კლასის ან თემის, თუ მთელი ხალხის? და ბოლოს, ვისი სახელით ფუნქციონირებს სახელმწიფო, ერთი ხალხის, რომელსაც რაღაც უპირატესობები აქვს ამავე სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ხალხებთან შედარებით, თუ მთელი მოსახლეობის სახელით?

ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო გამოხატავს ხალხის საერთო ინტერესებს, სახელმწიფოს სუვერენიტეტის განხორციელება ხალხის სუვერენიტეტის განხორციელებას ნიშნავს. იქ კი, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება მხოლოდ საზოგადოების უმცირესობის ინტერესების გამომხატველია, სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ხალხის სუვერენიტეტი არ არიან გაიგივებულნი.

თუ სახელმწიფო მონოეროვანია, ე.ი. მისი მოსახლეობის 100 პროცენტი თუ არა, 90 მაინც ლაპარაკობს ერთ ენაზე, აქვს ერთი კულტურა, ერთი ისტორია და

---

[1] გ. ზ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1993, გვ. 34.

ერთი სამშობლო, მაშინ ამ ხალხისა და ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტების ურთიერთმიმართება უფრო ადვილი გასაგები ხდება. სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტი ერთმანეთს თითქმის ემთხვევა.

რაც შეეხება მრავალეროვან სახელმწიფოს, აქ გაცილებით მეტ სირთულეებს ვხვდებით:

1. სახელმწიფოში შემავალ ერთა რაოდენობა და რიცხობრივი თანაფარდობა. ამავე დროს, ამ ხალხთა შორის არსებული ურთიერთობა მტრულია თუ მეგობრული, დაცულია თუ არა მათი თანასწორუფლებიანობა, თუ იგრძნობა ერთი რომელიმე ხალხის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრივილეგიები, ე.ი. მრავალეროვანი საზოგადოება ერთა სრული თანხმობის პრინციპზეა აგებული თუ კოლონიურ ბატონობაზე.

ყველაფერს ამას მკაფიო პასუხს აძლევს საქართველოს კონსტიტუცია. 38-ე მუხლში ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ეთნობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმ-

ცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

აქ ისმის ერთი კითხვა: შეიძლება სახელმწიფოს მოქალაქენი თანასწორუფლებიანი იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში მათი უფლებები ისე იყოს შეზღუდული, რომ ფაქტობრივად, ე.წ. მკვიდრი (ძირეული) ერიცა და ეროვნული უმცირესობანიც უუფლებონი იყვნენ. ასეთი „თანასწორუფლებიანობა" რომ გამოირიცხოს, მუხლი მე-19 აცხადებს: „1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება".

3. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

4. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

ისტორიიდან ცნობილია, თანაც არა ერთი სახელმწიფოს მაგალითზე, რომ ადამიანის უფლებების დეკლარირება გაცილებით იოლია, ვიდრე განხორციელება. ეს სირთულეები აშკარად იგრძნობა დღევანდელ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს გასაკვირი არ არის, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა არსებითად პიროვნების უფლებათა სრული რეალიზაციაა. ამას კი დრო და ენერგია უნდა, ის, რაც ზოგჯერ

გვავიწყდება — დიდი მატერიალური და ინტელექტუალური ხარჯები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ხასიათის მრავალეროვან სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება ისეთი პრობლემები, რომელსაც ერთეროვანი სახელმწიფო არ იცნობს. ეს პრობლემები, თავისი არსით მუდმივია და გამომდინარეობს საზოგადოების ეთნიკური სხვადასხვაობიდან, რასაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში, თუ მმართველ წრეებს სურთ წარმატებით აშენონ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება. აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც ეთნოუმრავლესობას მოეთხოვება, ანგარიში გაუწიოს ეთნოუმცირესობას, ისევე ეთნოუმცირესობა ვალდებულია სრულად გაითვალისწინოს ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესები და კეთილსინდისიერად ემსახუროს მათ.

თუ სახელწიფო მრავალეროვანია, მისი საგარეო უფლებების განხორციელების დროს პარტნიორისათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენს ეს სახელმწიფო — ერთს თუ რამდენიმეს. მართლაც, ვთქვათ, ინგლისთან ურთიერთობაში ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს, ვინ მონაწილეობს ინგლისის სუვერენიტეტის განხორციელებაში — მხოლოდ საკუთრივ ბრიტები თუ კელტებიც, უელსელებიც და ინგლისში მცხოვრები სხვა ხალხებიც.

ხალხის, როგორც სახელმწიფოში უზენაესი ძალის, ოფიციალური აღიარება ეკუთვნის ფრანგებს. ფრანგებმა პირველებმა თქვეს, რომ საფრანგეთის კონსტიტუციას აცხადებს და ამტკიცებს არა საფრანგეთის

სახელმწიფო ან პარლამენტი, არამედ ფრანგი ხალხი. თუ საფრანგეთის კონსტიტუციას აცხადებს და ამტკიცებს ფრანგი ხალხი, ხოლო საფრანგეთი, როგორც სახელმწიფო, ამ კონსტიტუციის მიხედვით იმართება, სრულიად აშკარაა, რომ მთელ ამ ტერიტორიაზე უზენაესი და შეუვალი ძალა არის არა სახელმწიფო, არამედ ხალხი, რომელიც ამავე დროს არის სახელმწიფოს სუვერენიტეტის პირველწყარო.

ფრანგების მიერ კონსტიტუციის ხალხის სახელით გამოცხადება ერთგვარად მისაბაძი აღმოჩნდა მრავალი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1995 წლის 24 აგვისტოს, იწყება ასე: „საქართველოს მოქალაქენი" და მთავრდება სიტყვებით „საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას". და თუ ეს კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი ნების გამოვლენაა, მაშინ ეს ისტორიული საბუთი გამოხატავს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ნებას და თუ ეს ასეა, ხალხის ცნება იძენს ძლიერ სოციალურ-პოლიტიკურ ჟღერადობას და გასაგები და კანონიერი ხდება „ხალხის" სუვერენიტეტის ცნების უზენაესობა სახელმწიფოს სუვერენიტეტთან შეფარდებით.

თუ სახელმწიფოში რომელი ძალა უნდა უზენაესობდეს, უკვე მკაფიოდ არის გარკვეული, რაც საკანონმდებლო წესით არის წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში: „1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დად-

გენილ ფარგლებში. 2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშაულო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით".

საკითხი ბოლომდე გაირკვა: უზენაესი ძალაა ხალხი, რომელიც ადგენს და ამტკიცებს კონსტიტუციას და რომლის საფუძველზეც იქმნება და ფუნქციონირებს სახელმწიფო. ამრიგად, სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ცნება „ხალხი" უფრო მაღლა დგას, ვიდრე „ეთნოსის" ცნება.

დღეს ცხოვრება ბობოქარია, მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება, იცვლება ფაქტების შეფასება, რაც იწვევს აზროვნების დინამიკის გამძაფრებას, შეხედულებათა პოლარიზაციას და რადიკალური, სოციალური მდგომარეობისაგან მოწყვეტილი დოგმების მოძალებას. მეცნიერული კამათისათვის აზრთა ასეთი ჭიდილი სრულიად დასაშვებია და სასარგებლოც, მაგრამ როდესაც საკითხი ეხება წამოყენებული აზრების ცხოვრებაში განხორციელებას, საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, რათა საზოგადოებას თავს არ მოვახვიოთ ისეთი რამ, რაც შეიძლება თეორიაში მომხიბვლელად ჩანდეს, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი იყოს, თუნდაც მოცემულ ეტაპზე, ან არასასურველი. თუ რომელიმე მეცნიერული დებულება თავისი არსით გამორიცხავს კომპრომისის შესაძლებლობას, იგი იქცევა დოგმად და პრაქტიკულ საქმიანობაში ხელისშემშლელ ფაქტორად. იურიდიული მეცნიერება დინამიკური მეცნიერებაა. იგი შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქიზ და

ზოგჯერ მტკივნეულ საკითხებს. ასეთ საკითხთა რიგს განეკუთვნება სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის პრობლემაც. უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ხალხისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრობლემა ისე გაამახვილეს და გააქტიურეს, რომ თითქმის უპირველეს პრობლემად იქცა. ამ პირობებში სრულიად აუცილებელია მრავალეროვანი სახელმწიფოსა და მასში შემავალი ხალხების სუვერენიტეტის სხვადასხვა ასპექტის დინჯი, მეცნიერული კვლევა-ძიება. ეს სასარგებლო იქნება საქართველოს თანამედროვე სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ჟურნ. „სამართალი“, 1997, №7-8

სარჩევი

ავტორის შესახებ 7

სიტყვის თავისუფლების ზნეობრივი და
იურიდიული საფუძვლები 29

დასაბამიდან იყო სიტყვა 30

უტკბესი და უმწარესი 31

შესავალი 39

სიტყვის თავისუფლების ცნება და მოცულობა

რა არის სიტყვა, როგორ უნდა გავიგოთ სიტყვის
თავისუფლება 65

სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების
თავისუფლების შემადგენელი ნაწილი 74

ინფორმაციის ცნება და მნიშვნელობა

ინფორმაციის ცნება და სახეები 76

ინფორმაციის მნიშვნელობა საზოგადოებისა და
პიროვნების ცხოვრებაში 84

დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივ აზრზე
ზემოქმედების საშუალება 92

ინფორმაციის მოპოვების დამუშავებისა და გავრცელების სახეები

ინფორმაციის მოპოვების კანონიერი და უკანონო საშუალებები. პაპარაციზმი 101

ინფორმაციის დამუშავების ობიექტური და სუბიექტური მოტივები 133

ინფორმაციის გავრცელების მიზნები და გზები 142

სიტყვის თავისუფლება და ინფორმაციაზე მუშაობის ზნეობრივი ასპექტები

ზნეობა და იურიდიული კანონი (მათი ურთიერთ-მიმართება და ურთიერთკავშირი) 151

სტატიები

სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების თავისუფლების შემადგენელი ნაწილი 167

სიტყვის თავისუფლება და ზნეობა 177

სიტყვის თავისუფლების შეჭრდილები 194

პაპარაციზმის სოციალური და ფსიქოლოგიური საყრდენები 204

ინფორმაცია და დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალება 211

სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის იდეები საქართველოს კონსტიტუციაში 225

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირ. ნაბეჭდი თაბახი 15
სააღ.-საგამომც. თაბახი 12.5

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თინა ბერბერაშვილი
ზაზა მიქაძე

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@posta.ge